

5 წელი 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ

A2



პრესომბუდსმენი

A5



ასპროცენტიანი შედეგი

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 11 სექტემბერი, 2006 წელი. №199 (1351) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## ამბები

### მოლაპარაკებები მოლაპარაკებების მოსამზადებლად

ტონი ბლერი: "ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობა მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია"

A2

## საზოგადოება

### შიდსი - მსოფლიო საფრთხე რუსეთიდან

*თბილისში წელს მეორედ ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული შეხვედრა შიდსთან დაკავშირებით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მონაწილეობით. როგორც ირკვევა, რუსეთიდან შიდსის იმპორტის რეალური საფრთხე მარტო ჩვენ კი არა, მთელ ევროპას ემუქრება.*

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 11/09 | 12/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 26 |
| ბათუმი | 22 | 20 |
| სოხუმი | 24 | 25 |
| ქუთაისი | 26 | 26 |
| გორი | 23 | 21 |
| თელავი | 26 | 25 |
| ონი | 18 | 18 |
| ზუგდიდი | 26 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7439 |
| ევრო | 2.2181 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2675 |
| რუბლი | 0.0652 |

ამბები A 2
ამბები A 3
სამართალი A 4
საზოგადოება A 5
რევიუ A 6
რევიუ A 7
სპორტი A 8

# N1 რეფორმატორი

### მთავრობა მოსახლეობას უფრო აქტიურად უნდა ესაუბროს

**B**

*საქართველო საუკეთესო რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების - მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის - ახალი ერთობლივი კვლევის შესახებ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. საქართველომ მდგომარეობის გაუმჯობესება "ბიზნესის წარმოების" შესახებ კვლევის შედეგებით 10 სფეროდან 6 სფეროში შეძლო. შედეგად, ზოგად რეიტინგში 112-ე ადგილიდან 37-ზე დაწინაურდა. კვლევის ავტორი სიმეონ დიანკოვი უკვე თბილისშია.*



# ვარიაციები "რეგნუმ"-ის მიერ გამოქვეყნებული ერთი წერილის თემაზე

დავით დარჩიაშვილი

აქ არ შევუდგები სააგენტო "რეგნუმ"-ის სარედაქციო პოლიტიკის, მასში მომუშავე თუ მის უკან მდგომი რუსი ანალიტიკოსების და პოლიტიკოსების პორტრეტის ხატვას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს სააგენტო, რომელსაც პროფესიონალიზმის გარკვეულ ნიშნებს ვერ დაუკარგავთ, ასოცირდება კრემლთან დაახლოებულ, ოდესღაც სამოქალაქო საზოგადოების ისეთ წარმომადგენლებთან, როგორებიც გლებ პავლოვსკი და მოდესტ კოლეროვია. დღეს ეს ხალხი ცდილობს დასავლური თავისუფალი სამყაროს რიგი ინსტიტუტების და პოლიტიკების კოპირებას და მათ ჩაყენებას რუსული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სამსახურში. ეს ინსტიტუტები და პოლიტიკები არასამთავრობო ორგანიზაციები, ოფიციალურად დამოუკიდებელი ელექტრონული მედია, გრანტების სისტემაა. "რეგნუმ"-ი, ისევე როგორც ბოლო დროს რუსეთიდან საქართველოსა და ჩვენს კონფლიქტურ ზონებში არასამთავრობო სექტორისათვის შემომდინარე რუსული წარმოშობის დოლარები, სწორედ ნათქვამის დადასტურებაა.

აღნიშნული გრანტები და მათი მიმღებები აქამდე დიდი ამინდის შემქმნელი არ ყოფილა. ამ ფულს არ იღებენ ის ტრადიციული, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც საქმით აქვთ დამტკიცებული თავისუფლების, ადამიანის უფლებების, მონიტორინგისა და ადვოკატირების სამსახურში დგომა და რომლებსაც კარგად იცნობს ქართული საზოგადოება. ვფიქრობ, დღეს მაინც კრემლთან ასოცირებულ ამ ორ ადამიანს აღარ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ დასავლური დონორული პროგრამების იმიტაციით და ამ ტექნოლოგიის რუსული პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებით თბილისსა თუ საქართველოს რეგიონებში ვინმეს მოხიბლავენ - სრულიად გამოუცდელთა ან მარგინალურ, პოლიტიზირებულ ჯგუფთა გარდა. (ამას წინათ კოლეროვი ცხინვალში ჩავიდა, იქაურ სამოქალაქო ორგანიზაციებს შეხვდა და განუცხადა, რომ დასავლური ფონდების ნაცვლად მათ ახლა რუსული ფონდების გამოყენების შანსი ეძლეოდათ. პასუხად, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ზრდილობიანი დუმილი მიიღო, რადგან ცხინვალის საზოგადოებაშიც, რომელიც საკმაოდაა გაუცხოებული საქართველოსაგან, დასავლური დახმარება დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტთა ხელშეწყობასთან აღიქმება, კრემლთან ასოცირებული ფული კი გეოპოლიტიკურ ამბიციებთან). "რეგნუმი" კი შედარებით უფრო წარმატებული პროექტია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აქცია-პროექტი სიტყვა ქართულისთვის

### ჯერ კოდორში, შემდეგ კი ცხინვალსა და სოხუმში

სოფო კილასონია

*ეს არის აქცია, რომელიც უბრალოდ აქციად არ უნდა დარჩეს, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარია დაიწყოს. აქცია, რომლის იდეა და სურვილი თბილისში გაჩნდა და რომლის მიზანს, ამოცანასა და მათ მისამართს კოდორი წარმოადგენს. ქართული "პენ კლუბი" და გაზეთი "24 საათი" სულ მალე კოდორს ესტუმრებიან...*
*ჩვენ იქ ჩავალთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე ფეხი დავდგათ და წამოვიდეთ, არა იმიტომ, რომ სულ რაღაც შვიდასამდე კომლს ერთჯერადი საქველმოქმედო აქციით დავეხმაროთ, ტელეეკრანზე გამოვჩნდეთ და შემდეგ დავივიწყოთ ისინი, არამედ ჩავალთ იმიტომ, რომ იქიდან ხმამაღალი და ომახიანი სიტყვა ქართული ყველას გავაგონოთ.*

გაგრძელება A6 გვერდზე



# კონფლიქტის ზონაში ისევ ისვრიან

*ინციდენტმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, დაძაბულობის ზრდა გამოიწვია. ცხინვალის გარშემო ორმხრივი სროლები განახლდა. საქართველო და რუსეთი ერთმანეთს ადანაშაულებენ.*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 8 სექტემბრის ინციდენტს, როდესაც კონფლიქტის ზონაში შეტაკების შედეგად ერთი ქართველი და სამი ოსი სამართალდამცველი დაიღუპა, საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა.

**"ნათელია, რომ ადგილი აქვს მორიგ აქციას რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციის მიზნით, რაც წარმოადგენს ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივების (სამშვიდობო გეგმა) და რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციიის პროგრამების ტორპედირების მცდელობას"**, - აღმნიშნულია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, მომხდარი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუს სამშვიდობოებს და მათ ხელმძღვანელობას არ აქვთ არავითარი სურვილი ხელი შეუწყონ სამშვიდობო პროცესს.

**"ასეთ პირობებში კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და ეუთო-ს სხვა წევრი-ქვეყნების წინადადებები, მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის აუცილებლობის შესახებ"**, - ნათქვამია განცხადებაში

სამინისტრო აღნიშნავს, რომ ქართული მხარე, ერთგული რჩება რა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისა, თვლის, რომ მხოლოდ რეალურად მიუკერძოებელი, ხელშემწყობი მხარეების და გარანტორების პირდაპირი ჩართვა, რეგიონის დემილიტარიზაცია, მთელი ტერიტორიის ინტენსიური მონიტორინგი, როკის გვირაბის კონტროლი და სხვა ქმედითი ღონისძიებები იქნება გარანტია მსგავსი პროვოკაციების არგამეორებებისა და სამშვიდობო პროცესის თანმიმდევრული წარმართვისა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას რეგიონში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით და მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას - ევროკავშირს, ეუთო-ს წევრ-ქვეყნებს, შესაბამისად შეაფასოს სეპარატისტული რეჟიმისა და მის მხარდამჭერთა დესტრუქციული ქმედებები და მიიღოს სათანადო ზომები, რათა არ დაუშვას რეგიონში დაძაბულობის ხელახალი ესკალაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მზადება "უღირსი და სამარცხვინო არჩევნებისთვის"

### თინა ხიდაშელის პროგნოზით, არჩევნები ტოტალურად გაყალბდება

*"სრული რწმენით შეიძლება გამოვაცხადოთ, რომ ეს იქნება უპრეცედენტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში, უპრეცედენტო - თავისი სიყალბით, ხელისუფლების თავხედობით და პოლიტიკური თაღლითობის ხარისხით!" - რესპუბლიკური პარტიის წევრი თინა ხიდაშელი ამგვარ არასასიამოვნო პროგნოზს აკეთებს.*

ვერიკო თევზაძე

რესპუბლიკელები ცესკო-ს კანონდარღვევაში ადანაშაულებენ. ხიდაშელის შეფასებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები გაყალბებისათვის შესანიშნავ ნიადაგს ქმნის. როგორც რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, ცესკო-ს პირველ სექტემბრამდე უნდა დაედგინა საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრები. პროცესი შეგნებულად ჭიანურდება, რათა ოპოზიციამ წინასაარჩევნო კამპანია ვერ ჩაატაროს: **"ამის გამო, არ ვიცი, ვის უნდა ველაპარაკო და სად უნდა ვიყარო კენჭი,"** - დასძენს ხიდაშელი.

თინა ხიდაშელი ასევე კრიტიკულად აფასებს ცესკო-ს ქმედებას არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში. მისი თქმით, 8 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისია უკანონოდ მოიქცა, როცა ახლად შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა, გამოცდილ ორგანიზაციებს კი, პირიქით, პრობლემები შეუქმნა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს...

### შენიშვნები და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

*გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა (CAT) და "საერთაშორისო ამნისტიამ" შეისწავლა წამების, სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა და ანგარიში გამოაქვეყნა.*

"საერთაშორისო ამნისტია" და გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამენ წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ დროულად შეიმუშაონ წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად ფართომასშტაბიანი და თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა.

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, პოლიციასა და პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიებაზე დააწესოს რეგულარული მონიტორინგი, რომელსაც დამოუკიდებელი სტრუქტურები ჩაატარებენ.

კომიტეტის რეკომენდაციით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა შემთხვევის დროული და საფუძვლიანი გამოძიება; დაკავებულს დროულად უნდა ეცნობოს მისი უფლებები.

კომიტეტის მითითებით, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი ღონისძიებები, რათა ბოლო მოეღოს წამებასა და სხვა არაჰუმანურ მოპყრობას საქართველოს რეგიონებში.

გაგრძელება A4 გვერდზე

# შეზღუდული დამკვირვებლები და შეჩვეული ნომრები

*ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების ოფისმა, არჩევნების შეზღუდული სამეთვალყურეო მისია გახსნა, რომელიც 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მოემსახურება. როგორც ეუთო-ში აცხადებენ, სადამკვირვებლო მისია და საქართველოს ეუთოს მისია, რომელსაც ელჩი როი რივი მეთაურობს, ცალ-ცალკე შესაბამისი განსაკუთრებული მანდატების მიხედვით მოქმედებენ.*

ნათია მსხილაძე

**"ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისს მიაჩნია, რომ აღნიშნულ არჩევნებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია. არჩევნების ჩამტარებელ მხარესთან ჩვენ მიერ გამართული კონსულტაციების შესაბამისად, არჩევნების დღეს სისტემურ დაკვირვებას არ ვგეგმავთ,"** - აცხადებს ელჩი, როი რივი.

ეუთო-ს ინფორმაციით, ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა, ეუთო-ს წევრ-ქვეყნებს გამოგზავნონ 20 გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომლებიც თავიანთი საქმიანობის განხორციელებას რეგიონებში, მომდევნო კვირას დაიწყებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბერის დასაწყისში ეუთო-ს წარმომადგენელი პარლამენტის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრს, საარჩევნო ადმინისტრაციას, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო, რომ მათთვის რეკომენდაცია გაეწიათ, სადამკვირვებლო მისიის შემდგომი მოქმედების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატთა სარეზერვო სიის შედგენის წესი დადგინდა და სარეზერვო კანდიდატთა სიის ფორმის ნიმუში დამტკიცდა.

გარდა ამისა, გასულ კვირაში ცესკო-მ საქართველოს პარლამენტში "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" პარტიული სიით არჩეული, პარლამენტის გამოკლებული წევრის, დავით ტყეშელაშვილის ადგილმონაცვლედ, ამავე პარტიის რიგით მომდევნო (N157) პარლამენტის წევრობის კანდიდატის ზაზა რევიშვილის ადგილმონაცვლეობა ცნო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სხდომაზე მიიღო განკარგულება, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიებს შემდეგი ნომრები მიენიჭა: N3 "თოფაძე, მრეწველები", N4 "ლეიბორისტული" პარტია, N5 "ნაციონალური მოძრაობა - საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია", N15 საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია. როგორც ცესკო-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა ნათქვამი, აღნიშნულ პარტიებს რიგითი ნომრები კომისიამ მათივე განცხადების საფუძველზე მიანიჭა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაცია უქმდება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით იმ შემთხვევაში, თუ მისმა წარმდგენმა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით საარჩევნო ფონდის ანგარიში არ გახსნა.

სხდომაზე ცესკო-მ დადგენილებით, დევნილებს პასიური საარჩევნო უფლება მიენიჭა, რითაც მათ საკრებულოს წევრობის საკუთარი კანდიდატის წარდგენის უფლება ექნებათ.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე.

# ევროკავშირის დელეგაციის ვიზიტი

საქართველოში ვიზიტით მყოფი ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის წევრები დღეს ცხინვალში გაემგზავრებიან, მანამდე კი ისინი რუსეთის ფედერაციის ელჩს ვიაჩესლავ კოვალენკოს შეხვდებიან.

12 სექტემბერს, თბილისში, საქართველოს და ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის მერვე შეხვედრის პირველი სესია გაიხსნება, სადაც სიტყვით გამოვლენ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარის წარმომადგენელი საქართველოში, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პატრიცია ფლორი და საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები შეხვედრას გამართავენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გელა ბეჟუაშვილთან, იუსტიციის მინისტრთან გია ქავთარაძესთან და საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან. ასევე, დაგეგმილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების გაცნობა.

დელეგაციის წევრები საქართველოში 9 სექტემბერს ჩამოვიდნენ. ისინი თბილისს 14 სექტემბერს დატოვებენ.

*ინტერპრესნიუსი*

# სისხლისღვრა შრი-ლანკაში

28 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და 100-ზე მეტი დაიჭრა ნახევრაკუნძულ ჯაფანას ჩრდილოეთით, ამბოხებულთა წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის შედეგად. შრი-ლანკის ჯარის სარდლობის განცხადებით, ამბოხება ორგანიზაცია "თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვების" მიერ იყო ორგანიზებული. დაუდასტურებელი ინფორმაციით, სპეცოპერაციის შედეგად ამბოხებულთა შორის მსხვერპლი დაახლოებით 130 ადამიანს შეადგენს.

შრი-ლანკაში ამბოხებულებსა და ჯარს შორის დაპირისპირება უკანასკნელ თვეებში განახლდა, რის შედეგადაც ასეულობით ადამიანი დაიღუპა და საცხოვრებელი ადგილის გარეშე დარჩა.

ყველაზე სერიოზულ დაპირისპირებებს სწორედ ნახევარკუნძულ ჯაფანაზე აქვს ადგილი, სადაც სახელისუფლებო ჯარის ათასობით ჯარისკაცია განთავსებული. ნახევარკუნძული ქვეყნის ტერიტორიიდან მოკვეთილია. მას ამბოხებულები აკონტროლებენ.

ამბოხებულებსა და ხელისუფლებას შორის 2002 წელს შერიგების შესახებ მიღწეული შეთანხმება ფორმალურად ძალაში რჩება, თუმცა ორივე მხარე ფართომასშტაბიანი ომის დაწყების მცდელობაში ერთმანეთს ბრალს მუდმივად სდებს.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტის გადაყენების მოთხოვნით, თელ-ავივის ქუჩებში ათიათასობით ადამიანი გამოვიდა. აქცის მონაწილეებმა, ოლმერტთან ერთად იმ ადამიანების გადადგომა მოითხოვეს, რომელთაც ისინი ლიბანის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის წარმოებაში ადანაშაულებენ. აქციის მონაწილეებმა, კერძოდ, თავდაცვის მინისტრის ამირ პერეცისა და გენშტაბის უფროსის გადადგომა მოითხოვეს. პოლიციის შეფასებით, აქციაში მონაწილეობა 25 ათასამდე ადამიანმა მიიღო. ამასთან, ისრაელის ოპოზიცია ხელისუფლებისა და ჯარის ლიბანში მოქმედებების გამოძიებას მოითხოვს. რეზერვისტები, რომლებიც კონფლიქტის დროს გამოიძახეს, ინვენტარისა და აღჭურვილობის არასაკმარის რაოდენობას უჩიოდნენ, მოსახლეობა კი სამალავების ცუდ მდგომარეობასა და ქალაქების დაბომვების დროს სამხედროების არასაკმარის ოპერატიულ მოქმედებებზე მიუთითებდა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

ავღანეთის სამხრეთით მოძრაობა "თალიბანის" 100-მდე "ბოევიკი" გაანადგურეს. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, თალიბები პაკისტანი-ავღანეთის საზღვრის გადალახვას განაგრძობენ. პაკისტანის პრეზიდენტს თალიბებისთვის დახმარების გაწევაში ადანაშაულებენ, რასაც ის კატეგორიულად უარყოფს. პაკისტანის მეთაურმა აღიარა, რომ 2001 წლის 11 სექტმბრამდე ისლამაბადი ნამდვილად უჭერდა მხარს მოძრაობა "თალიბანს", თუმცა ნიუ-იორკზე მიტანილი შეტევის შემდეგ, პაკისტანის ხელისუფლების პოზიცია თალიბების მიმართ შეიცვალა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

აშშ-ში ლიბანისთვის სამხედრო დახმარების გაწევის გეგმა შეიმუშავეს. ამერიკელი სამხედროები ლიბანის ჯარს ხელახლა შეაიარაღებენ და მის გადამზადებაში მიიღებენ მონაწილეობას. ერთ-ერთი ებრაული გაზეთის ინფორმაციით, პროგრამის მიზანს ლიბანის ჯარის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება წარმოადგენს, რათა ამ უკანასკნელმა დაჯგუფება "ჰესბოლას" წინააღმდეგობა წარმატებით გაუწიოს. აშშ ლიბანს 30 მილიონი დოლარის სამხედრო ტექნიკასა და აღჭურვილობას მიაწვდის, ჯარისკაცების მოსამზადებლად კი, ლიბანში ამერიკელი ინსტრუქტორები ჩავლენ. ისრაელმა ამერიკის ადმინისტრაციის ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა, თუმცა გარანტია მოითხოვა, რომ ამერიკული შეიარაღება "ჰესბოლას" "ბოევიკებს" ხელში არ ჩაუვარდებათ. **ინტერპრესნიუსი**

# 5 წელი 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ

## XXI საუკუნის პირველი ომი

ხათუნა გაბიევი

*11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტები, ათიათასობით უდანაშაულო მსხვერპლი და თავზარდაცემული მსოფლიო. XXI საუკუნის ახალი გამოწვევა - საერთაშორისო ტერორიზმი.*



5 წლის წინ ავადსახსენებელ 11 სექტემბერს აშშ-ზე მიტანილი იერიში - ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავები, ცეცხლის ალში გახვეული "ტყუპები" და პენტაგონის დაზიანებული კედლები - კაცობრიობას კიდევ დიდხანს ემახსოვრება. ათასობით ადამიანმა საკუთარი თვალით იხილა ნიუ-იორკის შუაგულში მდებარე 110 სართულიანი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ე.წ. "ტყუპების" 2 საათში განადგურება. ტრაგედიას ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ტერორისტების ძლიერ დარტყმას აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა XXI საუკუნის პირველი ომი უწოდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, "ალ-ქაიდა"-ს 19 წევრმა ოთხი კომერციული რეისის თვითმფრინავი გაიტაცა. გამტაცებელთა თითოეულ ჯგუფს კარგად მომზადებული პილოტიც ჰყავდა. ორი თვითმფრინავის სამიზნე მსოფლიო სავაჭრო ცენტრი გახდა, მესამე გატაცებული თვითმფრინავი პენტაგონს დაეჯახა, ხოლო მეოთხე თვითმფრინავი ქალაქ შენკსვილის მახლობლად მინდორში ჩამოვარდა. მეოთხე თვითმფრინავის დაჯახება სხვა რომელიმე სტრატეგიულ შენობაზე მხოლოდ თავად თვითმფრინავის პილოტთა მცდელობამ იხსნა.

ტერაქტები რამდენიმეწუთიანი შუალედებით განხორციელდა დილის პიკის საათში მაშინ, როცა ხალხი ის-ის იყო სამსახურებში მივიდა. როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, მარტო "ტყუპებში" დაახლოებით 50 000 თანამშრომელი მუშაობდა, მაგრამ დღის განმავლობაში იქ შეიძლება ყოფილიყო 150 000 კაციც.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტების მიერ დაგეგმილი ოპერაცია მხოლოდ თვითმფრინავების გატაცებით არ შემოიფარგლებოდა. პენტაგონზე განხორციელებული დარტყმის შემდეგ რამდენიმე წუთში ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტთან გაჩერებულ ერთ-ერთ ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. ტერაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე შეწყდა მუშაობა გაერო-ს უშიშროების საბჭოში. მუშაობა დროებით შეწყვიტეს ასევე საფონდო ბირჟებმა - ამერიკაც და მასთან ერთად მთელი მსოფლიოც გამაოგნებელმა თავზარდაცემამ და გაურკვევლობამ შეიპყრო. თუმცა, მსოფლიო ჰეგემონის პირველმა პირმა და სამთავრობო კაბინეტმა გონს მოსვლა დროზე მოასწრო და ქვეყანაში საგანგებო რეჟიმი გამოცხადდა ყველა ავიარეისსა თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე. როგორც იმ წუთებში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აღნიშნა - "ტერორისტები ვერ შეძლებენ მზაკვრული გეგმის განხორციელებას აშშ-ში".

იმ პერიოდში დუბაის ტელევიზიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პირველმა, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ტერაქტების განხორციელებაზე პალესტინის გამათავისუფლებელმა დემოკრატიულმა ფრონტმა აიღო, მაგრამ მოგვიანებით ეს ინფორმაცია არ დადასტურდა სააგენტო "როიტერი"-ს წყაროებზე დაყრდნობით. თუმცა, როგორც "ფრანსპრეს"-ი იუწყებოდა, ლიბანში პალესტინური ბანაკების მცხოვრებნი დიდი სიხარულით აღნიშნავდნენ აშშ-ში დატრიალებულ ტრაგედიას.

გამოძიების დაწყების შემდეგ კი გაირკვა, რომ მთელი პასუხისმგებლობა მომხდარზე ტერორისტულ დაჯგუფება "ალ-ქაიდა"-სა და მის ლიდერს ოსამა ბინ ლადენს ეკისრებოდა. პირველ ტერორისტად აღიარებულმა ბინ ლადენმა კი ტერაქტებთან კავშირი 16 სექტემბერს "ალ-ჯაზირას" სატელიტური არხით გავრცელებულ მიმართვაში უარყო. თუმცა, 2001 წლის ნოემბერშივე აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა ჯალალაბადში განადგურებულ სახლში ვიდეოჩანაწერი იპოვა, რომელშიც ოსამა ბინ ლადენის ხალედ ალ-ჰარბისთან 11 სექტემბერს დაგეგმილ ტერაქტზე საუბარი იყო ჩაწერილი. ჩანაწერმა მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება მოიარა. იმავე წლის დეკემბერში ბინ ლადენის მეორე ვიდეოჩანაწერი გავრცელდა, სადაც ტერორისტი აცხადებდა, რომ "აშშ-ს წინააღმდეგ ტერორიზმი იმსახურებს აღიარებას, რადგან იგი იყო პასუხი უსამართლობაზე, რომელიც აშშ-ს ისრაელისადმი მხარდაჭერაში გამოიხატებოდა". 2004 წელს კი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე პირველმა ტერორისტმა კიდევ ერთი ჩანაწერი გაავრცელა, სადაც ღიად ლაპარაკობდა 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებაში უშუალო მონაწილეობაზე. **"ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და არ შევეგუებით უსამართლობას. ჩვენ ჩვენი ხალხისთვის თავისუფლება გვინდა"**, - ნათქვამი იყო მიმართვაში.

აშშ-ს ოფიციალური წყაროების მიხედვით, 11 სექტემბრის ტერაქტები უშუალოდ არის დაკავშირებული "ალ-ქაიდა"-ს მისიის შესახებ გავრცელებულ განცხადებასთან. "ალ-ქაიდა"-მ მოტივირებული კამპანია აშშ-ს წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1998 წელს დაგეგმა, როდესაც ოსამა ბინ ლადენის, აიმან ალ-ზავაჰირის, აბუ იასირ რიფაი აჰმად თაჰას, შეიხ მირ ჰამზასა და ფაზლურ რამანის ე.წ. "ფატვა" გამოიცა. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ის სამი "დანაშაული და ცოდვა", რომლებსაც დოკუმენტის ავტორები აშშ-ს მიაწერენ, კერძოდ, ისრაელისადმი აშშ-ს მხარდაჭერა, არაბეთის ნახევარკუნძულის აშშ-ს მიერ სამხედრო ოკუპაცია და აშშ-ს აგრესია ერაყელი ხალხის მიმართ.

ერთი რამ ცხადია, 11 სექტემბრის შემდეგ, დასავლურმა სამყარომ აშშ-ს ერთხმად გამოუცხადა სოლიდარობა, რასაც ფრანგული გაზეთის "მონდ"-ის იმდროინდელი გამოცემის სტატიის სათაურიც მოწმობდა - "ჩვენ ყველანი ამერიკელები ვართ". უდიდეს ტრაგედიას საპასუხო იერიში ავღანეთში კოალიციური ჯარების შესვლით მოყვა. სხვადასხვა სახელმწიფოს სპეცსამსახურებმა თანამშრომლობის საფუძველზე უამრავი ადამიანი დააკავეს, რომლებიც ტერორიზმთან კავშირში იყვნენ ეჭვმიტანილნი. რაც შეეხება უსაფრთხოების ნორმებს, იგი მსოფლიო მასშტაბით კიდევ უფრო გამკაცრდა. უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების პარალელურად კი გაჩნდა ეჭვები აშშ-ს სპეცსამსახურების სისუსტეზე, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არ ქარწყლდებოდა. თავად ამერიკელთა დიდ ნაწილს 11 სექტემბრის მოვლენებმა პერლ-ჰარბორი გაახსენა, როდესაც იაპონიამ წერტილოვანი დარტყმით უდიდესი ტკივილისა და მოულოდნელობის გრძნობა გააღვიძა იმდროინდელ ამერიკაში.

11 სექტემბრის მოვლენებმა ტერორიზმის ახლებურმა გამოწვევამ საერთაშორისო უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ახალი ფორმის მოძიება გახადა საჭირო, რაზეც კონსოლიდირებული მუშაობა დასავლურმა სამყარომ და მსოფლიოს სხვა ზოგიერთმა ნაწილმა დაიწყო კიდეც.

# "ლეიბორისტები" პრეზენტაციას გამართავენ

"საქართველოს ლეიბორისტული პარტია" დღეს თბილისის მერის კანდიდატურისა და პარტიული სიის პრეზენტაციას გამართავს.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ განაცხადა, პრეზენტაციაზე დასახელდება იმ კანდიდატთა ვინაობა, რომლებიც პარტიული სიის სათავეში მოხვდნენ.

"ეს ის მებრძოლი გუნდია, რომელმაც წლების განმავლობაში უამრავ ზეწოლასა და წინააღმდეგობას გაუძლო. დასახელდება ის საარჩევნო ოლქებიც, სადაც "ლეიბორისტული პატრიის" მაჟორიტარი კანდიდატები იბრძოლებენ. პარტია მზად არის, უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვოს და სააკაშვილის რეჟიმის ნგრევა დაიწყოს," - განაცხადა გიორგი გუგავამ.

მისი თქმით, "ლეიობორისტული პარტიის" სპეციალური ჯგუფების მიერ განხორციელებული შემოწმებისას დადგინდა, რომ ცესკო-ს მიერ შედგენილ ამომრჩეველთა სიებში მასშტაბური დარღვევებია.

გუგავა ირწმუნება, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემოთავაზებულ სიებში, გარდა იმისა, რომ ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეებია გამორჩენილი, სიებში სრულად ქუჩებიც კი არ არის შეტანილი.

"ამ სიების მიხედვით, გამოდის, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში დემოგრაფიული ბუმია, 3 წელიწადში მოსახლეობის უმრავლესობა 18 წლის გამხდარა და თბილისის მოსახლეობის რაოდენობა 500 000-ით გაზრდილა, რაც აბსურდია. ხალხი გარბის საქართველოდან და სამ წელიწადში მოსახლეობის ამგვარი ზრდა და ხმის მიცემის უფლების მქონე ასაკს მიღწევა წარმოუდგენელია", - განაცხადა გუგავამ.

მისივე თქმით, 5 ოქტომბერს ე.წ. "კარუსელებიც" ამოქმედდება, რადგან ათასობით პირადობის მოწმობა მოქალაქის კონკრეტულ მისამართზე რეგისტრაციის გარეშეა გაცემული.

"5 ოქტომბრის არჩევნებისთვის სახელისუფლებო წრეებმა გააააქტიურეს მკვდარი სულებიც. როგორც კი მიცვალებულებს გაუგიათ, რომ არჩევნებში "ნაციონალურმა მოძრაობამ" უნდა გაიმარჯვოს, გააქტიურებულან, არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ და ცესკო-ში განაცხადები შეუტანიათ. დარწმუნებულები იყავით, მკვდრები მკვდრებს - "ნაციონალებს" მისცემენ ხმას", - აღნიშნა გიორგი გუგავამ.

მისივე თქმთ, ამ დრომდე არ არის საარჩევნო ოლქების საზღვრები დადგენილი და საგანგებოდ შექმნილია ახალი საარჩევნო უბნები, რომლებშიც უმისამართო, არარეგისტრირებული პირები და მკვდარი სულები არიან დარეგისტრირებული.

*ინტერპრესნიუსი*

# მოლაპარაკებები მოლაპარაკებების მოსამზადებლად

## ტონი ბლერი: "ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობა მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია"

თეა მაისურაძე

ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის ვიზიტი გრძელდება. გუშინ ბლერი პალესტინის ლიდერს, მაჰმუდ აბასს შეხვდა და მასთან რეგიონში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე ისაუბრა. სწორედ ამ მიზნით, პალესტინაში ვიზიტამდე ბლერი ისრაელის პრემიერ-მინისტრს, ეუდ ოლმერტსაც შეხვდა და, როგორც შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, პალესტინის მხარესთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად დაითანხმა კიდეც.

ახლო აღმოსავლეთში ტონი ბლერის ვიზიტის მთავარ მიზანს პალესტინისა და ისრაელის მხარეებს შორის დიალოგისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯერ ეუდ ოლმერტის პოზიცია მოისმინა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ პალესტინის ლიდერს ესაუბრა. ყოველივე ამის შემდეგ, მხარეთა შეხედულებებისა და პოზიციების საფუძველზე შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა, არსებობს თუ არა კონფლიქტის მოგვარების რეალური დაფუძველი.

მაჰმუდ აბასთან შეხვედრამდე ტონი ბლერი იმ ისრაელელ ჯარისკაცთა ოჯახის წევრებსაც შეხვდა, რომლებიც ლიბანში და ღაზას სექტორში იქნენ დატყვევებულნი. პალესტინაში ვიზიტის დროს ინგლისის პრემიერ-მინისტრი პალესტინის ლიდერთან ტყვე ჯარისკაცების სამშობლოში მშვიდობიანი დაბრუნების საკითხზეც ისაუბრებს. ტონი ბლერი იმედოვნებს, რომ ის შეძლებს ამ საკითხის მოგვარებას და ებრაელი ჯარისკაცები მალე თავისუფლები იქნებიან.

ბლერი მიიჩნევს, რომ ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია: **"ადვილია პესიმისტურად განეწყო ამ პრობლემის მიმართ, თუმცა, მე მჯერა, რომ ღმერთის ნებით და სწორი დიპლომატიით არსებული კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია,"** - განაცხადა შაბათს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, გაერო-ს აქტიური მუშაობის შედეგად მოხდა 35-დღიანი ომის შეწყვეტა: **"ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იმისათვის, რომ საბრძოლო მოქმედებები ისრაელსა და ლიბანს შორის შეწყვეტილიყო და სწორედ ამ მიზნით იყო მიღებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (1701) .... ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ აღნიშნულ საკითხზე მუშაობას, სანამ არ მოხდება რეზოლუციის სრული იმპლემენტაცია"**.

ინგლისის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობა დანარჩენი მსოფლიოს და, რა თქმა უნდა, ბრიტანეთის უსაფრთხოების არსებითი და მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია.

პალესტინაში ვიზიტის დროს ტონი ბლერი "ჰამასის" ლიდერებს არ შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთი, ისევე როგორც ევროკავშირის დანარჩენი ქვეყნები, ბოიკოტს უცხადებს "ჰამასის" ადმინისტრაციას და მოუწოდებს აღიაროს ისრაელის სახელმწიფოებრიობა. თუმცა "ჰამასი", ბლერის "რეკომენდაციას" უარყოფითად აფასებს და აცხადებს, რომ "ჰამასი" ისრაელის მიმართ თავის პოლიტიკას არ შეცვლის.

დაჯგუფების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ტონი ბლერის მიერ გაკეთებული განცხადებები აშშ-ს ინტერესებს ემთხვევა და ისრაელის მიზნებს ემსახურება.

ევროკავშირის ბოიკოტმა პალესტინაში ხელფასების გაყინვა და ამის საფუძველზე სამოქალაქო პირების გაფიცვა გამოიწვია: **"პალესტინაში დიდი კრიზისია, ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი ნულს უდრის, ხოლო უსაფრთხოების პრობლემა ძალიან მწვავედ დგას,"** - განაცხადა "ჰამას"-ის წარმომადგენელმა ღაზი ჰამადმა.

**"ჩვენს ხალხს სურს ჰქონდეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც იმოქმედებს ეროვნული ინტერესების შესაბამისად და არა გარე ძალის მიერ ნაკარნახევი გეგმის მიხედვით,"** - აცხადებს დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი.

ახლო აღმოსავლეთში ტონი ბლერის ვიზიტთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობას შორის ერთგვარი ირონიაც კი არსებობს. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ბლერი რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებას ბუშის ადმინისტრაციის ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად ცდილობს, თუმცა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაერთიანებული სამეფოს აშშ-ს გვერდში დგომა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ სრულიად გამართლებულია და ლონდონის ცალსახა საგარეო პოლიტიკაზე მიუთითებს.




24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ვარიაციები "რეგნუმ"-ის მიერ გამოქვეყნებული ერთი წერილის თემაზე

პირველი გვერდიდან

მაგრამ, როგორც ვთქვი, ამ თემას უფრო საგანგებო კვლევა სჭირდება და ჩემი სტატიის მთავარი მიზანი ეს არაა. ამჯერად "რეგნუმის" ერთ პუბლიკაციაზე მინდა აზრის გამოთქმა. ესაა კავკასიის ანალიტიკური ცენტრის ექსპერტის, არის კაზინიანის სტატია "მიხეილ სააკაშვილის "საკუთარი თამაში" და სომხური ფაქტორი". ეს სტატია აჩვენებს, რომ რეგნუმში/რეგნუმთან მომუშავე თუ მის უკან მდგომ ადამიანებს იმდენად ჟურნალისტური თუ ექსპერტული ობიექტურობა არ ხიბლავთ, რამდენადაც პოლიტიკის სამსახური.

რუსული პოლიტოლოგიური სკოლის საუკეთესო ტრადიციებით დაწერილ ამ ნაშრომში პოლიტიკური მოვლენები ერთი, ცალკე აღებული მიზეზშედეგობრივი ჯაჭვით აიხსნება. იქმნება არგუმენტთა რიგი, რომლის შემადგენლები, ისევე როგორც აღწერილი მოვლენის ცალკეული ფაქტები და მათი დამაფიქსირებელი თარიღები მძივებივითაა აცმული ავტორის თეორიულ-ლოგიკური ***წრთობის*** (მომიტევეთ რუსული კალკისათვის, მაგრამ სიტყვა Закалка ყველაზე ადექვატურად ასახავს ამ ავტორის სტილს) ზაწარზე.

მისი თქმით, არათუ სააკაშვილის, არამედ ყველა ქართველის ამჟამინდელი თუ ისტორიული ლიდერის საფიქრალი ისაა, რომ ქართველობა არ წარმოადგენს კონსოლიდირებულ ერს და იგი განსხვავებული იდენტობისა და ღირებულებების მქონე ქართლელების, რაჭველების, მეგრელების და ა.შ. ნაზავია. ამ ლიდერთა პოლიტიკები კი მერყეობს ფეოდალური არქეტიპიდან მომდინარე კრიმინალურ სეპარატიზმსა და ავტორიტარულ-ნაციონალისტურ ცენტრალიზმს შორის. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, ახასიათებს სააკაშვილს. სწორედ ამიტომ, ავტორის მტკიცებით, ვერ აიტანა მან ასლან აბაშიძის არსებობა და მასთან რაციონალური გარიგების ნაცვლად აჭარის უშუალო კონტროლი ამჯობინა. არარსებული კონსოლიდირებული ქართველი ერის შესაკავშირებლად თუ არა, საქართველოს რესპუბლიკად წოდებულ იმპერიაში ცენტრალიზებული მმართველობის განსამტკიცებლად მაინც, სააკაშვილი (ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე, დასძენს ავტორი) საგარეო, არაქართველი მტრის ხატითა თუ ხატებით მანიპულირებას ირჩევს და ასეთად, რუსებთან ერთად, სომხებიც ჰყავს არჩეული.

აქ არ მოვყვები ავტორის მიერ მოხმობილი არგუმენტების განხილვას იმის თაობაზე, რომ ქართველები სომხებს, თურმე, დიდი ხანია, რაც მტრული თვალით უყურებენ და სააკაშვილიც ამ გზას ადგას. არც იმის ახსნას, თუ რატომ მიიჩნევს კაზინიანი, რომ ომი აფხაზეთში საქართველოს მხრიდან კოლონიური ომი იყო, რის გამოც არ და ვერ მოხერხდებოდა ამ ომში თავგანწირვის გამოწვევა არა თუ კახელებში, არამედ მეგრელებშიც კი. მეტიც, არც ამ წერილს დავწერდი, "რეგნუმის" მკითხველი რომ ძალიან ბევრი ქართველი არ იყოს. შესაბამისად, ვინძლო ამ წერილმა ახალი გაუგებრობების და უსაგნო ემოციების ტალღა ააგოროს ჩვენს საზოგადოებასა და მოძმე სომეხი ერის წარმომადგენელთა შორის. საბოლოო ჯამში ხომ ეს ადამიანი სულაც არაა სომხური საზოგადოების დომინანტური იდეების გადმომცემელი. არ ვიცი რა მისი ასაკი, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გადატანითი მნიშვნელობით, იგი რუსული პოლიტოლოგიური სკოლის იმ ყმაწვილურ-მაქსიმალისტური ფრთის წარმომადგენლად მიმაჩნია, რომელსაც სამყარო და პოლიტიკა შავ-თეთრ ფერებში წარმოუდგენიათ, ხოლო საქართველოზე რაღაც (მაგრამ მხოლოდ რაღაც) წაუკითხავს.

ახლა კი ის, თუ რისი თქმა მინდა კაზინიანის მიერ დახატულ ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ პორტრეტთან დაკავშირებით:

1. საქართველო მართლაც მრავალფეროვანია ეთნოგრაფიულად, პოლიტიკურად კი იგი მრავალი სხვა ქვეყანასავით არაერთხელ იყო დაქუცმაცებული. მოდერნიზაციის, თანამედროვე, სამოქალაქო კონსოლიდირებული ერის მშენებლობამ საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ქვეყანაში და მათ შორის სომხეთშიც, საგრძნობლად დააგვიანა. ასეთ ფონზე გასაკვირი არაა, რომ რუსეთში მავანს ენატრებოდეს, ხოლო საქართველოში აშინებდეს ფეოდალური დაქუცმაცების, ეთნიკურ-ეთნოგრაფიული გაუცხოვების განმეორება. მაგრამ XIX საუკუნემ მოიტანა, XX-მ კი განამტკიცა ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი ქართველურ ერთიანობაზე, რომლის სათავეები, ელიტათა დონეზე მაინც, საუკუნების მიღმაც არსებობდა. ყოველივე ამაზე, ქართულ იდენტობასა და ისტორიაზე თავიდანაა აკადემიური მსჯელობა დასაწყები, რადგან ჩვენ ყველანი მოდერნიზებული სამოქალაქო და არა ეთნიკური ერის ფორმირების პოლიტიკური ამოცანის წინაშე ვდგავართ, საქართველოს ისტორია კი, მნიშვნელოვანწილად, დღეისათვის უკვე მოძველებული ცნებებითა თუ კონცეფციებით რჩება აღწერილი. სხვაგვარად დავრჩებით ზემოთაღწერილი დილეტანტური თავდასხმებისა და საპასუხო ემოციურ-ნაციონალისტური აღშფოთებების ამარა.

2. დღევანდელი ქართული ხელისუფლების ქმედებებსა და განცხადებებში არის ნაციონალიზმი, რაც, მგონია, ქვეყნის გადარჩენისა და მოდერნიზაციის აუცილებელი კომპონენტია. რა თქმა უნდა, ნაციონალიზმი რისკებს შეიცავს. ერთის მხრივ იგი დემოკრატიის აუცილებელი საფუძველია - სხვაგვარად რა გააერთიანებს საზოგადოებას პოლიტიკურად და კულტურულად. მაგრამ მეორეს მხრივ, მასში იმალება თავისუფალი პიროვნების მოთხოვნილებათა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის შეუზღუდავი დაქვემდებარების და სხვა ერებთან გაუგებრობების გახშირების საფრთხეც. ქართველები დღეს სულაც არ ვართ ამ საფრთხისაგან დაზღვეულნი, რის გამოც მეტად გათვლილი პოლიტიკა და სამართლებრივი გარემო გვჭირდება ერის მშენებლობის მარადიული პროცესის განსახორციელებლად. მაგრამ საიმისოდ, რათა საქართველო ახალი არასტაბილურობისა და ქაოსის უფსკრულში არ გადაიჩეხოს, ახალგაზრდა სახელმწიფოს ახალგაზრდა, შეცდომებისაგან დაუზღვეველ, ხშირად მოუთმენელ, მაგრამ არსებითად წარმატებულ ხელისუფლებას უფრო დახმარება, ან კეთილგანწყობილი კრიტიკა ესაჭიროება, ვიდრე გამუდმებული ნიშნის მოგება.

3. შეცდომები, ისევე როგორც შერჩევითი სამართლის ნიშნები საქართველოს პოლიტიკაში ნამდვილად არსებობს. მაგრამ ხომ ცხადია, რომ არ ეშლება მხოლოდ იმას, ვინც არაფერს აკეთებს. რაც შეეხება შერჩევით სამართალს, რის შესახებაც ოპოზიცია ხშირად საუბრობს, თუ ტრაგიკულ გადაცდომებს წესრიგისა და კანონიერების აღდგენის საქმეში, ესაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოდერნიზაციის მეტად მტკივნეული, მაგრამ გარდაუვალი პროცესის თანამდევი სოციალური წყლული. საზოგადოებაში, რომელიც ათწლეულების მანძილზე ცხოვრობდა ტოტალიტარიზმში, კორუფციულ და ქსენოფობიურ გარემოში, სადაც უნდობლობა, ადამიანთა "შენიანებად" და "უცხოებად" დაყოფა და პირველთა მიკერძოებული მსახურება კულტურის ნაწილად იყო ლამის ქცეული, კანონის უზენაესობა და თანასწორობა მყისიერად ვერ დამყარდება. დღევანდელი მმართველი ძალა, რომლის ამოცანა სწორედაც რომ მოდერნიზაციაა, ვერაფრით იქნება თავის რიგებში იგივე მენტალიტეტის ადამიანთაგან დაზღვეული. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვები, ხომ არაა ესა თუ ის სისხლის სამართლის საქმე, პოლიტიკური თუ პიროვნული სიმპათია-ანტიპათიებით წახალისებული; ხდება ისეთი ტრაგედიები, როგორიც გირგვლიანის საქმეა.

მითითება იმ ფაქტებზე, რომ პარალელურად მიმდინარეობს დიდი ხნის არნახული აღმშენებლობა, ეთნიკურის ნაცვლად სამოქალაქო სოლიდარობის წახალისება, სამართალდამცავი და სამხედრო უწყებების თვისობრივი რეფორმირება, არასაკმარისია კონკრეტულ საქმეების მიმართ კონკრეტული ეჭვების გასაქარწყლებლად. არც ისაა დიდი ნუგეში კონკრეტული ინდივიდებისათვის, რომ ქვეყანა მოდერნიზაციის, გაძლიერების და გამთლიანების ფაზაში შევიდა ბოლოს და ბოლოს. ხელისუფლებისა და მისდამი ოპოზიციურად განწყობილი ძალების მხრიდან ამ ვითარებაში ორი რამაა საჭირო: ა) გაცნობიერება და ახსნა იმისა, რომ ჩვენნაირ საზოგადოებაში სამართლის შერჩევითობის სუნი კიდევ დიდხანს არ ამოიფხვრება, რაც არ უნდა პროდასავლური და სამართალმოყვარული იყოს მისი მმართველი ელიტის დიდი ნაწილი. სხვაგვარად, ანუ იმის მოლოდინით, რომ არც ერთი სისხლის სამართლის საქმის მიღმა არ იმალებოდეს საქმის აღმძვრელის სუბიექტური დამოკიდებულება ეჭვმიტანილის მიმართ, სამართალდამცავი სისტემის სრული პარალიზება შეიძლება მოხდეს. სუბიექტივიზმთან საჭიროა ბრძოლა, მაგრამ არა იმ ფორმით, რომ ნაბან წყალს ბავშვი გადაჰყვეს და ხელისუფლება უაპელაციოდ გამოცხადდეს კლანურად, რეფორმები კი კოსმეტიკურად, არამედ კონკრეტულ საქმეებზე კონკრეტული და კვალიფიციური მონიტორინგით. ბ) სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ბევრად უფრო არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთონ საზოგადოების წინაშე, რომ ისეთი შემთხვევები, როგორიც, მაგალითად, გიორგი თავდგირიძის, სამხედრო აკადემიის ყოფილი რექტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მისი დაკავებაა, მწვავე განცხადებებით და, რიგ შემთხვევაში, სამხედროსათვის შეუფერებელი პოლიტიზაციით კი არაა ინსპირირებული, არამედ კონკრეტული ფინანსური დარღვევით და სასამართლოს, პროკურატურისა თუ სამხედრო პოლიციის ქმედება პროპორციულია ამ დარღვევისა.

სხვაგვარად, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ძალების ნეიტრალიზებისა და პასუხისგებაში მიცემის წარმატებული კამპანია მუდმივად იქნება ჩვეულებრივ მოქალაქეთა დაუცველობის ეჭვით დაჩრდილული, რაც ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე ასობით კაზინიანის სტატია, "რეგნუმი" და კოლეროვ-პავლოვსკის ფინანსური ტრანსაქციები.

# მზადება "ულირსი და სამარცხვინო არჩევნებისთვის"

პირველი გვერდიდან

**"არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ორი კვირით ადრე, ათი დღით ადრე ან ორი დღით ადრე (ამას, როცა უნდა, მაშინ გააკეთებს ხელისუფლება), აღმოჩნდება ირაკლი ოქრუაშვილის მორიგი ბრძანება, რომლითაც იგი იქს რაოდენობის სამხედროების მიწერას გააკეთებს, მაგალითად, საბურთალოს ან მთაწმინდის რაიონის საარჩვნო ოლქზე, იქ არსებულ კომისარიატებზე ან კიდევ, რაიმე ტრენინგ ცენტრებზე..."** - რესპუბლიკელთა მწვავე რექცია მოჰყვა ცესკო-ს დადგენილებას, რომელიც არჩევნებში სამხედრო მოსამასახურეთა მონაწილეობის წესებს და პირობებს განსაზღვრავს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, ცესკო-მ 4 სექტემბრის 25-ე დადგენილებით გადაწყვიტა, რომ სამხედროებს არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ არა პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით, არამედ სამხედრო მოწმობების საფუძველზე და ოლქზე მიწერის მიხედვით. რესპუბლიკელთა კანდიდატის თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ ათასობით სამხედრო აღმოჩნდება იმ ოლქში, სადაც ხელისუფლებას ყველაზე მეტად გაუჭირდება.




რესპუბლიკელები საუბრობენ საარჩევნი სიებში არსებულ ტოტალურ დარღვევებზე. საბოლოო ჯამში, ხიდაშელი ასკვნის: **"ეს იქნება ყველაზე ულირსი და სამარცხვინო არჩევნები, რაც კი ოდესმე ჩატარებულა საქართველოში"**.

რესპუბლიკელთა ბრალდებებს გუშინვე გამოეხმაურა ცენტრალური სარჩევნო კომისის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი. მის მტკიცებით, ცესკო-ს ყველა დადგენილება კანონთან შესაბამისობაშია. ჩალაგაშვილმა ოპონენტებს შეახსენა, რომ ნებისმიერი სადავო საკითხის თაობაზე შეუძლიათ, სასამართლოს მიმართონ.

# კონფლიქტის ზონაში ისევ ისვრიან

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის წევრმა გენადი გუდკოვმა კონფლიქტის ზონაში მომხდარ ინციდენტზე პასუხისმგებლობა საქართველოს დააკისრა. მისი განცხადებით, მსგავსი ქმედებებით ოფიციალური თბილისი კონფლიქტის გამწვავებას ხელს უწყობს.

გუდკოვის თქმით, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაიძაბა, ხელისუფლება კი, არჩევნების წინ, ამგვარი **"პროვოკაციებით გაჭირვებული მოსახლეობის ყურადღების მოდუნებას ცდილობს"**.

მისივე განცხადებით, ქართული მხარე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კონფლიქტი სამხედრო ოპერაციაში გადაიზარდოს. "დუმის" დეპუტატი რეგიონში მყოფ რუს მშვიდობისმყოფელებს სრული მობილიზაციისკენ მოუწოდებს.

მომხდარი ინციდენტის შემდეგ დაძაბულობის ზრდას 9 სექტემბერს ღამით ორმხრივი სროლა მოჰყვა. ქართული მხარე ერგნეთის საგუშაგოს მიმართულებით ცეცხლის გახსნას ოსებს აბრალებს. ოსური მხარე კი ერგნეთის მხრიდან ცხინვალის მიმართულებით სროლაზე საუბრობს. სროლის ფაქტს კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილე ვლადიმერ ივანოვი ადასტურებს.

მისი განცხადებით, სროლა 1:45 - 2:05 საათებს შორის შუალედში, ცხინვალის სამხრეთ რაიონში დაფიქსირდა. სროლა 3-5 წუთის ინტერვალით, ავტომატური იარაღიდან წარმოებდა. ივანოვის თქმით, ადგილზე ჩავიდა შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო დამკვირვებელთა და ეუთო-ს მისიის მონიტორინგის ჯგუფი.

**"სამხრეთ ოსეთის შსს-ს და ქართული პოლიციის პოსტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სროლა მხარეებმა მდინარე ლიახვის სანაპიროსთან სასიგნალო ნაღმის ამოქმედების შემდეგ დაიწყეს"**, - განაცხადა ივანოვმა. მისივე განმარტებით, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მთელ პასუხისმგებლობას ოსურ და რუსულ მხარეებს აკისრებს. პრემიერ-მინისტრი მომხდარ ფაქტს გმობს და აცხადებს, რომ ქართველი პოლიციელები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

ნოღაიდელის თქმით, პოლიციელები იქ ანტიკონტრაბანდულ რეიდს ატარებდნენ, თუმცა ადგილი ჰქონდა ჩასაფრებას, რომლის შემდეგაც ცეცხლი გაიხსნა და ერთი ქართველი პოლიციელი დაიღუპა, ორი კი დაიჭრა.

პრემიერის განცხადებით, მან საქმის კურსში უკვე ჩააყენა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. **"ყველასთვის ნათელია, რეალურად რა ხდება კონფლიქტის ზონაში,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

პრემიერის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ადეკვატურ ზომებს მიღებს, რათა მოხდეს ამ მდგომარეობის რეალური შეცვლა. ნოღაიდელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა.

გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქალაქეთა გადაადგილება თითქმის ყველა მიმართულებით კვლავ პარალიზებული იყო. დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობა გადაადგილებას შემოვლითი გზით ახერხებდა, თუმცა ბევრი მიმოსვლისგან თავს იკავებდა. პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ ვახტანგაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდა, გადაადგილებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავონ.

*24 საათი*

# საარჩევნო დაპირისპირება

## "ახალი მემარჯვენეები" "მრეწველების" და "ლეიბორისტების" წინააღმდეგ

*კახეთის რეგიონში თვითმმართველობის არჩევნებისთვის დაძაბული ბრძოლა არ შეიმჩნევა. აქ ოპოზიციურმა პარტიებმა ფარ-ხმალი დაყარეს, მომხდარში კი ერთმანეთს ადანაშაულებენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სიების გადასამოწმებლად ჩამოყალიბებულ ცხრაკაციან კომისიებში "მრეწველებმა" და "ლეიბორისტებმა" რამდენიმე რაიონში პარტიის წევრები სიაში არ შეიყვანეს. "ახალი მემარჯვენეები" კოლეგების ასეთ გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ მათ ადგილები სახელისუფლებო ბლოკს დაუთმეს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ოპოზიციური პარტიები რეგიონებში ასეთ გადწყვეტილებებს იმ დროს იღებენ, როდესაც ხელისუფლება თვითმმართველობის არჩევნებში გასამარჯვებლად ყველანაირ ბერკეტს იყენებს. მთავრობის მიმართ რადიკალურად განწყობილი პარტიების პასიურობის გამო, "სამართლიანი არჩევნების" რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნანა დევიძე გაოცებას ვერ ფარავს და სავარაუდო პროგნოზს აკეთებს. მას მიაჩნია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" კახეთში არჩევნებს გაყალბების გარეშეც მოიგებს.

**"რა თქმა უნდა, ეს არასასურველი მომენტია. როდესაც პარტიას აქვს საშუალება, რომ სიების შემოწმების დროს უბანზე თავისი წევრები ჰყავდეს, მან ეს შანსი უნდა გამოიყენოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ რეგიონში არ მომხდარა ის, რაც აქ ვიხილე. ოპოზიციურმა პარტიებმა, ჯერჯერობით ჩემთვის ამოუხსნელი მიზეზის გამო, საოლქოებში თავიანთი კანდიდატურები არ წარადგინეს. მთავარი კი, არჩევნებისთვის სიების გადამოწმების პროცესია,"** - აცხადებს ნანა დევიძე.

ახალი საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სიების სრულყოფის მიზნით, სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ცხრა კაცისგან შედგება და მასში, როგორც "ნაციონალური მოძრაობის", ისე ოპოზიციის წევრებიც შედიან. თუმცა, ოპოზიციურმა პარტიებმა კომისიაში წევრები არ შეიყვანეს. მაგალითად, საგარეჯოში, ლაგოდეხში და ყვარელში საკუთარი კანდიდატი არ წარუდგენიათ ლეიბორისტებს. ანალოგიურად მოიქცნენ გურჯაანში, ლაგოდეხში, ყვარელში, ასევე თელავში "ახალი მემარჯვენეები" და "მრეწველები". მომხდარში მემარჯვენე ოპოზიციის რაიონული ორგანიზაციის წევრები "მრეწველებს" ადანაშაულებენ.

**"მრეწველებმა" ასეთი ნაბიჯი მას შემდეგ გადადგეს, რაც ჩვენი ფრაქციიდან გავიდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სახელისუფლებლო ბლოკს გამარჯვება ხონჩით მიართვეს. ჩემამდე არ მოდის, რას კარგავდნენ "მრეწველები" და "ლეიბორისტები" თუ კომისიაში თავიანთ წევრს შეიყვანდნენ?! აქედან გამომდინარე, პასუხი ლოგიკურია - მათ ვაკანსიები "ნაციონალებს" დაუთმეს,"** - მიაჩნია "ახალი მემარჯვენეების" გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ზურაბ კანდელაკს.

"ახალი მემარჯვენეების" ბრალდებებს "ლეიბორისტები" პასუხობენ. პარტიის რეგიონული კოორდინატორი მალხაზ ვეფხვაძე "ახლების" განცხადებებს სიცრუეს უწოდებს. **"ჩვენ მხოლოდ გურჯაანსა და საგარეჯოში ვერ მოვახერხეთ წევრების ამ სპეცჯგუფებში ჩართვა, რადგან, როგორც ცნობილია, "ლეიბორისტები" თავიდან არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებდით,"** - განმარტავს მალხაზ ვეფხვაძე.

რაც შეეხება "მრეწველებს", მათ კამპანიის წარმოებაზე კახეთში უარი განაცხადეს. არადა, კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ საარჩევნოდ იმ ოპოზიციური პარტიების დაფინანსებას ითვალისწინებს, რომლებმაც ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს.

"ლეიბორისტებს" კახეთში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ამ თანხიდან 13 ათას 950 ლარის დახარჯვა მოუწევდათ, "მრეწველებს" კი 6 ათას 975 ლარის. **"საარჩევნო კამპანიისთვის ეს თანხები მიზერულია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველაფერი მიზნობრივად გაიხარჯება. თუმცა, ეს მაინც პარტიის გადასაწყვეტია,"** - მიაჩნიათ "სამართლიან არჩევნებში".

# მერაბ ანთაძე და სერგეი შამბა მოლაპარაკებების აღდგენაზე შეთანხმდნენ

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მერაბ ანთაძე და აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა სოხუმში, გაერო-ს მისიის შტაბ-ბინაში გამართულ შეხვედრაზე მოლაპარაკებების პროცესის აღდგენაზე შეთანხმდნენ. შამბას განცხადებით, მოლაპარაკებების პროცესი აღდგება როგორც ოთხმხრივი (აფხაზური და ქართული მხარეების, ასევე სამშვიდობოებისა და გაერო-ს წარმომადგენელთა მონაწილეობით) შეხვედრების, ასევე საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში.

შამბას თქმით, ანთაძისა და მისი შეხვედრა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელის ჟან არნოს ინიციატივით გაიმართა. მისივე განცხადებით, შეხვედრაზე აფხაზური მხარე კოდორის ხეობის ზედა ზონის დემილიტარიზაციისა და ამ ტერიტორიიდან საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის მოთხოვნით გამოვიდა.

მოლაპარაკებების პროცესი საქართველოს სპეცსამსახურების მიერ კოდორის ზედა ზონაში 2006 წლის ივლისში, ოპერაციის დაწყების გამო ჩაიშალა.

*ინტერპრესნიუსი*

# რთველში თავდაცვის მინისტრიც ჩაერთო

პრეზიდენტის დავალების შესაბამისად, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი კახეთში რთველის მიმდინარეობის პროცესს ადევნებს თვალს. იგი უკვე მესამე დღეა, რაც გურჯაანის რაიონში იმყოფება და სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს. ირაკლი ოქრუაშვილი გლეხებს აიმედებს, რომ თითოეული მტევანი დაბინავებული იქნება და ამიტომ იგი გლეხობას საპროტესტო აქციების ჩატარებისგან თავის შეკავებას ურჩევს. **"ჩვენ არ უნდა დავასხათ მტრის წისქვილზე წყალი. ეს რთველი ისეთი იქნება, როგორც არასდროს,"** - ასე აიმედებს კახელებს მინისტრი და იქვე აქცენტს ყურძნის ფასებზეც აკეთებს. ირაკლი ოქრუაშვილის განცხდებით, რქაწითელის ჯიშის ყურძენს ქარხნები და ბიზნესმენები 35-40 თეთრად ჩაიბარებენ. **"თუ ვინმეს პრობლემები გექნებათ, აგერ, სატუმრო "რებში" ვარ და შემატყობინეთ. რაც შეეხება ფასს, უკვე გადაწყვეტილია 40 თეთრი ეღირება რქაწითელი და მეტ ფასს არავინ მოგცემთ,"** - აღნიშნავდა ოქრუაშვილი.

შეგახსენებთ, პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ კახეთში ვიზიტის დროს გურჯაანის და სიღნაღის რაიონები თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს ჩააბარა. შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს კი საგარეჯო და თელავი, ხოლო გენპროკურორს ყვარლის რაიონი. ლაგოდეხის, ახმეტის და დედოფლისწყაროს რაიონებში რთველისთვის ყურადღების მიქცევა კი პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილს დაევალა.

*24 საათი*

## იგორ გიორგაძის და მაია თოფურიას სატელეფონო ჩანაწერი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის და მისი მეუღლის დის შვილის, მაია თოფურიას სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერი გაავრცელა. ჩანაწერის თანახმად, იგორ გიორგაძე თოფურიას საპროტესტო აქციის მსვლელობის, გადმორიცხული თანხისა და საბანკო ანგარიშის თაობაზე ესაუბრება:

იგორ გიორგაძე: - სად ხართ ახლა?

მაია თოფურია: - "დედა ენის" ძეგლთან, პარლამენტისკენ გვაქვს მსვლელობა. 3500 ადამიანია. ერთ წრეს დავარტყამთ და დავიშლებით.

იგორ გიორგაძე: - ანგარიში მინდა პარტიის, ევროპიდან არის ხალხი, იქაც უნდათ, დაგვეხმარონ. გახსენით გუშინ ის, რაც გამოვაგზავნე?

მაია თოფურია: - როდის, გუშინ? გუშინ არ ყოფილა არაფერი.

იგორ გიორგაძე: - იყო, იყო. ძალიან სერიოზულად გაქვთ მოსაფიქრებელი რა და როგორ. ძალიან, ძალიან ბევრი ჩავარდნა გქონდათ... აბა შენ იცი, არ დააყოვნო.

მაია თოფურია: - არა, არა, ახლავე ვიზამ.

როგორც ცნობილია, შს სამინისტრომ 7 სექტემბერს სამშობლოს ღალატის ბრალდებით 13 პირი დააპატიმრა. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით წაუყენეს. ერთ-ერთმა ბრალდებულმა მაია ნიკოლეიშვილმა ბრალი აღიარა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. დანარჩენ 12 პატიმარს კი ორთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

*ინტერპრესნიუსი*

## შეხვედრა ქალთა კოლონიაში

**"ჩემთვის გაცილებით ადვილია საპყრობილეში ყოფნა, ვიდრე იმ ოჯახში ცხოვრება, სადაც 17 წელი გავატარე",** - განუცხადა სახალხო დამცველს ქალთა საპყრობილეში მყოფმა ნათია ჯანელიძემ, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მეუღლის განზრახ მკვლელობის წაქეზების ბრალდებით, წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

შეგახსენებთ, რომ ნათია ჯანელიძის მეუღლე, სადახლოს პოლიციის უფროსი უჩა ჯანელიძე 29 აგვისტოს, გვიან ღამით, თემქის მესამე მიკრორაიონში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ნახეს მოკლული. მას თავისივე ტაბელური იარაღიდან გასროლილი რვა ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მკვლელობის მეორე დღეს ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს მოკლულის მეუღლე და სიმამრი. ნათია ჯანელიძეს ბრალი განზრახ მკვლელობის წაქეზებაში, ხოლო მის მამას, ვახტანგ თელიას - განზრახ მკვლელობაში დასდეს. მოკლულის სიმამრმა გამოძიებას დაკავებისთანავე მისცა აღიარებითი ჩვენება და განმარტა, რომ მან სიძის მკვლელობით თავისი ქალიშვილი მეუღლის აგრესიისგან გაათავისუფლა.

**"მომხდარს არ ვნანობ და ნებისმიერ შემთხვევაში ასე მოვიქცეოდი. ჩემი სიძე ჩემს ქალიშვილს საშინლად ექცეოდა",** - ასეთი გახლდათ სიძის მკვლელობაში ბრალდებულ ვახტანგ თელიას მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება. თელიამ დანაშაულში შვილის მონაწილეობა კატეგორიულად უარყო.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქალთა საპყრობილეში ომბუდსმენთან შეხვედრის დროს ნათია ჯანელიძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი უდანაშაულოდ ცნო და სახალხო დამცველთან საუბრისას მეუღლის მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები გაიხსენა.



ინტერპრესნიუსი

*ნათია ჯანელიძე*

**"შეხვედრის დროს ნათია ჯანელიძემ განაცხადა, რომ 1989 წელს, 14 წლის ასაკში, ცოლად მოყვანის მიზნით, ის უჩა ჯანელიძემ მოიტაცა. მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე საქმე ამ ფაქტზე არ აღძრულა. ნათია ჯანელიძეს უჩა ჯანელიძესთან ქორწინებაში შეეძინა სამი ვაჟი. 17 წლის მანძილზე მეუღლის, უჩა ჯანელიძის მხრიდან იგი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა. უჩა ჯანელიძე თითქმის ყოველდღე მას და მათ შვილებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, ითხოვდა მონურ მორჩილებას და ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა. შიშის გამო, ნათია ჯანელიძე ოჯახიდან წასვლასა და მეუღლესთან განქორწინებას ვერ ბედავდა",** - აცხადებს ომბუდსმენი.

*24 საათი*

## თანამდებობის პირთა საქმე გასაიდუმლოებულია

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ექვსი თანამდებობის პირის საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს. სამინისტროში და გენპროკურატურაში აღნიშნულ პირთა ვინაობას არ აკონკრეტებენ, თუმცა აცხადებენ, რომ გენერალური პროკურატურა სამინისტროს თანამშრომელთა საქმის გამოძიებას ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის გადაწყვეტილებით ასრულებს. საქმე რამდენიმე დღეა, რაც გენერალურ პროკურატურაშია, მაგრამ ამ ეტაპზე არც ის სახელდება გამოძიება სისხლის სამართლის რომელი მუხლით მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, პროკურატურა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირთა საქმეს იძიებს.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსეთში დაკავებულია ქართველი მეწარმე

ლენინსკის ფედერალურმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინ დაკავებულ ცნობილ მეწარმეს ბადრი შენგელიას პატიმრობა შეუფარდა.

შენგელიას განსაკუთრებით დიდი მასშტაბის თაღლითობის ბრალდება აქვს წარდგენილი.

სისხლის სამართლის საქმე პეტერბურგის ფაბრიკის "რაბოჩის" ირგვლივ წარმოქმნილი კონფლიქტის საფუძველზე აღიძრა, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა ქართველი ბიზნესმენის დანაშაულებრივი ქმედებები აღმოაჩინეს.

ბადრი შენგელია რუსეთში სააქციო საზოგადოება "შეკსნინსკის" პრეზიდენტი იყო. იგი წარსულში ერთხელ უკვე დაადანაშაულეს თაღლითობაში, თუმცა მაშინ იგი სასამართლომ გაამართლა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ფინანსური პოლიცია დანაშაულების წინააღმდეგ

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

როგორც სამართალდამცველებმა გაარკვიეს, შპს "მშენკო" უსაქონლო ოპერაციების მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკანონო ჩათვლებს ღებულობდა. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. ფირმის დოკუმენტაციას საბუღალტრო ექსპერტიზა უტარდება, რის შემდეგაც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ კი შპს "საქართველოს რკინიგზის" სამტრედიისა და ქუთაისის სალოკომოტივო დეპოში მითვისება-გაფლანგვის ფაქტი გამოავლინა. ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, 2005-2006 წლებში დეპოს ხელმძღვანელობამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით საწვავი და მარაგ-ნაწილები მიითვისა და გაფლანგა. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, დეპოს დოკუმენტაცია ამოღებულია და საბუღალტრო ექსპერტიზა მიმდინარეობს. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 182-ე მუხლით, რაც მითვისებას ან გაფლანგვას გულისხმობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## შსს ახალ დეტალებს ახმაურებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო იგორ გიორგაძის მომხრეების მიერ დასახული გეგმების ახალ დეტალებს ახმაურებს.

როგორც შს სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა ეკა ოყროშიძემ განაცხადა, საქართველოში იგეგმებოდა შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების ლიკვიდაცია, რაც მათ დაქვემდებარებაში არსებული სისტემების ბლოკირებას გამოიწვევდა.

როგორც ერთ-ერთი დაკავებულის, თემურ ჟორჟოლიანის ადვოკატმა გელა ნიკოლეიშვილმა განაცხადა, მისთვის უცნობია, ბრალდების მხარე რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს იმის შესახებ, რომ გიორგაძის მომხრეები ძალოვანი სტრუქტურების პირველ პირებზე თავდასხმას გეგმავდნენ.

"საგამოძიებო მხარე ვალდებულია ყველა ის მტკიცებულება, რასაც ბრალდება ეყრდნობა, დაცვის მხარეს გააცნოს, მე ჯერ მხოლოდ ორი მოწმის ჩვენება მოვიპოვე. სხვა მტკიცებულებაზე ხელი არ მიმიწვდება, რაც კანონის უხეში დარღვევაა",-განაცხადა ნიკოლეიშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

## ალექსანდრე ჭუმბურიძეს აღმკვეთ ღონისძიებას შეუფარდებენ

იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობის" წევრს, "ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალური ოფისის აფეთქების მცდელობის ფაქტზე დაკავებულ ალექსანდრე ჭუმბურიძეს აღმკვეთ ღონისძიებას სავარაუდოდ დღეს შეუფარდებენ.

11 სექტმბერს იწურება 72-საათიანი ვადა, რა პერიოდშიც სასამართლომ ჭუმბურიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე უნდა იმსჯელოს. ვინაიდან ჭუმბურიძე მძიმე ბრალდებით არის დაკავებული, მისთვის ბრალდების მხარე ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს.

ალექსანდრე ჭუმბურიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა 8 სექტემბერს დააკავეს. იგი უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი და ტერორიზმისთვის ინტერპოლის მიერ ძებნილი, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის მამის, პანტელეიმონ გიორგაძის "კომუნისტური პარტიის" წევრი იყო.

*ინტერპრესნიუსი*

## ომბუდსმენი სამხედრო პოლიციელების დასჯას მოითხოვს

სამხედრო პოლიციამ ქეთევან წამებულის ქუჩა N25-ში მდებარე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული კორპუსიდან ყოფილი სახალხო ლაშქრის "მონადირეს" მეთაურის ბესო კვიციანის ოჯახის წევრები გამოასახლა. ოფიციალური ინფორმაციით, ვინაიდან კვიციანი აღარ არის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, არ შეიძლება მისი ოჯახი უწყების ბალანსზე რიცხულ შენობაში ცხოვრობდეს.

კვიციანების ოჯახის ადვოკატის მოთხოვნით, გამოსახლების საქმეში ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლები ჩაერთენ. როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი გიგა გიორგაძე აცხადებს, სამხედრო პოლიცია უკანონოდ მოიქცა და უფლებამოსილებას გადაამეტა.

**"შენობიდან გამოსახლებამდე უნდა მიემართათ სასამართლოსთვის, რომელიც გადაწყვეტილებას გამოიტანდა. თუ ოჯახი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა, მაშინ მათ აღმასრულებლები გამოასახლებდნენ, გამოსახლება სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებს არ უნდა განეხორციელებინათ,"** - აცხადებს გიგა გიორგაძე.

როგორც გაირკვა, სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა, კვიციანების გამოსახლებისას ადგილზე მყოფ სამხედრო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს ბაკაშვილს მოსთხოვა განემარტა, თუ რის საფუძველზე ცლიდნენ კვიციანები ბინას. ბაკაშვილმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები და განაცხადა, რომ ბინას კანონიერ მფლობელს, ანუ თავდაცვის სამინისტროს, უბრუნებდნენ.

ომბუდსმენის აზრით, აღნიშნული საქმე სამოქალაქო დავის საგანია. თუკი თავდაცვის სამინისტროს მიაჩნდა, რომ კვიციანების ოჯახი უკანონოდ ცხოვრობდა ამ ბინაში, მას სასამართლოში უნდა შეეტანა სარჩელი. გამოსახლების პროცესი სააღსრულებო პოლიციას უნდა ჩაეტარებინა და არა სამხედრო პოლიციას, რომლის კომპეტენციაც სამხედრო დანაშაულებებზე რეაგირებაა.

**"სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებმა გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებას, რაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულია",** - განმარტავენ ომბუდსმენის ოფისში.

სოზარ სუბარი რეკომედაციით მიმართავს გენერალურ პროკურატურას, შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. ინფორმაცია გენერალური პროკურატურის "ცხელ ხაზს" სახალხო დამცველის აპარატმა უკვე მიაწოდა.

*24 საათი*

## მორიგი ინციდენტი საპყრობილეში

თბილისის N1 საპყრობილეში მოკვლეული მასალები სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა თბილისის N1 საპყრობილის პატიმრები - მიხეილ კერესელიძე, ოთარ ბაბოევი, თამაზ შავემოვი და გურამ ვაშაკიძე მოინახულეს. პატიმართა განმარტებით, 6 სექტემბერს, დაახლოებით 9 საათზე, რამდენიმე პიროვნებასთან ერთად მათთან საკანში შევიდა ლევან მარუაშვილი და მათ თავი დაწესებულების ახალ დირექტორად წარუდგინა. მარუაშვილმა პატიმრებს მობილური ტელეფონების ჩაბარება მოსთხოვა, თან დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ნივთს "ჩაუდებდა", რითაც მათ სასჯელს დაუმატებდა.

საკანში უკანონო ნივთი არ აღმოჩნდა, თუმცა პატიმრების თქმით, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა პატიმრები ცალ-ცალკე გაიყვანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები აცხადებენ, პატიმრებს ზურგისა და ფეხის არეში დაზიანებები მართლაც აღენიშნებათ. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა პატიმრებს ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს და ოქმები შეადგინეს.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, აღნიშნული მასალები გადაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს პავლე კოვზირიძეს და საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს თამარ თომაშვილს.

შეგახსენებთ, რომ ლევან მარუაშვილის უკანონო ქმედებების შესახებ სახალხო დამცველი საპარლამენტო მოხსენებაშიც საუბრობდა. მაშინ, როცა პარლამენტს 2005 წლის მეორე ნახევრის თაობაზე ჩააბარა ანგარიში.

სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი ლევან მარუაშვილი და ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორის მოადგილე ირაკლი კუჭუხიძე.

ომბუდსმენის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ 2006 წლის 6 თებერვალს შეიარაღებული და ნასვამი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი ლევან მარუაშვილი და ქუთაისის N2 საპყრობილეს დირექტორის მოადგილე ირაკლი კუჭუხიძე ღამის საათებში ქუთაისის N2 საპყრობილეში საკნის კარებზე მუჯლუგუნის ცემით პატიმრებს აღვიძებდნენ. თუ მათ ხმაურს რომელიმე საკნიდან პატიმარი გამოეხმაურებოდა, მას ფიზიკურად უსწორდებოდნენ. 6 თებერვალს არაერთმა პატიმარმა მიიღო ფიზიკური დაზიანება. ლევან მარუაშვილმა და ირაკლი კუჭუხიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა თავის თანამშრომელს პაატა ლომსიანიძესაც მიაყენეს. მოგვიანებით, მარუაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაწესებულების მედპერსონალსა და სხვა თანამშრომლებს.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას და ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიების დაწყება და დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. თუმცა, სოზარ სუბარის მაშინდელ რეკომენდაციას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მარუაშვილის საქმიანობასთან დაკავშირებით ომბუდსმენმა სამართალდამცველ სტრუქტურებს მორიგი რეკომენდაციით რამდენიმე დღის წინ მიმართა. **24 საათი**

## ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს...

პირველი გვერდიდან

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მითითებით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს იმ პოლიციელთა საქმიანობის შეჩერება, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს გამოძიება.

### ძალის გამოყენება წინასწარი დაკავების საკნებში და ციხეებში

"საერთაშორისო ამნისტიის" ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წინასწარი დაკავების საკნებში და ციხეში მყოფი პატიმრების მიმართ ზედმეტი ძალა გამოიყენა, რის შედეგადაც სულ მცირე, შვიდი პატიმარი გარდაიცვალა. "საერთაშორისო ამნისტია" სერიოზულად შეშფოთებულია იმით, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა დროული, საფუძვლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება.

ანგარიშში ნათქვამია, რომ არსებული ცნობების თანახმად, 26 იანვარს იუსტიციის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირმა და სამინისტროს სპეციალური რაზმის დაახლოებით 30-მდე თანამშრომელმა უკანონო ნივთების ამოღების მიზნით, ბათუმის ციხეში ჩხრეკა ჩაატარა. საერთაშორისო ორგაიზაციაში შესული ინფორმაციით, პატიმრები აიძულეს ეზოში გასულიყვნენ, სადაც მათ არბენინებდნენ და სცემდნენ ხელკეტებით. ცნობების თანახმად, პატიმრები ეზოში ორი საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ - სიცივეში და საცვლების amარა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 30 იანვარს, დილით, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური რაზმი, ჩხრეკის ჩატარების მიზნით, შევიდა რუსთავის N1 დაწესებულებაში. ორგანიზაციაში შესული განცხადებების თანახმად, ზოგიერთი პატიმრის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გამო, პატიმართა დიდ რაოდენობას სასტიკად სცემეს. ასევე, სპეციალური რაზმის ოფიცრებმა ჰაერში ისროლეს ავტომატისა და რეზინის ტყვიები.

"საერთაშორისო ამნისტიის" განცხადებით, მიმოხილვის დასრულების დროს ბათუმის ციხესა და რუსთავის N1 დაწესებულებაში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით საქმე არ აღძრულა.

**"უფრო სერიოზული ინციდენტი, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, 27 მარტის დილას მოხდა, როდესაც, განცხადებების თანახმად, სპეცრაზმმა ზედმეტი ძალა გამოიყენა თბილისის N5 იზოლატორში მყოფ პატიმართა წინააღმდეგ. შვიდი პატიმარი დაიღუპა და ბევრი დაშავდა. ხელისუფლების თქმით, სპეცრაზმი საპყრობილეში შეიარაღებული აჯანყებისა და წინასწარ ორგანიზებული გაქცევის მცდელობის ჩასახშობად შევიდა,"** - ნათქვამია ანგარიშში.

"საერთაშორისო ამნისტიის" დასკვნაში ნათქვამია, რომ განცხადებების თანახმად, სპეცრაზმს, რომელიც თბილისის N5 იზოლატორში შევიდა, არ უცდია ციხეში კონტროლის დამყარება მშვიდობიანი გზით, მეტიც, მათ ავტომატური იარაღიდან გახსნეს ცეცხლი, ჰაერში ისროლეს რეზინის ტყვიები და პატიმრებს სცემეს ხელკეტებით.

**"ზოგიერთი ცნობის თანახმად, გენერალურმა პროკურატურამ სამი თვის შემდეგ აღძრა საქმე, რომელიც კონკრეტულად სპეციალური რაზმის თანამშრომლების მხრიდან ზედმეტი ძალის გამოყენებას ეხებოდა,"** - ნათქვამია ანგარიშში.

### გირგვლიანის საქმე

საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში საუბარია სანდრო გირგვლიანის საქმეზე. მოხსენებაში ნათქვამია, რომ 27 იანვრის ღამეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმა თანამშრომელმა, 18 წლის სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი ლევან ბუხაიძე თბილისთან ახლოს მდებარე დაბა ოქროყანაში წაიყვანეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამმა თანამშრომელმა და კიდევ ერთმა ადამიანმა, რომელიც მათ მოგვიანებით შეუერთდა, სასტიკად სცემეს და შეურაცხყოფა მიაყენეს ორივე ახალგაზრდას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სანდრო გირგვლიანი მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა გარდაცვლილის სხეულზე წამების კვალი აღმოაჩინა - ყელზე დანით მიყენებული 12 ჭრილობა და მარცხენა ხელზე ოცდაოთხამდე ჭრილობა.

არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციების თანახმად, ორი ახალგაზრდის გატაცება და ცემა დაკავშირებული იყო იმავე საღამოს თბილისის ცენტრში, შარდენ ბარში მომხდარ შელაპარაკებასთან, სადაც სანდრო გირგვლიანი, ლევან ბუხაიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე ატარებდნენ საღამოს. "საერთაშორისო ამნისტია" ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ სანდრო გირგვლიანსა და ლევან ბუხაიძეს შელაპარაკება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ბარის გარეთ მოუხდათ, სადაც არც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები და არც შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე არ იმყოფებოდნენ.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 6 მარტს, შინაგან საქმეთა მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გირგვლიანის მკვლელობის საქმე გაიხსნა და რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოთხი თანამშრომელი დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით.

"2 მაისს, საინფორმაციო ბრიფინგზე თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა, რომ დაკავებულ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი მრავალი ნივთმტკიცებით დასტურდებოდა, მათ შორის, აღიარებითი ჩვენებითაც. პროკურორის განცხადებით, დაკავებულები ამოიცნო დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ. "ჯერჯერობით არ გაგვაჩნია მტკიცებულებები, რომლებიც მიგვითითებენ დანაშაულის დამკვეთ პირზე", - აცხადებდა პროკურორი," - წერია "საერთაშორისო ამნისტიის" ანგარიშში. ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას საქმის ობიექტური გამოძიების რეკომენდაციას აძლევს.

### სინდისის პატიმრები

"საერთაშორისო ამნისტია" შეშფოთებას გამოთქვამს არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" ხუთი წარმომადგენლის - ირაკლი კაკაბაძის, ლაშა ჩხარტიშვილის, ზურაბ რთველიაშვილის, ჯაბა ჯიშკარიანის და დავით დალაქიშვილის დაკავების გამო. **"სასამართლოს დაცვამ ისინი იმ დროს დააკავა, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოსთან საპროტესტო აქციას მართავდნენ. ისინი მოითხოვდნენ ჟურნალისტების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის გათავისუფლებას, რომლებსაც "გამოძალვის" მუხლით ასამართლებდნენ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ ეკა ტყეშელაშვილმა ხუთ ადამიანს შეუფარდა 30-დღიანი პატიმრობა - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის ("სასამართლო წესრიგის დარღვევის") მიხედვით გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელი. გავრცელებული განცხადებების თანახმად, სასჯელი დაკავებულებს ზეპირი მოსმენის გარეშე შეეფარდათ, თანაც, განაჩენი არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას,"** - ნათქვამია ანგარიშში. "საერთაშორისო ამნისტია" შეშფოთებას გამოთქვამს განცხადებების გამო, რომელთა თანახმადაც, ხსენებული ადამიანები აზრის თავისუფლების გამო დაისაჯნენ. თუმცა, ამავე დროს, ორგანიზაცია აცხადებს, რომ პროტესტისას ირაკლი კაკაბაძე იყენებდა მეგაფონს, რომლის საშუალებითაც მოითხოვდა ჟურნალისტების გათავისუფლებას, მეგაფონით გამოწვეულ ხმაურს, შესაძლოა, ხელი შეეშალა სასამართლოს მსვლელობისთვის.

*24 საათი*

## მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

გასულ კვირაში, სანამ საფრანგეთის ნაკრებთან მატჩს წავაგებდით, "24 საათმა" ერთი, ასე ვთქვათ, იუმორისტული ტექსტი გამოაქვეყნა, რომელსაც, მგონი, *ფეხბურთი და "ვეფხისტყაოსანი"* ერქვა. კომიკური ეფექტი ამ ტექსტში ინტერპრეტაციის მცდარ მეთოდს უნდა შეექმნა: ვიღებთ "ვეფხისტყაოსნიდან" მცირე ამონარიდებს, სადაც გამოყენებულია დღევანდელი საფეხბურთო ტერმინების ომონიმური სიტყვები ("მეკარე", "მწვრთნელი" და სხვა) და ვაგებთ "თეორიას", თითქოს მთელი პოემა საფეხბურთო თემაზეა შეთხზული. ახლა არ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, რამდენად იწვევდა სიცილს გაზეთში დაბეჭდილი ეს მასალა - ამ პრობლემის გადაჭრა არ მიმაჩნია მნიშვნელოვნად. რა ხარისხისაც არ უნდა ყოფილიყო ეს კონკრეტული ტექსტი, ძირითადი მეთოდი სწორად იყო არჩეული: კომიკური ეფექტი მართლაც მიიღწევა ამგვარი ხრიკით, თუ, რა თქმა უნდა, ზედ ავტორის ნიჭიც დაერთო.

თუმცა მეთოდი არც თუ ისე უსაფრთხოა. ახლავე ვნახავთ ერთ პატარა მაგალითზე. ცნობილია, რომ ძველ ხელნაწერებში პუნქტუაცია (წერტილები, მძიმეები, კითხვის ნიშნები და ა. შ.) არ არსებობს - მისი დასმა ტექსტის გამომცემი ფილოლოგის საქმეა. ჩვენც ვისარგებლოთ ამ გარემოებით და შემდეგნაირი წაკითხვა განვიხილოთ: **"ქმარი არ მინდა, უშენოდ მომხვდეს ხისაცა რგულისა"**. როგორც ვხედავთ, მძიმე ერთი სიტყვით წინ გადმოვწიეთ. რას ეუბნება თინათინი ავთანდილს? - იმას, რომ მას არ უნდა ქმარი და რომ ავთანდილის მაგივრობას ხისგან გამოთლილი ნივთი გაუწევს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ რომში, კაუჩუკისა და სინთეზური მასალების უქონლობის გამო, სექსუალური დაკმაყოფილებისათვის გამიზნულ საგნებს ხისა და თიხისგან ამზადებდნენ, ხოლო საქართველო ყოველთვის გაცხოველებულ კავშირში იმყოფებოდა ბიზანტიასთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსთაველის ხანის საქართველოში ბიზანტიური სექსშოპების საკმაოდ განვითარებული ქსელი არსებობდა, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ ამგვარ არჩევანზე ხმამაღლა საუბარი არ იყო დასაძრახი.

კიდევ ერთხელ განვიხილოთ ამგვარი აბსურდული დასკვნის მისაღები ტექნოლოგია. იგი შეიცავს რამდენიმე "ხილულ" ელემენტს:

1) ტექსტიდან ფრაგმენტის ამოღება;

2) პუნქტუაციის დასმა - სტანდარტული ფილოლოგიური ოპერაცია;

3) ისტორიული პარალელების მოხმობა (მონაცემები რომის იმპერიის ყოფის შესახებ) და შუალედური ვარაუდი (ბიზანტია რომის მემკვიდრეა, ესე იგი, მოცემული ყოფითი ელემენტი მასშიც უნდა არსებობდეს).

4) ლოგიკური ჯაჭვის შეკვრა და საბოლოო ვარაუდი.

მაგრამ ტექნოლოგია შეიცავს ერთ "უხილავ" ელემენტსაც. მას ვერ ვხედავთ არგუმენტაციაში, მაგრამ ის აუცილებლად არსებობს: ესაა მკვლევრის წინასწარი განწყობა ან უშუალო სურვილი, მიიღოს მაინცდამაინც ასეთი ხასიათის დასკვნა.

რა თქმა უნდა, თუნდაც მდარეხარისხოვან მეცნიერულ ტექსტებში ასეთ სტატიას ვერასოდეს შევხვდებით, რადგან ზემოთ მოცემული დასკვნის გაცამტყვერება ძალიან ადვილია: საკმარისია ხელში ავიღოთ რუსთაველის პოემა და მთლიანად წავიკითხოთ თინათინის სიტყვა ავთანდილის მიმართ. მაგრამ კონტექსტი განა ყოველთვის ასე ადვილი მისაგნებია?

ვნახოთ, როგორ გამოიყენება იგივე მეთოდი (შეგნებით თუ შეუგნებლად, არ გვაინტერესებს) ქართულ ჟურნალისტიკაში. ამისათვის განვიხილოთ სამი პუბლიკაცია, რომელიც აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში დაიბეჭდა "24 საათის" ფურცლებზე მას შემდეგ, რაც გახმიანდა რადიო "თავისუფლების" ეთერში. სამივეს ავტორი **ია ანთაძეა**. მაში ასე:

1) ტექსტიდან, ანუ ჩვენს შემთხვევაში რეალობის მთელი სისავსიდან ფრაგმენტის ამოღება: ა) ოპოზიცია მერობის კანდიდატად განიხილავს **ბადრი პატარკაციშვილს** (9 აგვისტოს ჯერ კიდევ ასე იყო); ბ) "რუსთავი-2"-დან დაითხოვეს **ნიკა ტაბატაძე**; გ) მიუხედავად მომზადებისა და საზოგადოებაში დანერგილი განწყობისა, საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთის ნაკრებთან დიდი ანგარიშით წააგო.

2) პუნქტუაცია, ანუ ამოღებული ფრაგმენტის სტრუქტურირება: ა) ოპოზიციას ჩამოყალიბებული პოლიტიკური სახე არ გააჩნია; ბ) ნიკა ტაბატაძის დროს შეიარაღებული ძალები და პოლიცია ერთნაირი წილით იყო წარმოდგენილი ტელეკომპანიის ეთერში; გ) გულშემატკივრობა არაა გამარჯვების გარანტია.

3) პარალელების მოხმობა ობიექტური ან სუბიექტური რეალობიდან: ა) პარლამენტში მოსახვედრად დაწესებულია ზედმეტად მაღალი, შვიდპროცენტიანი ბარიერი; ბ) თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს შორის არსებობს დაძაბულობა; გ) საქართველოს ხელისუფლების ტაქტიკა სრულიად ამოიწურება საზოგადოებაში მცდარი შთაბეჭდილების შექმნის მცდელობით.

4) ლოგიკური ჯაჭვის დასრულება და დასკვნა: ა) მაღალი ბარიერი აბრკოლებს ხელისუფლებაში ახალი და კომპეტენტური ადამიანების გამოჩენას; ბ) ოქრუაშვილი თავის მძიმე ხელს ადებს "რუსთავი-2"-ს და ტელეკომპანიაზე კონტროლს აწესებს; გ) ხელისუფლება ატყუებს საზოგადოებას ყველაფერში, მათ შორის ფეხბურთშიც.

ყველაფერი ლოგიკურად გამართულია. მაგრამ სწორედ აქაა მთავარი შეცდომა: ჩვენ ყოველთვის ზედმეტად ვენდობით ლოგიკას, მაშინ როცა ის მხოლოდ მეთოდია ან დალაგების წესი, რომელიც თავისთავად არავითარ გარანტიას არ იძლევა. სამივე ამ დასკვნას საფუძვლად კონკრეტული კონტექსტის მიუწვდომლობა უდევს: ა) ჩვენ არ ვიცით, გამოჩნდებიან თუ არა ხელისუფლებაში ადგილის დაკავების ღირსი კომპეტენტური პიროვნებები საარჩევნო ბარიერის გაუქმების შედეგად; ბ) ჩვენ არ ვიცით და საკუთარი ძალებით ვერასოდეს შევამოწმებთ, რატომ უნდა მივიჩნიოთ ნიკა ტაბატაძის დათხოვნის ათობით შესაძლო ვარიანტიდან ყველაზე ალბათურად მინისტრებს შორის მეტოქეობა; გ) მიუხედავად იმისა, რომ გასაგებია - როგორი სუსტიც არ უნდა იყოს გუნდი, მატჩის წინ "ობიექტური" თვითკრიტიკა არანაირად არაა გამართლებული და ფსიქოლოგიური ნონსენსია სტადიონზე წასვლა დამარცხების მოლოდინით, ზუსტად ვერასოდეს ვიტყვით, სად, როგორ და რამდენად "გადაამეტა" ხელისუფლებამ თუ მედიამ საფეხბურთო პროპაგანდაში. მაგალითად, თუ ფრანგების კონკრეტული ჯგუფი, რომელსაც აკვირდებოდა ია ანთაძე, თავშეკავებულად გულშემატკივრობდა, ეს არ ნიშნავს, რომ იგივე მთელ საფრანგეთზე ვრცელდება ან ყველა წარმოსადგენ მატჩზე (მე, მაგალითად, სრულიად გულგრილი ვიყავი - უნდა დავასკვნათ, რომ მთელი საქართველო ასე იყო?). ან თუ წინასწარ ვიცოდით, რომ ჩვენი გუნდი წააგებდა, განა ეს საკმარისი საბაბია იმისთვის, რომ მაყურებლისა და მთელი საზოგადოების ორგანიზებაზე უარი ვთქვათ და, ჩვეულებისამებრ, ველურად მოვიქცეთ სტადიონზე, ქუჩაში, სახლებში?

როგორც ვხედავთ, ყოველი დასკვნის ღირებულება ადეკვატურად შეიძლება შევაფასოთ ერთი გამოთქმით, რომელიც პოპულარული იყო ჩემი სიყმაწვილის პერიოდში: "ან არი, ან არა". აქედან კი ერთი ნაბიჯია ტექნოლოგიის იმ "უხილავი" ელემენტის ამოცნობამდე, რომელიც აიძულებს ჩვენს ავტორს ზემოხსენებული დასკვნების გაკეთებას. ეს ელემენტი შეიძლება ორ კომპონენტად დაიყოს: 1) ხელისუფლების კრიტიკის სურვილი - თავისთავად არაა დასაძრახი რამ, რადგან ყველაფერი შედეგს გააჩნია; 2) სწრაფვა იმისკენ, რომ მკითხველს გაუჩნდეს შთაბეჭდილება, თითქოს განსაკუთრებულად შორსმჭვრეტელ და ღრმა ავტორთან აქვს საქმე - ადამიანური პოზიციიდან ესეც არაა მთლად გაუგებარი, თუმცა რთული ტექნოლოგია ყოველთვის არ იძლევა სიღრმის გარანტიას.

თუ დავიბენით და არ ვიცით, რა ვქნათ, როგორ მივუდგეთ საკითხს, დასაწყისისთვის შეგვიძლია ავირჩიოთ მარტივი ორსაფეხურიანი სისტემა:

1) გასაკრიტიკებელი რეალობიდან ფრაგმენტის ამორჩევა;

2) მისი შემოწმება მკითხველისათვის ნაცნობი და ადვილად მისაწვდომი რეალობით.

დასკვნა კი თვითონ მკითხველმა თუ მსმენელმა გამოიტანოს.

ახლავე მოგაწვდით მაგალითებს, რომლებიც ალალბედზე ავიღე ჩვენი გარემომცველი სინამდვილიდან. ეს მაგალითები სწორედ ასეთ ორსაფეხურიან მეთოდს დავუქვემდებარე და მომავალი შესაძლებელი სტატიების ჩანასახებად ვაქციე.

მაგალითი პირველი:

1) ვისაც კი შინ ტელევიზორი აქვს, ყველამ გაიგო ქართველ ბიზნესმენთა შემდეგი გამონათქვამები: **"15 თეთრად ვიბარებთ კილო ყურძენს, მეტი რა უნდათ?"**, **"ორმოცპროცენტიანი მოგება ნორმალურია, ჩვენს გლეხებს კი ოთხასპროცენტიანი მოგება უნდათ და ამიტომ არიან უკმაყოფილონი"**.

2) ავიღოთ ყველასათვის მისაწვდომი შემდეგი რეალობა: ერთი საკარმიდამო ნაკვეთიდან მოწეული სამი ტონა ყურძენი საკმაოდ სოლიდური მოსავალია; 15 თეთრად ჩაბარებული იძლევა 450 ლარს; სახლიდან ჩამბარებელ პუნქტამდე მისაღწევად ავტომობილის დაქირავება 100 ლარი ჯდება; დარჩა 350 ლარი, თუ არ გავითვალისწინებთ წლის განმავლობაში აუცილებელ სხვა ხარჯებს.

მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს: ღირს თუ არა ვენახის მოსავლელად აუცილებელი ჯოჯოხეთური შრომა წელიწადში 350 ლარზე ნაკლებ (ბევრად ნაკლებ!) თანხად? არის თუ არა ქართველი გლეხი ორიენტირებული ოთხასპროცენტიან მოგებაზე? შეიძლება თუ არა ლაპარაკი თუნდაც ორმოცპროცენტიან მოგებაზე?

გასაგებია, რომ ამის შემდეგ შესაძლებელია გულის მოოხება და სოფლის მეურნეობის მინისტრის ხელფასის დასახელება, ან იმის თქმა, რომ **ზურაბ ნოღაიდელის** ლაპარაკის სტილი რატომღაც ყოველთვის გვაგონებს დაფასთან გამოძახებულ ოროსან კლასელს, ან თუნდაც ძველი პროპაგანდისტული ინვენტარის გახსენება და "კაპიტალიზმის ზვიგენებზე" მსჯელობა, ანუ კრიტიციზმში იმდენად შორს წასვლა, რამდენზეც გემოვნების სადავე გაგიშვებს.

კიდევ ერთი მაგალითი:

1) თბილისის მერი ხშირად იყენებს მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელს: **"ჩვენ გადავთხარეთ ასი ქუჩა..."**, **"ჩვენ ვაპირებთ ყურძნის ყიდვას..."** და ა. შ.

2) ავიღოთ ყველასათვის ცნობილი პრინციპი: როგორ ივსება თბილისის ბიუჯეტი. გასაგებია, რომ "ჩვენ" ამ შემთხვევაში უნდა ნიშნავდეს ამ ბიუჯეტის კონკრეტულ შემვსებებს, ე. ი. გადასახადთა გადამხდელებს.

მკითხველმა უნდა განსაჯოს: ვის გულისხმობს თბილისის მერი, როცა ამბობს - "ჩვენ"? რატომ უნდა ვუთხრათ განსაკუთრებული მადლობა მას იმისათვის, რომ ჯიბეში არ იდებს ჩვენს კუთვნილ თანხებს? როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უცნაური მადლიერება და როდემდე უნდა მივიჩნიოთ, რომ მეტ-ნაკლებად პატიოსანი მმართველობა რაღაც არნახული და სასწაულებრივი მოვლენაა? როდემდე უნდა იყოს **ვანო ზოდელავა** შედარების ეტალონი?

ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყურძენს თუ ღვინოს "ისინი" კი არ ყიდულობენ, არამედ ჩვენ ვყიდულობთ (მართალია, ჩვენთვის არავის უკითხავს), რომ სადარბაზოებში რკინის კარებს "ისინი" კი არ გვიყენებენ, არამედ ჩვენ გვჭირდება და ისინი გვემსახურებიან და ა. შ. ეს სულაც არაა უმნიშვნელო რამ და მისი გაცნობიერება სწორედ იმ მოქალაქეობრივ შეგნებას განამტკიცებს, რომელიც მედიამ უნდა აღზარდოს ადამიანებში. ამ მიზნის მსახურება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის წამიერი სიამოვნება, როცა შენს დაწერილ ტექსტს გადახედავ და გაგიელვებს თავში მაცდური აზრი: წაიკითხავენ ახლა ამას და იტყვიან, აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული!

მართალია, რომ ჩვენი საზოგადოება მითებში ცხოვრობს და მითის შემოქმედი ჯერ კიდევ დიდი პატივით სარგებლობს მის თვალში. მაინც უნდა ვთქვათ, რომ მარტივი ანალიზისკენ მიდრეკილება არც თუ ისე ძნელი აღსაზრდელია, ხოლო ამ უნარის გამოყენებით მიღებული ეფექტი განუზომლად უფრო დიდი და სასარგებლო იქნება ყოველგვარი მკითხაობიდან მიღებულ წარმავალ სიამოვნებაზე. მახსოვს "რთული" ვარაუდების უბადლო მქსოველი - **ირინა სარიშვილი**. გახსოვთ, შევარდნაძის ეპოქის მიწურულს რა წინასწარმეტყველებებს აცხობდა ყოველდღე? ახლა კი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია - სხვას იჭერენ, მას კი არა. ჰოდა, არის ამის გამო ერთ ამბავში. გგონიათ დაპატიმრებული მეგობრების ღირსებას იცავს? - ყველა ღონეს ხმარობს, რომ ადამიანებს ღმერთი არ გაუწყრეთ და ერთადერთი ყველაზე მარტივი დასკვნა არ გამოიტანონ არსებული რეალობიდან...



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

# შიდსი - მსოფლიო საფრთხე რუსეთიდან

*თბილისში წელს მეორედ ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული შეხვედრა შიდსთან დაკავშირებით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მონაწილეობით. სამუშაო კონფერენციას ესწრებოდნენ ჯანმოს ექსპერტები ჰოლანდიიდან და დანიიდან. ერთერთი მათგანი ჯანმოს ევრობიუროს შიდსის პროგრამის ხელმღვანელი სერჟან მატიჩი თავმჯდომარეობდა კიდეც სხდომას. მასთან საუბარში გაირკვა, რომ რუსეთიდან შიდსის იმპორტის რეალური საფრთხე მარტო ჩვენ კი არა, მთელ ევროპას ემუქრება.*

ზაზა ფაჩუაშვილი

სერჟან მატიჩი: "მე ვარ ევროპის რეგიონის კოორდინატორი სქესობრივად გადამდები ინფექციებისა და შიდსის სფეროში. ხუთი წელია, რაც ჯანმოს ევრობიუროში ვმუშაობ. მანამდე ვიყავი ნიუ იორკში "ღია საზოგადოებაში" სამედიცინო პროგრამების კოორდინატორი. ბოლო 10 წლის განმავლობაში ხშირად მიწევდა საქართველოში ჩამოსვლა და გარკვეული დახმარება.

**- რა შეიძლება ითქვას თქვენი ამჟამინდელი ვიზიტის შესახებ?**

- ვიზიტი დაკავშირებულია იმ კონფერენციის შედეგების შეჯამებასთან, რომელიც თბილისში გაიმართა 2005 წლის სექტემბერში. ინფექციის პრევენციის, მოვლისა და მკურნალობის მხრივ ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიში გააკეთეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმა. შარშანდელ და წლევანდელ შეხვედრებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ შარშან ფოკუსირება მოხდა უფრო ჯანდაცვის სექტორზე - როგორ გაგვეუმჯობესებინა შიდსით ინფიცირებულთა მკურნალობა და გვეზრუნა მკურნალობის ხელმისაწვდომობის თაობაზე. ჯანმოს გადაწყვეტილებით 2005 წლის ბოლოსათვის 3 მილიონი ადამიანის მკურნალობა უნდა მომხდარიყო.

წლევანდელ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ასევე ინფექციის პრევენციიის, მოვლისა და მხარდაჭერის უნივერსალურ ხელმისაწვდომობაზე. ეს არის ახალი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს ხელმისაწვდომობის გაზრდას მოვლა-მხარდაჭერისა და მკურნალობის საქმეში. ამიტომ წელს ბევრი ვიმსჯელეთ ინფექციის პრევენციაზე. სემინარში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლებმა, არამედ ყველა იმ უწყების წარგზავნილებმა, რომელთაც შეხება აქვთ შიდსის პრობლემასთან.

**- როგორია რეგიონში მუშაობის შედეგები, პროგრესი არის?**

- ჩემი აზრით, საქართველომ ძალიან დიდი პროგრესი განიცადა და ამ პროცესის შეჩერება არ შეიძლება. საქართველო თავისი მიღწევებით აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით ბევრად უფრო მაღლა დგას. საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო ანტირეტროვირუსული თერაპია და აქ ყველაზე სრულად არის მოცული იმ ავადმყოფთა რაოდენობა, რომელთაც მკურნალობა ესაჭიროებათ. მართალია, საქართველომ სულ ორი წელია, რაც ანტირეტროვირუსული თერაპია დაიწყო, მაგრამ ამ ხნის მანძილზე შეძლო და ყველა დაავადებულს მკურნალობს (საქართველოში ამჟამად შიდსით დაავადებული 206 პაციენტი მკურნალობს, რასაც გაეროს გლობალური ფონდი აფინანსებს. რედ.). თბილისის შიდსის ცენტრის გარდა კიდევ ორი ფილიალი გაიხსნა - ბათუმში და ზუგდიდში, სადაც ასევე ხდება ინფიცირებულთა მკურნალობა. ასეთი დეცენტრალიზაციაც ძალიან კარგია. ამასთან, მკურნალობა მაღალკვალიფიციურია. მაგრამ პროგრესი მიღწეულია არა მარტო მკურნალობაში, არამედ პრევენციაშიც. აღსანიშნავია, რომ ნარკომანებისთვის დაიწყო მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა, რაც ასევე მნიშვნელოვანი მიღწევაა.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ჯანმოს ევრობიუროს შიდსის პროგრამის ხელმღვანელი სერჟან მატიჩი.*

**- რა არის გასაკეთებელი და გასაუმჯობესებელი?**

- მაგალითად, მეტადონის ჩანაცვლების პროგრამა - მოცულია მხოლოდ 100 ადამიანი მაშინ, როცა ჩანაცვლებითი მკურნალობა 20-30 ათას ადამიანს ესაჭიროება.

თვითონ შიდსის პროგრამები დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციების დაფინანსებაზე. მაგრამ იმისათვის, რომ დაფინანსების მდგრადობა მომავალშიც შენარჩუნებული იყოს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საჭიროა, რომ დაფინანსებაში აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფო. ჩემი აზრით, უფრო დიდი მუშაობაა საჭირო შიდსით ინფიცირების რისკის ჯგუფებთანაც.

**- საინტერესოა, რა მდგომარეობაა ჯანმოს წევრ ქვეყნებში შიდსით გავრცელების მხრივ?**

- ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ მსოფლიოში აივ/ ინფიცირებულთა 60% აფრიკაში ცხოვრობს. 10-15 მილიონი ინფიცირებული კი - აფრიკის გარეთ. აფრიკაში დაინფიცირების ძირითადი გზა ჰეტეროსექსუალურია და ერთი ინფიცირებული მამაკაცის უკან ორი ინფიცირებული ქალი დგას. დასავლეთ ევროპაში დაინფიცირების ძირითადი გზა ჰომოსექსუალურია. პორტუგალიასა და აღმოსავლეთ ევროპაში კი დაინფიცირების ძირითადი გზა ინტრავენური ნარკომანიაა - დაახლოებით 75%. ასე რომ, აფრიკისაგან განსხვავებით, ევროპაში შიდსი უფრო მამაკაცებშია გავრცელებული.

**- ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რა მდგომარეობაა მეზობელ რუსეთში?**

- ევროპაში ინფიცირებულთა მთელი რაოდენობის 2/3 რუსეთსა და უკრაინაში ცხოვრობს. ევროპაში შიდსით ინფიცირების დონე სწორედ იმიტომაა მაღალი, რომ რუსეთსა და უკრაინაში ეპიდემიაა. ამ ქვეყნების ხარჯზე ევროპაში ყოველწლიურად დაინფიცირების 200-250 ათასი ახალი შემთხვევაა და ეს არის ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე სუბსაჰარულ აფრიკაში. ეს არის ყველაზე სწრაფად მზარდი ეპიდემია.

**- კი, მაგრამ რას აკეთებს რუსეთი ეპიდემიის შესაჩერებლად, რომელიც მთელ ევროპას ემუქრება. მას ხომ ფული არ აკლია?**

- რუსეთში იმდენად აღმავალი ეპიდემიაა, რომ, რა თქმა უნდა, ეს უკვე აღარ არის მხოლოდ რუსეთის პრობლემა, ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა. ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მუშაობს რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროსთან, პარლამენტთან და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან. რუსეთში მკურნალობას საჭიროებს შიდსით დაავადებულთა 130 ათასი ადამიანი, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ 5 ათას ავადმყოფს მკურნალობენ. ჩვენი მიზანია, ვაიძულოთ რუსეთი, რომ უფრო მეტ ავადმყოფს უმკურნალოს? მართალია, რუსეთს ძალიან დიდი შემოსავლები აქვს ნავთობიდან და გაზიდან, მაგრამ ჩვენ არ გვინახავს, რომ მათ ეს ფული ამ ავადმყოფთა მკურნალობისათვის დაეხარჯოთ.

**- ასეთ შემთხვევაში საქართველომ როგორ უნდა დაიცვას თავი?**

- ძალიან ძნელია, რომ ქვეყანაში ინფექციის შემოსვლა შეაჩერო, მითუმეტეს, როცა ხარ მეზობელი იმ ქვეყნისა, რომელიც ამ ინფექციის ძალიან დიდ ექსპორტს აწარმოებს. უკიდურესი ზომა საზღვრის ჩაკეტვაა. რეალურად კი ინტენსიურად უნდა ვიმუშავოთ განსაკუთრებული რისკის ჯგუფებზე და პრევენციულ ღონისძიებებზე.

**- კმაყოფილია თუ არა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით?**

- ჩვენ გვქონდა შეხვედრები საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან, ბატონ ლადო ჭიპაშვილთან, ასევე საქართველოს პარლამენტში და საქართველოში გაეროს ორგანიზაციების წარმომადგენლობების ხელმძღვანელებთან. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ხელმძღვანელობას სრულად აქვს გათვითცნობიერებული შიდსის პრობლემის აქტუალობა და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმუმს აკეთებს ეროვნული პროგრამის გაფართოებისთვის. როგორც ბატონმა მინისტრმა ბრძანა - მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია შიდსის პროგრამის სახელმწიფო დაფინანსების სერიოზული ზრდა განსაკუთრებით პროფილაქტიკური მიმართულებით. ჯანმოს მხრივ, გათვალისწინებული იქნება ტექნიკური დახმარება შიდსის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის დახვეწისთვის, მეტადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის ეფექტურობის მონიტორინგისთვის და ყველა იმ პუნქტის უცილობელი შესრულება და გაფართოება, რასაც ითვალისწინებს ჯანმრთელობის სამინისტროსა და ჯანმოს ევროპული ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.



# აფიშა

**11 სექტემბერი**

გალერეა

**"ქარვასლა"**
შალომ კობოშვილის პერსონალური გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა

კინო

**"ამირანი"**
"სახლი ტბის პირას"
დასაწყისი: 18:00; 20:00; 22:00

## კინოფესტივალი "ევრაზია 2006"

11 სექტემბერს კინოფესტივალი "ევრაზია 2006" გაიხსნება. კინოფესტივალზე "ევრაზია 2006" ორი ქრთული ფილმი წარდგება. ამის შესახებ ქართული კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში განაცხადეს.

ცენტრის წარმომადგენლის მანანა სურმაძის განცხადებით, ალმაატას ფესტივალზე 2 ქართველი რეჟისორი - გიორგი უღრელიძე და არჩილ ვერძაძე მოკლემეტრაჟიანი ფილმებით წარდგებიან. ორივე რეჟისორი ბათუმი კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია.

საკონკურსო ნაწილში 2005-2006 წლებში გადაღებული 17 ფილმი მიიღებს მონაწილეობას.

კინოფესტივალის არტ-დირექტორის გულნარ აბიკეევას თქმით, საუკეთესო ფილმისთვის დაწესებული გრან-პრის მფლობელი 20 ათას დოლარს მიიღებს, საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის 10 ათას დოლარს

კონოფესტივალი 24 სექტემბრამდე გასტანს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბაქოში ფილმს გადაიღებენ

ქართველი მომღერლისა და კინომსახიობის ბუბა კიკაბიძის სცენარის მიხედვით აზერბაიჯანში ფილმს გადაიღებენ.

ამის შესახებ მომღერალმა რუსული სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი კინოსცენარი "ზღაპრები მოზრდილთათვის", რომელიც რამდენიმე ნოველას მოიცავს, უკვე დიდი ხანია მზად არის.

კიკაბიძის განცხადებით, სცენარით არაერთი უცხოელი დაინტერესდა, თუმცა აქამდე მისი ეკრანიზებისთვის ავტორის ნდობა ვერავინ მოიპოვა. ამჟამად იგი ნდობას ერთ-ერთ აზერბაიჯანელ რეჟისორს უცხადებს.

"შარშან მოსკოვში გამართულ გიორგი დანელიას იუბილეზე ერთი ბაქოელი პროდიუსერი გავიცანი, რომელსაც საკუთარი სტუდია აქვს. ალბათ მის ბაზაზე გადავიღებთ ფილმს ჩემი სცენარის საფუძველზე", - განაცხადა კიკაბიძემ. მისივე თქმით, არაერთი შემოთავაზება მიიღო ფილმებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

"ვერც ერთი წინადადება ვერ მივიღე, რადგან ფილმები, ძირითადად, მძაფრსიუჟეტიანია. კრიმინალებზე, "ძაღლებზე" და მეძავებზე გადაღებული ფილმები ჩემთვის საინტერესო არ არის", - აცხადებს კიკაბიძე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კოლუმბიის სექს-სიმბოლო

კოლუმბიის ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემის ყოფილი წამყვანი და კოლუმბიის 80-იანი წლების სექს-სიმბოლო ვირგინია ვალეხო, რომელიც 2006 წლის ივლისში ამერიკაში გაიქცა, წერს წიგნს მის და ნარკობარონის პაბლო ესკობაროს ურთიერთობაზე. ვალეხომ კოლუმბია დატოვა მას შემდეგ, რაც მან საზოგადოდ აღიარა ესკობაროსთან ურთიერთობა, რომლის საყვარელიც იყო. აგრეთვე მან მისცა ჩვენება, 1989 წელს ყოფილი მინისტრის და სენატორის ალბერტო სანტოფიმიოს წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედებოდა პრეზიდენტის კანდიდატის ლუის-კარლოს გალანას მკვლელობისთვის.



როგორც ვალეხო ამტკიცებს, ნარკობარონის საწოლში არაერთი ქალბატონი იმყოფებოდა კოლუმბიის მაღალი წრის საზოგადოებიდან. პაბლო ემილიო ესკობარო გავირინა დაიბადა 1949 წელს და ხელმძღვანელობდა კარტელს, რომელიც აკონტროლებდა ნარკოტიკულ დაწესებულებებს ამერიკაში, მექსიკაში, პუერტო-რიკოში. კოკაინს კი მისი ხალხი ყიდულობდა ბოლივიაში და პერუში. ესკობაროს ბოევიკებმა მოკლეს პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი და განახორციელეს უმძიმესი ტერაქტები. 80-იანი წლების ბოლოს იგი დააპატიმრეს, მაგრამ ამერიკის ექსტრადაციის დროს გაიპარა. 1993 წელს კი კოლუმბიის ერთ-ერთმა პოლიციელმა ნარკობარონი გაანადგურა. მისი სიკვდილის შემდეგ კარტელ მედელინი დაიშალა და ლიდერის პოზიცია კარტელმა კალიმ დაიკავა, რომლის ხელმძღვანელებიც რამდენიმე წლის წინ გაანადგურეს. ესკობარო ცოლიანი იყო და მას ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი საყვარლები, რომელთა შორის ვირგინია ვალეხოც იყო.

# აქცია-პროექტი სიტყვა ქართულისთვის

პირველი გვერდიდან

დაახლოებით ერთი კვირის წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა განცხადება, რომლის ავტორები (ქართული "პენ კლუბი" და გაზეთი "24 საათი") კოდორის ხეობაში ახალი ბიბლიოთეკის შექმნის გეგმას აცნობდნენ მკითხველთ და რაც მთავარია, ქართველ თანამედროვე მწერლებსა და გამომცემლობებს შემოწირულობის სახით წიგნების გაღებას სთხოვდნენ. განცხადებას ჯერ ბევრი არავინ გამოხმაურებია. ორი-სამი მწერალი და კიდევ საქართველოს ელჩი იტალიაში, ბატონი ზაზა გოქსაძე, რომელსაც თბილისის წიგნის მაღაზიები დაუვლია და თანამედროვე ლიტერატურის არაერთი ნიმუში, სპეციალურად კოდორის მომავალი ბიბლიოთეკისთვის შეუძენია.



კოდორში ბიბლიოთეკა იმ კულტურის ცენტრში უნდა განთავსდეს, რომლის დაარსებასაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს. აქციაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერს შეუძლია და საშუალება ეძლევა, რომ წიგნი, ამ შემთხვევაში როგორც ქართულ ენაზე გამართული დიალოგის ხერხი და კულტურის, სიცოცხლისა ხიბლის გამავრცელებელი ორგანიზმი, მათთვის გაიღოს, ვისთანაც ლიტერატურაზე, თანამედროვეობაზე ზოგადად და არა ყოფით პრობლემებზე დიდი ხანია არავის უსაუბრია.

ბატონ დავით მაღრაძეს სჯერა, რომ ბატონ ზაზა გოქსაძის მსგავსად არაერთი მოიქცევა, თუმცა სტატიის მთავარ ადრესატებად მაინც მწერლებსა და გამომცემლობებს მიიჩნევს:

**- რა თქმა უნდა, ჩვენი იდეა ალბათ საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესსაც წარმოადგენს, ბიბლიოთეკის გახსნა კოდორის ხეობაში ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, რაღა უნდა ითქვას იმაზე კარგად, ვიდრე უკვე თქმულა: "ქართულად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, სადაც ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების", - ამით ყველაფერია ნათქვამი და რაც მთავარია ჩვენი მიზანიც. ქართული უნდა ისმოდეს ყველაგან, სადაც საქართველოა, ყველგან ყველაფერი უნდა სუნთქავდეს ქართული სიტყვით, ამიტომ მივმართავთ ქართული "პენ კლუბი" და გაზეთი "24 სააათი" ქართველ თანამედროვე მწერლებსა და გამომცემლობებს გვერდში დგომას და ამ ერთგვარ პროექტში მონაწილეობის მიღებას. ჩვენი სურვილი გავაცანით კულტურის მინისტრს, ბატონ გიორგი გაბაშვილს და მის მოადგილეს, ბატონ პაპუნა დავითაიას, ისინი მოხარულნი არიან, ახლა ყველაფერი ჩვენს გულისხმიერებაზეა დამოკიდებული.**

მთავარი აქცენტი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე კეთდება, რადგანაც ორგანიზატორთა აზრით, კოდორის ხეობის მოსახლეობისთვის ის სრულიად უცნობი და მიუწვდომელია. ამას გარდა, ბატონი დავით მაღრაძე თვლის, რომ თანამედროვე ადამისთვის, რომელიც პრაქტიკულად იზოლირებულ, ჩაკეტილ გარემოშია მოქცეული, სწორედ თანამედროვე მწერლობა იქნება ხიდი დანარჩენ საზოგადოებაში გასაშლელად. ნათელია ის, რომ ბიბლიოთეკის შექმნის იდეის ავტორები პროექტის არსში ბევრად ფართო მიზნებსა და შესაძლებლობებს ხედავენ, ვიდრე ამას მათი მიმართვისა და ამ წერილის ადრესატები ერთი შეხედვით ამოიცნობენ.

**- არ არის აუცილებელი მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურით შეივსოს ბიბლიოთეკა, ამ შემთხვევაში ყოველი წიგნი და ყოველი გამოცემა ძვირფასი იქნება ჩვენთვის, მაგრამ აქცენტს ვაკეთებთ ქართველ თანამედროვე მწერლებსა და მათ ლიტერატურაზე, რადგანაც ვფიქრობთ, რომ თანამედროვე მწერლობა არ შეიძლება საინტერესო არ იყოს დღევანდელი მოქალაქისთვის განსაკუთრებულად საინტერესო. კლასიკას უფრო იცნობენ, მეტიც, ის არის ოჯახებში, რასაც ვერ ვიტყვით თანამედროვე მწერლობაზე...**

**ეს არ უნდა იყო ერთჯერადი აქტი, ჩვენთან ძირითადად ფრაგმენტულია ამგვარი აქციები, ისინი აქციებად რჩება. საერთოდაც ჩვენი ყოფა ჰგავს ამ ერთჯერადობას. კოდორი, ჩემი აზრით, გარდა იმისა, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, შორსაა, მოწყვეტილია, არ არის ადვილი იქიდან მოძრაობა. ამიტომაც ჩვენ უნდა ვიაროთ და რაც უფრო ხშირად გავაკეთებთ ამას, მით უფრო კარგი იქნება ყველასთვის. მეტიც, ქართული სიტყვის გავრცელება ყველაზე ჭეშმარიტი გზაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, მისი გამთლიანებისთვის. ჯერ კოდორია მიზანი, მერე უკვე ცხინვალსა და სოხუმში წავალთ და წიგნებსაც წავიღებთ. მთავარია ქართული სიტყვა მივიტანოთ, იქ ქართული სიტყვა თუ შევიტანეთ, ის სიტყვა თვითონ გააკეთებს თავის საქმეს...**

კოდორის ხეობაში ბიბლიოთეკის გახნას მოხალისე მწერლების დახმარებით და სხვა ამის მსგავსი პროექტების განხორციელებას სურვილი, ენთუზიაზმი და, რა თქმა უნდა, დიდი რწმენა სჭირდება. ეს ყველაფერი არის და ამიტომაც პროექტი უნდა შედგეს.

ისე კი, ჩემსავით სხვა მრავალსაც ექნება გამოცდილება იმისა, თუ რა უიმედოდ ჟღერს ყოველი ფრაზა და დანაპირები გამომცემლობებისა და მწერლებისგან, როცა საქმე თუნდაც ცენტრს მოწყვეტილ, მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებსა და მათი ბიბლიოთეკების განახლებას ეხება. იყო დრო და თანაც სულ უახლოეს წარსულში, როცა მათთვის, ერთი გამომცემლობის გარდა, საკუთარი "პროდუქცია" თითქმის ვერავინ გაიმეტა, მწერლებმა, კი რომლებსაც შეგროვებული ლიტერატურა უბრალოდ ბავშვებთან უნდა ჩაეტანათ (საკუთარი ქმნილებების გაღებაზე საუბარიც არ ყოფილა) მგზავრობაზე სხვადასხვა და ნაირფეროვანი მიზეზების გამო უარი განაცხადეს. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევა უმრავლესობაზე არ ვრცელდება, არც ის იქნება სამართლიანი, რომ ისინი გულგრილობაში დავადანაშაულოთ, მაგრამ ჩვენში რომ მსგავსი სახის სურვილები და გულისხმიერება აქციური სახისა უფროა, ვიდრე პერმანენტული - აშკარაა. ალბათ პრობლემათა გააზრება ზოგადად უფრო ხდება, ვიდრე ისინი კონკრეტულ ქმედებებს აღწევს, მაგრამ ვიმედოვნოთ, რომ "პენ კლუბისა" და "24 საათის" წამოწყება მასშტაბური გახდება, ავტორები დაინახავენ, რომ მათი წიგნები ხალხისთვისაა და არა მხოლოდ იმ მაღაზიებისთვის, რომლებშიც თან ყავას დალევ და თან იქ ჯდომა რაღაც განსაკუთრებულში ჩაგეთვლება.

კოდორში ბიბლიოთეკა უნდა გაიხსნას და მასთან ერთად ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ თითოეული წიგნი, რომელიც იქ დაიდებს ბინას, სიტყვაა ქართული, რომელსაც, უნდათ თუ არა, გაიგონებენ, სიტყვაა ქართული, რომელიც იმაზე მეტს გააკეთებს, ვიდრე ჩვენ ამ წიგნების წერისას და მათი კითხისას გაგვიაზრებია.

P.S. კოდორის ხეობის მოსახლეობის ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეგროვბა დაწყებულია "24 საათის" რედაქციაში და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში.

## მაფიის პირველი მუზეუმი მსოფლიოში

მსოფლიოში პირველად მაფიის მუზეუმი გაიხსნება. მას ამერიკაში, 2008 წელს ლას-ვეგასის შტატ ნევადაში გახსნიან. ქალაქის მმართველობის დეპარტამენტის უფროსის ბეტსი ფრეტუელის თანხმობით მუნიციპალური ბიუჯეტიდან მუზეუმის არქიტექტურული პროექტის შესაქმნელად თანხა 7,5 მილიონი დოლარი უკვე გამოიყო. თუმცა მუზეუმის საერთო ღირებულება 30 მილიონ დოლარს შეადგენს. მუზეუმი განთავსდება ლას-ვეგასის მერიასთან, ყოფილ ადმინისტრაციის შენობაში, სადაც სასამართლო იყო.



მუზეუმის შექმნის ინიციატორი ლას-ვეგასის მერი, 67 წლის ოსკარ გუდმანია, რომელიც წარსულში ამ ქალაქში იურისპუდენციით იყო დაკავებული და იყო ადვოკატი ცნობილი ამერიკელი მაფიოზების. მათ შორის: მეიერა ლანსკის, ტონი სპილოტროს, ნიკი სკარფოს და სხვების. გუდმანი აგრეთვე თამაშობდა მარტინ სკორტეზეს ფილმში "კაზინო", სადაც გადმოცემულია ლას-ვეგაში მაფიის წარმოშობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი უჩვეულო იდეას, დამნაშავეების მუზეუმის შექმნას ფბრ წარმომადგენლები არც ისე სიხარულით შეხვდნენ.

## ოთარ მაცხარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა

აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში, სეპარატისტთა ე.წ. ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გახსნეს აფხაზი მხატვარ-დიზაინერის ოთარ მაცხარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ტრადიციული აფხაზური ისტორიული კაბები, აფხაზური წარმოშობის იარაღის კოლექცია, შუა საუკუნეების აფხაზური იარაღი და აფხაზთა კუთვნილი სხვა ისტორიული კოლექციები.

"აქ წარმოდგენილი ექსპონატები უნიკალურია, რადგან აფხაზთა ისტორიული კულტურის უკეთ გაცნობაში დაეხმარება დამთვალიერებელს. ეს ექსპონატები მსოფლიოს ნებისმიერ დიდ გალერეას დაამშვენებენ", - ამბობს აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. მხატვრების გაერთიანების ხელმძღვანელი ვიტალი ჯენია.

გამოფენა აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამაც მოინახულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დაკარგული ხელოვნების შედევრები

ავსტრიის ქალაქ გრაცაში ხელოვნების 120 შედევრი აღმოაჩინეს, რომლებიც დაკარგულად ითვლებოდა. როგორც ქალაქის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების თანამშრომელი სიმონე რაისი აღნიშნავს ამა წლის აპრილში ინვენტარიზაციის დროს 200 ნამუშევარი ვერ აღმოაჩინეს. მათგან 161 სურათი და 39 ქანდაკება. არსანიშნავია, რომ გაძარცვის მცდელობა დაფიქსირებული არ არის. გაფრთხილებული იქნა ქალაქის მმართველობა და დაიწყო გამოძიება. ქალქში დამონტაჟებული იქნა აგრეთვე სპეციალური კონტეინერები, რომლებშიც მოქალაქეებს ანონიმურად შეეძლოთ ექსპონანტების მიტანა. თუმცა მსურველები არ აღმოჩნდნენ და გამოძიებაც წარუმატებლად დასრულდა. ერთი თვის წინ კი ექსპონანტები მუზეუმში აღმოაჩინეს. "ეს რაღაც მისტიკაა" - აღნიშნავს სიმონე რაისი.



ამჟამად ქალაქის მმართველობა აწარმოებს გამოძიებას მუზეუმის საქმიანობის შესახებ. "მის დასრულებამდე მე ვერაფერს შეგპირდებით" - განაცხადა მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა ალექსანდრ შტრებლმა. იგი აგრეთვე ადასტურებს, რომ 80 შედევრის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია. გამოძიება კი, როგორც მოსალოდნელია ოქტომბერში დასრულდება.

## ფრანგული მედიაგიგანტი

ფრანგული მედია გიგანტი Vivendi SA, რომელიც ფლობს ხმის ჩამწერ კომპანია Universal Music Group, თანხმაა შეისყიდოს გერმანული Bertelsmann AG-სგან მსოფლიოში ყველაზე დიდი და შეუდარებელი მუსიკალური გამომცემლობა BMG Music PUblishing 2,1 მილიარდ დოლარად. მისი შესყიდვის შემდეგ ფრანგული კომპანია გახდება ყველაზე დიდი ხმის ჩამწერი კომპანია მუსიკალურ ბაზარზე.

BMG Music Publishing 1987 წელს დაარსდა. მისი მუსიკალური გამომცემლობები 25 ქვეყანაშია განლაგებული. კომპანია დაახლოებით მილიონ სიმღერაზე ფლობს იურიდიულ უფლებამოსილებას. მათ შორის ისეთ ჯგუფებზე და შემსრულებლებზე, როგორებიც არიან: Coldplay, Rammstein, Linkin Park, ბრიტნი სპირსი, კრისტინა აგილერა, ჯასტინ ტიმბერლეიკი. სიმღერების ტექსტებს კი იყენებდნენ მერაია ქერი, შაკირა, ჯესიკა სიმფსონი, Black Eyed Peas, No Doubt, 50 Cent, აგრეთვე ლეგენდარული ელვის პრესლი და ფრენკომ სინატორი.

## საკონკურსო განაცხადი

**ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ ადგილებზე:**

**ა) მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის განყოფილება**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (დეკორატიული მებაღეობა და მეყვავილეობა);

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ინტროდუცირებულ მცენარეთა ეკოფიზიოლოგია);

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (მცენარეთა დაცვა - ფიტოპათოლოგია);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (დენდროლოგია - მცენარეთა ინტროდუქცია და აკლიმატიზაცია);

მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ინტროდუცირებულ მცენარეთა ეკოფიზიოლოგია);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (დენდროლოგია - ტყის კულტურები);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ლანდშაფტის დიზაინი).

**ბ) სელექციისა და მცენარეთა დაცვის განყოფილება**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (სელექცია-მეთესლეობა);

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (გენეტიკა);

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ვეგეტატიური გამრავლება);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (მცენარეთა დაცვა - ენტომოლოგია);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (სელექცია-მეთესლეობა);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (მეთესლეობა).

**გ) ადგილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის განყოფილება**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (დენდროლოგია-მცენარეთა ინტროდუქცია);

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ბოტანიკა-სისტემატიკა);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ბოტანიკა-ფლორისტიკა);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ბოტანიკა-ეკო-მორფოლოგია);

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (ტყის კულტურები და ლანდშაფტური ხელოვნება).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი. ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);

სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში;

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არა უმეტეს 3 წლის ვადით.

საბუთების მიღება იწარმოებს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, მისამართი: 6411, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა პრესაში განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვე.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 16 ოქტომბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 6411, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

- **e-mail info@batumibotanical.org**
- **ტელ: 7-26-57. 899 95-04-61.**

**პასუხისმგებელი პირი: დარეჯან ცინცაძე.**

# ჩინური ნატურმორტი

## ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი დასრულდა

ამ ფილმის სიუჟეტი რაღაცით საბჭოთა კინოსთვის დამახასიათებელ ამბავს მოგაგონებთ. მთავარი გმირების - მეშახტისა და მედდის სიყვარული და ცხოვრება ურბანიზაციის პირობებში. თუმცა ვენეციის კინოფესტივალის ევროპულმა და დემოკრატიულმა ჟიურიმ მაინც ამ სიუჟეტის მქონე ფილმს მიანიჭა უპირატესობა და ჩინური "ნატურმორტი" წლის საუკეთესო ფილმად დაასახელა.



ჟიურის თავმჯდომარის კატრინ დენევის თქმით, რეჟისორ ცზია ჩჟან-კეს ფილმში ჰარმონიულადაა შერწყმული კარგი კინემატოგრაფიული ნამუშევარი და ძლიერი სცენარი - ეს კი წარმატების უტყუარი რეცეპტი აღმოჩნდა და "ოქროს ლომი" ჩინეთში გაემგზავრა.

თუმცა ფესტივალის დამსწრე სხვა კრიტიკოსები ამ ფილმით ნაკლებად აღფრთოვანდნენ. ჟურნალი Variety, რომლის აზრიც ჰოლივუდისთვის მნიშვნელოვანია, წერს, რომ "ნატურმორტი" საკმაოდ უინტერესო ფილმია - მოქმედება ნელა ვითარდება და სცენარიც სუსტადაა დაწერილი.

ნახევრად დოკუმენტურ "ნატურმორტს" ავტორმა სხვა სათაურიც დაარქვა - "კარგი ადამიანები "სამი ხეობიდან". "სამი ხეობა" ჩინეთში რეალურად არსებული ადგილია - აქ, მდინარე იანძიზე, გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურს აშენებენ. ამ მშენებლობას უკვე რამდენიმე ათეული სოფელი შეეწირა. მილიონობით ჩინელი გლეხი უკვე გადაასახლეს და ამდენივეს ემუქრება მშობლიური მიწის დატოვება. ამ ჰესისა და კაშხლის მშენებლობა ჩინეთში დიდი ხანია ძალიან აქტუალურია, ამიტომ რეჟისორმაც ვერ აუარა მას გვერდი და სწორადაც მოიქცა, რადგან ამ ფილმით ბრაიან დე პალმასა და პოლ ვერხოვენის ფილმების დამარცხება შეძლო.






ცზია ჩჟან-კეს გამარჯვების იმედი არ ჰქონია. ფილმის ასლი ფესტივალის ჟიურის ყველა წევრისთვის არც მიუწოდებია. ამიტომ ფილმის ნახვის მსურველები ასლებს ერთმანეთს გადასცემდნენ. მეტიც, ფილმის სახელწოდება ფესტივალის ანონსებშიც კი არ ჩანდა. სამაგიეროდ ირიცხებოდა ფესტივალის დირექტორის მარკო მიულერის სპეციალურ სიაში. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

სარეჟისორო ნამუშევრისთვის "ვერცხლის ლომი" ერთდროულად ორ რეჟისორს გადასცეს - ფრანგ ალან რენეს ფილმისთვის "გულები" და იტალიელ ემანუელ კრიალეზეს ფილმისთვის "ახალი სამყარო". ჟიურის სპეციალური პრიზი კი გადაეცა ინდოელ მაჰათმა-სალეჰა ჰარუნს, რომელმაც წელს ფესტივალზე ფილმი "დარატი" წარადგინა.

ვენეციური ლომები საუკეთესო მსახიობებსაც გადაეცა. მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ ამერიკელმა ბენ აფლეკმა, როგორც იქნა, შეძლო ჟიურის ყურადღების მიპყრობა და მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის მთავარ პრიზს დაეუფლა. აფლეკმა მთავარი როლი შეასრულა ფილმში "ჰოლივუდლენდი", სადაც მსახიობ ჯორჯ რივზის სახე შექმნა. სწორედ ეს მსახიობი ასრულებს სუპერმენის როლს 50-იანი წლების კალსიკურ კინოვერსიებში.

ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის "ვერცხლის ლომი", როგორც მოსალოდნელი იყო, ბრიტანელმა მსახიობმა ჰელენ მირენმა დაისაკუთრა. მან დედოფალ ელისაბედ მეორის როლი შეასრულა ფილმში "დედოფალი", რომელიც პრინცესა დაიანას გარდაცვალების შემდგომ დღეებს აღწერს. "საშინელი სანახავია, როგორ დგამს პირველ ნაბიჯებს ფილმი. ჩვენი ფილმისთვის კი ძალიან საპატიოა, რომ პირველი ნაბიჯები ვენეციის ფესტივალზე გადადგა", - განაცხადა მსახიობმა პრიზის მიღებისას. აღსანიშნავია, რომ ორი კვირის წინ ელისაბედ პირველის როლის შესრულებისთვის 61 წლის ჰელენ მირენმა სატელევიზიო პრემია "ემიც" მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ვენეციის კინოფესტივალის შარშანდელი გამარჯვებული ენგ ლის ფილმი "კუზიანი მთაა".


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ლაზაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39


# ჯგუფ Queen თაყვანისმცემლები

ლეგენდარული ჯგუფის Queen ვოკალისტს ფრედი მერკურს 5 სექტემბერს 60 წელი შეუსრულდებოდა. მუსიკოსის პატივსაცემად ლონდონში კონცერტები გაიმართა.

ჯგუფ Queen ვარსკვლავური ისტორია 1971 წელს დაიწყო. ფრედი მერკური წამყვან როლს ასრულებდა ჯგუფში და იგი მრავალი კომპოზიციის ავტორიცაა, მათ შორის ჰიტის "We Are The Champions". მერკურიმ აგრეთვე რამდენიმე სოლო დისკიც გამოუშვა. მისი კომპოზიციები რეგულარულად შედიოდა დიდი ბრიტანეთის ათ საუკეთესო სიმღერებს შორის. 1988 წელს გამოვიდა ცნობილი დისკი Barcelona, რომელშიც მერკური ასრულებდა საოპერო არიებს მონასერატ კაბალიესთან ერთად. სიმღერა ბარსელონა 1992 წელს ოლიმპიადის ოფიციალური ჰიმნიც გახდა. ფრედი მერკური 1991 წელს შიდსით გარდაიცვალა. თუმცა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იგი მაინც განაგრძობდა მუშაობას. რამდენიმე სიმღერა მისი სიცოცხლის პერიოდშივე უცნობი იყო. ისინი შევიდნენ ალბომში "შექმნილია სამოთხეში", რომელიც 1995 წელს გამოვიდა. 1992 წლის შემოდგომაზე ლონდონის სტადიონ უემბლზე გაიმართა გრანდიოზული მემორიალური კონცერტი, სადაც ჯგუფ Queen სიმღერებს ასრულებდნენ: ელტონ ჯონი, ლაიზა



მინელი, ჯორჯ მაიკლი, დევიდ ბოუი და სხვები. მუსიკოსის დაბადებიდან 60 წლის აღსანიშნავად დაგეგმილია მორიგი ალბომის გამოცემა: "ფრედი მერკური: სიცოცხლის მოყვარული, სიმღერების შემსრულებელი." მასში ჯგუფის საუკეთესო ჰიტებია შესული.

ამ დღეს მოსკოვშიც აღნიშნავენ. ეკატერინბურგში გაიმართა გამოფენა, რომელიც მუსიკოსს ეძღვნება. როგორც ურალის თოჯინების სამხატვრო ასოციაციის ხელმძღვანელი ელენა ლუსინა აღნიშნავს: "საზოგადოება გამოფენაზე "ექსკლუზივი ფრედი მერკურის პატივსაცემად" ნახავს თოჯინებს, რომლებიც ასახავს მომღერლის ცხოვრებას და მოღვაწეობას. შესაძლებელი იქნება მერკურის თოჯინის ნახვა, როგორც პორტრეტი და როგორც ასოციაცია. ხოლო იმდენად, რამდენადაც მას უყვარდა კატები, წარმოდგენილი იქნება თოჯინა-კატები. აგრეთვე წარმოდგენილია იაპონიის ქვეყნის ნამუშევრები, რომელიც მას ძალიან უყვარდა და ხშირად სტუმრობდა..."

მეუღლე ბუბა ყავრიშვილი, შვილები კახა, თინიკო, შვილიშვილი გიგა, სიძე ავთანდილ ტაბუცაძე, ძმები შალვა, რევაზი, ძმიშვილები რუსუდანი, ნუნუ, ზურაბი, ნოდარი დევდარიანები, დისშვილი ნინო აფაქიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

## გრიგოლ (გუგული) დევდარიანი

**პანაშვიდი: 12, 13 სექტემბერს 17 საათზე**
**მისამართი ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. N1,**
**I სარდარბაზო, III სართული**
**გამოსვენება 14 სექტემბერს. 15 საათზე ტაზრიდან**

# რემბრანტის 400 წლისთავი

პუშკინის სახელობის კულტურის სახელმწიფო მუზეუმში 11 სექტემბერს რემბრანტის ნამუშევრების გამოფენა იხსნება. როგორც მუზეუმის პრესსამსახური აცხადებს, გამოფენა მხატვრის დაბადებიდან 400 წლის თავს ეძღვნება და მონაწილეობას რუსეთის, ამერიკის და საფრანგეთის მუზეუმები მიიღებენ. მათივე თქმით, საზოგადოებას საშუალება ექნება წარმოდგენა შეიქმნან რემბრანტის შემოქმედებით ევოლუციაზე, მის ურთიერთობაზე მოსწავლეებთან და მის მიმდევრებთან. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება რემბრანტის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ნამუშევრები. აგრეთვე პიტერ ლასტმანის, ნიკოლას კნიუპფერას, იაკობ ბაკერას და სხვა ცნობილი მხატვრების შემოქმედება, რომელთა ნამუშევრებიც მუზეუმში ინახება. ნამუშევართა შორის იქნება უცნობი სურათებიც, რომლებიც რუსეთის რეგიონალურ მუზეუმებში ინახება. ამავე დროს გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება რემბრანტის 60 ოფორტი.








# გუგული დევდარიანის ხსოვნას



ქართველ იურისტებს ღირსეული და გამორჩეული პიროვნება გამოაკლდა ... ვალმოხდილი წავიდა ამ წუთისოფლიდან ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი ბატონი (გუგული) დევდარიანი, კაცი გამორჩეული პატიოსნებით, პრინციპულობით - პოეზიის მადლით გამთბარი რომ მოვიდა საქართველოს იურისტთა რიგებში და გამორჩეული ადგილიც დაიკავა. ძნელი და სახიფათო იყო ბატონი გუგულის განვლილი ცხოვრების გზა. გზა - საქართველოს პროკურატურის პასუხისმგებელი თანამდებობებიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობამდე, სწორედ ამის გამო დარჩება ის თანამედროვებსა და უამრავ აღზრდილთა გულებში მუდამ მართლმსაჯულების სინდისად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ში მრავალწლიანი მოღვაწეობით კი, როგორც სამართლის დოქტორმა, განსწავლულმა მეცნიერმა, ღრმა კვალი დააჩნია ახალგაზრდების აღზრდას, მათ ადამიანებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, ამიტომაც გვიყვარდა და უყვარდათ ის გამორჩეულად. ბატონი გუგული განგებამ დიდ სულიერ სისპეტაკესთან ერთად, უხვად დააჯილდოვა გარეგანი მშვენიერებით, ამიტომაც უხდებოდა ასე გამორჩეულად მის სათაყვანო საქართველოს, მეგობრებს, ოჯახს, ახლობლებს...

"მივყვები მხოლოდ ჩემს კაცურ მწამს
და ზენას ფართოს,
ეს ვერ გამიგეთ? - თუ ღმერთი გწამთ, დამტოვეთ
მარტო...

ანდერძივით დაგვიბარა თავის სხივნათელ პოეზიაში...

ბატონო გუგული! ვერ აგისრულებთ ხსოვნას, ვერ დაგტოვებთ მარტო, თქვენი პოეზია, თქვენს მიერ განვლილი ცხოვრების გზა და მოყვასისთვის სასიკეთოდ გაწვდილი ხელი მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

**მეგობრები**

# დიდი თეატრის ბალეტი

დიდი თეატრის ბალეტი იწყებს გასტროლებს დანიაში, სადაც ბოლოს 40 წლის წინ ითამაშა. კოპენჰაგენის თეატრის "ოპერას" სცენაზე წარმოდგენილი იქნება ორი სპექტაკლი: იური გრიგორევიჩის "გედების ტბა" და ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ალექსეი რატმანსკოვას "ნათელი მდინარე". სოლისტებს შორის ბალეტში მონაწილეობას იღებენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: მარია ალექსანდროვა, სვეტლანა ზახაროვა, დიმიტრი ბელაგოლოვეეცი, იან გოდოვსკი და სხვები. აღსანიშნავია, რომ დანიაში განსაკუთრებულ ყურადღებას ბალეტი "ნათელი მდინარე" იქცევს დიმიტრი შოსტაკოვიჩის მუსიკის გამო. ეს სპექტაკლი სამჯერ იქნება წარმოდგენილი. ბალეტი ყოფილ საბჭოთა კავშირში 30-იან წლებში აკრძალული იყო იმის გამო, რომ მასში ძალიან მხიარულად იყო წარმოდგენილი გლეხების ცხოვრება. 2003 წელს იგი აღდგენილი იქნა ქორეოგრაფ ალექსეი რატმანსკის მიერ. სპექტაკლში დაკავებულნი არიან მარია ალექსანდროვა და იან გოდოვსკი, სვეტლანა ლუნკინა და იური კლევცოვი და დიდი თეატრის ბალეტის სხვა ვარსკვლავები.




**56-ე საჯარო სკოლაში იხსნება ქართული კლასები.**
**მისამართი: ფალიაშვილი N34**
**ტელ: 23-58-12**
**22-35-85**

# ასპროცენტიანი შედეგი

ვასილ უდუმაშვილი

**საქართველო - ისლანდია 80:65**

**საქართველო:** გამყრელიძე (3), ვ.ბოისა (16), ა.ბოისა (2), ფაჩულია (21), ცინცაძე (2), შერმადინი (3), ელისი (3), მარკოიშვილი (3), უგრეხელიძე (2), ნაცვლიშვილი (4), სანიკიძე (6), ცქიტიშვილი (15)

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში შესარჩევი ციკლის ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და ახლა ფინეთში გასამართი გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება.

ქართველი კალათბურთელების მესამე მეტოქე ისლანდიის ნაკრები იყო. ისლანდიური კალათბურთის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ცხადია, საქართველო-ისლანდიის დაპირისპირებაში საქართველოს ნაკრები ყოველთვის და ყველგან ფავორიტი იქნება, თუმცა ისლანდიელები რომ მთლად ტურისტებად არ იყვნენ თბილისში ჩამოსული, ამაზე ისიც მეტყველებდა, რომ ცოტა ხნით ადრე ამ გუნდმა ნამდვილი ომი გაუმართა ფინეთის ნაკრებს. ისლანდიელთა მწვრთნელის ამბიციები კი საკმარისზე დიდი ყოფილა, რაც ჩვენთვის უკვე მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი.

რაც შეეხება თავად შაბათს გამართულ მატჩს, საქართველოს ნაკრებს ურიგოდ არ უთამაშია, თუმცა აშკარად გამოჩნდა რამდენიმე სუსტი რგოლი. პირველ რიგში ის, რომ გორტონ ჰერბერტის გუნდი მთელ მატჩს ერთ დონეზე ვერ მართავს და უშუალოდ თამაშის დროს არის ჩავარდნები. ისლანდიასთან ქართველ კალათბურთელებს სამქულიანი ტყორცნები საერთოდ არ წაუვიდათ. თავად განსაჯეთ: 24 ტყორცნიდან მხოლოდ ორმა მიაღწია მიზანს.

ისლანდიასთან შეხვედრა კი საქართველოს ნაკრების მაღალმა კალათბურთელებმა მოიგეს. ქართველებმა პირწმინდად მოუგეს მეტოქეს ფარი, რაშიც სტატისტიკით დავრწმუნდებით. საქართველოს ნაკრებმა 50-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი, ისლანდიელებმა - 34-ჯერ. სწორედ ამის წყალობით იქნა მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვება.

სამწუხაროდ, ისლანდიასთან მატჩში ოდნავ ფერმკრთალად გამოიყურებოდნენ ელისი, ცინცაძე და მარკოიშვილი. სამაგიეროდ მეორე ტაიმში გაიბრწყინა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა. როგორც ყოველთვის, კარგად ითამაშა ზაზა ფაჩულიამ - ის ორივე გუნდის კალათბურთელთა შორის იყო საუკეთესო. 21 ქულას ზაზამ 12 მოხსნა დაუმატა და ერთადერთი კალათბურთელი აღმოჩნდა მოედანზე, რომელმაც მატჩი ორმაგი დუბლით დაასრულა.

მატჩის პერიპეტიებზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. ალბათ თავადაც ნახეთ, რომ ისლანდიელებმა საქართველოს ნაკრებს ჯეროვანი წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს, შეხვედრის მესამე და მეოთხე მეოთხედი კი პირწმინდად ჩვენი უპირატესობით წარიმართა.

მატჩზე ერთი განსაკუთრებული ფაქტიც აღინიშნა. თამაშის დაწყებამდე სპორტის სასახლეში დიდი სამზადისი იყო გამართული. ძნელი მისახვედრი არ იყო: თამაშს საპატიო სტუმარი ეყოლებოდა. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მატჩზე მაინც გამოჩნდა საქართველოს პრეზიდენტი. ჯერ სამთავრობო ლოჟაში იჯდა. მერე კი, ეტყობა, მას და თბილისის მერს გიგი უგულავას მარტო ჯდომა მობეზრდათ და "პატრიოტების" ტრიბუნაზე გადაინაცვლეს. ერთი სიტყვით, მოედანზე ქართველი კალათბურთელები აგროვებდნენ ქულებს, ტრიბუნებზე კი პრეზიდენტი და მისი გუნდი საარჩევნო ქულებისთვის იბრძოდნენ.



ზაზა ფაჩულიამ და ვლადიმერ ბოისამ საქართველოს 37 ქულა მოუტანეს.

საქართველოს ნაკრებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. როგორც წესი, მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო. ისლანდის ნაკრებიდან ჟურნალისტებს მწვრთნელი სიგურდორ ინგმურდარსონი და გუნდის მძიმე ფორვარდი ჰელგი მაგნუსონი ეწვივნენ.

სიგურდორ ინგმურდარსონი: "ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ვიცოდი, რომ საქართველოს ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ასე კარგად თუ ითამაშებდნენ, არ მეგონა. ჯგუფში სამი ფავორიტია: ჩვენ, საქართველო და ფინეთი. ვფიქრობ, ამ სამ გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის თანაბარი შანსი აქვს. საქართველოს ნაკრებიდან ზაზა ფაჩულიას თამაშს აღვნიშნავდი. საუკეთესო სწორედ ის იყო. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, სხვების ფონზე უკეთ ითამაშა ბრენტონ ბირმინგემმა."

ჰელგი მაგნუსონი: "ვიცოდი, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი მხარდაჭერა ექნებოდა, მაგრამ ასეთ გულშემატკივრობას და ამდენ ხალხს ნამდვილად არ ველოდი. შესაძლოა, ჩვენს სუსტ თამაშზე ამანაც იმოქმედა".

ამით სტუმრები დაგვემშვიდობნენ და ჩვენც საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებს დავუწყეთ ლოდინი, რომლებიც არსად ჩანდნენ. თურმე გასახდელში ბიჭებს პრეზიდენტმა მიაკითხა, შემდეგ კი მთელი გუნდი იქვე, სპორტის სასახლის გვერდით, ახალ საციგურაო მოედანზე წაუყვანია.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ჩვენი კალათუბრთელები დაბრუნდნენ და ჟურნალისტებთან გორდონ ჰერბერტი მოვიდა.

**- როგორ შეაფასებთ დღევანდელ მატჩს?**

- კარგად ვითამაშეთ. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო სათადარიგოების ძალიან ძლიერი თამაში. ცქიტა, სანიკიძე და გამყრელიძე მშვენივრად ჩაერთვნენ თამაშში. სპორტის სასახლეში არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევდა. მატჩის მიწურულს, როცა ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო, ყველას მივეცი თამაშის საშუალება, თორემ ისე მეტითაც მოვიგებდით.

**- ისლანდიელთა მწვრთნელმა თქვა, ჯგუფს სამი ფავორიტი ჰყავს - ისლანდია, ფინეთი და საქართველოო...**

- მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს დიდ პატივს ვცემ, მას შემდეგ, რაც ისლანდიელები ჯერ ფინელებთან დამარცხდნენ და ახლა ჩვენთან, მათ ფავორიტად ვერ ჩავთვლი. პირველი ადგილისთვის ჩვენ და ფინეთი ვიბრძოლებთ.

**- ამ სამი მატჩის შემდეგ ალბათ დაინახეთ სუსტი წერტილები, რომლებიც გუნდს აქვს...**

- მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, მაგრამ საკმაოდ არასტაბილურად ვთამაშობთ. მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ 20-25 წუთის განმავლობაში ვაჩვენებთ კარგ კალათბურთს. კარგი იქნება, თუ მომავალში 35 წუთამდე ავიყვანთ ამ მაჩვენებელს.

**- ფინეთთან მოგების შანსი გვაქვს?**

- თუ გუნდურ კალათბურთს ვითამაშებთ, ჩვენ გამარჯვების გაცილებით მეტი შანსი გვაქვს, ვიდრე ფინეთს, ხოლო თუ ინდივიდუალიზმზე გადავედით, მარცხს ვერ ავარიდებთ თავს.

# ფავორიტების სინქრონი

მიხეილ აბაიშვილი

სანაკრებო ბატალიებით გამოწვეული არდადეგები დასრულდა და ქართულმა კლუბებმა ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატად წოდებულ ტურნირში განაახლეს ასპარეზობა. თითქმის ორკვირიანი არდადეგები ზოგმა კარგად გამოიყენა, ზოგიც არცთუ ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა ტურნირს. თუმცა, საერთო ჯამში, თითქმის ყველა შეხვედრაში იოლად პროგნოზირებადი შედეგი დაფიქსირდა. ჩემპიონატის ფავორიტებმა მოიგეს და სატურნირო ცხრილში თითქმის არავითარი გადაადგილება არ მომხდარა.

ტურის ცენტრალური მატჩი ბოლნისში, სტეფანიას სტადიონზე გაიმართა, სადაც გასული სეზონის საუკეთესო გუნდმა, ადგილობრივმა "სიონმა" ჩემპიონატის მუდმივ ფავორიტს და ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონს თბილისის "დინამოს" უმასპინძლა. ორივე ამ გუნდმა მიმდინარე ტურნირში წარუმატებელი სტარტი აიღო. "დინამომ" პირველ ორ ტურში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ ზედიზედ ორი მარცხი განიცადა და ლიდერთა ჯგუფს ჩამორჩა. "სიონსაც" ოთხი ტურის შემდეგ აქტივში 6 ქულა ჰქონდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ პრინციპული მეტოქეების დაპირისპირებას დამატებითი სატურნირო დატვირთვაც ექნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლნისელთა სპორტულ ხელმძღვანელობაში გარკვეული პრობლემებია. წინა ტურში საკუთარ მოედანზე დებიუტანტ რუსთავის "ოლიმპთან" განცდილ მარცხს მატჩის შემდეგ ინციდენტი მოჰყვა, რომელშიც გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე მონაწილეობდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ცხადაძეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა. თავის მხრივ, სამწვრთნელო საკითხებში ბოლომდე კარგად არც "დინამოს" ჰქონდა საქმე. კახა კაჭარავა ნამდვილად ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას და უკვე ცნობილია, რომ უახლოეს დღეებში გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. ჩეხი დუშან უგრინი თბილისს 16 სექტემბერს ეწვევა და გუნდთან კონტრაქტს გააფორმებს. ამ კაცის სხვა მიღწევებს რომ თავი გავანებოთ, უგრინის ხელმძღვანელობით ჩეხეთის ეროვნულმა ნაკრებმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში იასპარეზა და ვერცხლის მედლებს დასჯერდა. თბილისის "დინამოს" შეფების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი საუკეთესო არჩევნად შეიძლება შეფასდეს. ამ საკითხზე ახლო მომავალში ვისაუბროთ, ახლა კი ტურს დავუბრუნდეთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაშმა დაძაბულ, ნერვულ ატმოსფეროში ჩაიარა. მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ეს გოლი დინამოელებმა 67-ე წუთზე გაიტანეს: კუთხურიდან მერებაშვილის ჩამოწოდების შემდეგ სანდრო იაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "მეორე სართულზე" ბრძოლაში საქართველოში ბადალი არ ჰყავს და ზუსტი თავური დარტყმით თავისი გუნდისთვის გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. ამ ეპიზოდამდე და ამის შემდეგაც ორივე გუნდის ფეხბურთელებს არაერთხელ შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ ყველა შემთხვევაში უკანახაზელები და მეკარეები უფრო იღბლიანები აღმოჩნდნენ. საბოლოოდ "დინამომ" შეძლო ანგარიშის შენარჩუნება და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მიითვალა.

თბილისის "ამერს" კი ველარავინ აჩერებს. როგორც ჩანს, უეფას თასზე გერმანიის "ჰერტასთან" ღირსეულმა თამაშმა მას საკუთარი ძალების რწმენა შესძინა - თამაშს თამაშზე იგებს. "ბორჯომი" გიორგი ჩიხრაძის შეგირდთა ზედიზედ მეხუთე "მსხვერპლი" აღმოჩნდა. მატჩი გლდანში, "ამერის" არენაზე გაიმართა და მასპინძელთა სრული უპირატესობით ჩაიარა. შეხვედრაში ორი გოლი გავიდა და ორივე - სტუმართა კარში. "ამერის" მხრიდან "დუბლის" ავტორი გახდა გუნდის ახალწვეული გივი დიდავა, რომელიც თანდათან აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და თუ ასე გააგრძელა, მალე ტოპმიოლერის ყურადღებასაც მიიპყრობს. "ამერმა" 2:0 გაიმარჯვა და უდანაკარგოდ, 15 ქულით ლიდერობს სატურნირო ცხრილს.

ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა დებიუტანტ "ოლიმპის" წარმატებული სტარტი, მაგრამ ხუთი ტური გავიდა და უკვე ნათელია, რომ ეს გუნდი ამ სეზონში საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს. "ოლიმპმა" ზედიზედ მეორე გასვლითი შეხვედრა მოიგო. მართალია, "მერანის" სტუმრად ძლევა არ შეიძლება მაინცდამაინც დიდ გმირობად შეფასდეს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ "ოლიმპმა" წინა ტურში საქართველოს ჩემპიონი "სიონი" დაამარცხა, რაც მეტალურგთა ქალაქის წარმომადგენლების ამბიციებს საფუძველს უმაგრებს.

"ზესტაფონს" თემურ მახარაძე დაუბრუნდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის მისვლით ეს გუნდი მთავარი ტიტულის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ხდება. მახარაძის ხელმძღვანელობით "ზესტაფონმა" პირველივე შეხვედრაში იმარჯვა - საჩხერის "ჩიხურას" ორი უპასუხო გოლი გაუტანა (ფიფია, იონანიძე) და ლიდერთა მარათონში ჩაერია.

ამ მარათონში თბილისის "ვიტ ჯორჯიაც" მონაწილეობს. ვეტერინარებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანე.ს დასუსტებულ "ლოკომოტივს" და ლიდერს კვალში მისდევენ.

### მე-5 ტური

"ამერი" თბილისი ..........2 - 0
"ბორჯომი" ბორჯომი
"ტორპედო" ქუთაისი ......2 - 0
"დილა" გორი
"სიონი" ბოლნისი ..........0 - 1
"დინამო" თბილისი
"კახეთი" თელავი ..........1 - 3
"დინამო" ბათუმი
"ზესტაფონი" ზესტაფონი . . 2 - 0
"ჩიხურა" საჩხერე
"ლოკომოტივი" თბილისი . . 0 - 3
"ვიტ ჯორჯია" თბილისი
"მერანი" თბილისი .........0 - 1
"ოლიმპი" რუსთავი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ამერი | 5 | 5 | 0 | 0 | 11-1 | 15 |
| 2 ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-0 | 13 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 4 ტორპედო | 5 | 3 | 2 | 0 | 5-1 | 11 |
| 5 ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 6 დინამო(თბ) | 5 | 3 | 0 | 2 | 10-4 | 9 |
| 7 სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 8 მერანი (თბ) | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 9 დინამო (ბთ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 10 ბორჯომი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 11 ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 12 ჩიხურა (სჩ) | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 13 დილა (გრ) | 5 | 0 | 1 | 4 | 2-15 | 1 |
| 14 კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-17 | 0 |

# წითელმა ბარონმა ხელი დაგვიქნია

*"მონცას" ტრასაზე იტალიური საჯინიბოს - "ფერარის" გარდა არავის ცნობენ. აქ ყველაფერი ახარებთ, რაც სკუდერიას უკავშირდება. "ფერარის" გამარჯვება და არაფერი გამარჯვების გარდა. ასეთია ფორმულა 1-ის იტალიელ გულშემატკივართა დევიზიც და მოწოდებაც. გუშინ "იტალიის დიდი პრიზი" გაიმართა. მსოფლიო ჩემპიონატის მე-15 ეტაპი. რბოლის შემდეგ არემარე ფერარელთა ფერებით აჭრელდა. წითელმა ბარონმა "იტალიის დიდი პრიზი" მოიგო და ჩემპიონატის ლიდერის "რენოს" ესპანელ მრბოლთან ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა. და კიდევ, 37 წლის მიხაელმა დანაპირები აასრულა: სეზონი დასრულდება და მეც დავასრულებ ჩემს კარიერასო. ასე რომ, წითელი ბარონი სამეფო რბოლებს ტოვებს.*

გიგა გურასაშვილი

ფორმულა 1-ის სამყაროში ვითარება არნახულად დაიძაბა. ფრანგული საჯინიბოს ნებიერამ, რომელიც შუა სეზონში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს გვარიანად უგებდა, მერე და მერე იმდენი მოახერხა, რომ მოპოვებული ქულები "ფერარის" გაატანა. და აი, სავარაუდო ჩემპიონებს შორის სხვაობა სიმბოლური გახდა. კონსტრუქტორთა დავაში კი სკუდერია დაწინაურდა. თუ "რენოში" დროულად გონს არ მოეგნენ, "ჩინეთის დიდ პრიზზე" პირად დავაში მოწინავედ უკვე მიხაელი მოგვევლინება და, ალბათ, კარიერას მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონის სტატუსით დაასრულებს.

"საოცარი დღე იყო, - რბოლის შემდეგ პრესკონფერენციაზე აღელვებული იყო შუმახერი, - კარგა ხნის განმავლობაში ჩემს ირგვლივ მითქმა-მოთქმა იყო. გულშემატკივრებს უფლება აქვთ იცოდნენ რა ხდება. ახლა შესაფერი დროა. "მონცაზე" უკანასკნელად გამოვედი. გადავწყვიტე რბოლებიდან წავიდე. მოტოსპორტმა მომცა ყველაფერი. მომწონდა ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა - კარგიც და ცუდიც. ეს კი ცხოვრებას განსაკუთრებულს ხდის.

ახლა ერთი მიზანი მაქვს. დარჩენილ სამ რბოლაზე გავაკეთო კონცენტრირება - მოვიგო სამივე რბოლა და წარმატებით დავასრულო კარიერა".

გუშინ სხვა საინტერესო ამბავიც გაირკვა. კერძოდ, ის, თუ ვინ დაიკავებს მიხაელის ადგილს "ფერარიში". ტიფოზებმა ამ კითხვაზეც მიიღეს პასუხი: "მაკლარენ-მერსედესის" ფინელმა მრბოლმა კიმი რაიკონენმა სკუდერიელებთან სამწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი.

შეგახსენებთ, რომ რაიკონენის ადგილს "მაკლარენში" ფერნანდო ალონსო დაიკავებს.

დაბოლოს, 43-ე წრე რომ არა, ესპანელისთვის პირად დავაში ვითარება გაცილებით უკეთესი იქნებოდა. "იტალიის დიდი პრიზის" დასრულებამდე ათი წრით ადრე მესამე პოზიციაზე მყოფ ალონსოს ბოლიდს ძრავა დაეწვა. სტარტი კი მეათე პოზიციიდან



შუმახერმა ალონსო სახიფათოდ შეავიწროვა.

აიღო და სამეულამდე შეძლო გზის გაკაფვა.

გუშინ ფრანგული საჯინიბოსთვის ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ "რენოს" იტალიელმა მრბოლმა ჯანკარლო ფიზიკელამ მეოთხემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

წინ "ჩინეთის დიდი პრიზი" და შანხაის ტრასაა. დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმას, თუ რას უნდა ველოდოთ შანხაიში. ალბათ ეს იქნება ჩემპიონატის ყველაზე დაძაბული ბრძოლა. ბრძოლა "რენოსა" და "ფერარის" შორის.



### "იტალიის დიდი პრიზი"

*"მონცა" 53 წრე. 5,793 კმ.*

1. მიხაელ შუმახერი ("ფერარი")
2. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") ............+8.0
3. რობერტ კუბიცა ("ზაუბერ-BMW") ............+26.4
4. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") ............+32.0
5. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა") ............+32.6
6. რუბენს ბარიკელო ("ჰონდა") ............+42.4
7. იარნო ტრული ("ტოიოტა") ............+44.6
8. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") ............+45.3

### მრბოლთა პირადი დავა

1. ფერნანდო ალონსო ("რენო") ............108
2. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") ............106
3. ფელიპე მასა ("ფერარი") ............62
4. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") ............57
4. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") ............57
6. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა") ............40
7. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენი") ............26
8. რუბენს ბარიკელო ("ჰონდა") ............25
9. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") ............20
10. რალფ შუმახერი ("ტოიოტა") ............18
11. პედრეო დე ლა როსა ("მაკლარენი") ............14
11. დევიდ კულჰარდი ("რედ ბული") ............14
13. იარნო ტრული ("ტოიოტა") ............12
14. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერ-BMW") ............7
15. რობერტ კუბიცა ("ზაუბერ-BMW") ............6
15. მარკ ვებერი ("უილიამსი") ............6
17. ნიკო როსბერგი ("უილიამსი") ............4
18. კრისტიან კლიენი ("რედ ბული") ............2
19. ვიტანტონიო ლუცი ("ტორო როსო") ............1

### კონსტრუქტორთა ჩათვლა

"ფერარი" ............168
"რენო" ............165
"მაკლარენ-მერსედესი" ............97
"ჰონდა" ............65
"ზაუბერ-BMW" ............33
"ტოიოტა" ............30
"რედ ბული" ............16
"უილიამსი" ............10
"ქოსვორტი" ............1
MF1 ............0
"სუპერ აგური" ............0

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### ნავთობის ფასი 67 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 66,17 დოლარი, Light-ის მარკის ნავთობი კი 66,84 დოლარი/ბარელი ღირდა. ეს კი უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

"შავი ოქროს" ამგვარი გაიაფება უკავშირდება აშშ-ში ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საკმარისი მარაგის არსებობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, ზაფხულის საავტომობილო პერიოდის დამთავრებას და მსოფლიო ბაზრისათვის ნავთობის შეუფერხებელ მიწოდებას. ამასთან, კომპანია BP-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალიასკაზე მდებარე პრადხო-ბეის საბადოზე სამუშაოები სულ მალე განახლდება.

შედეგად, "ოპეკის სანავთობე კალათის ფასმა" 62,84 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც უკანასკნელი 11 კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3207 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9819 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4748 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7439 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8141 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1344 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2973 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3042 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2181 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4181 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3354 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1875 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1500 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2675 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1898 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2460 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,3983 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5705 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1823 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4738 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3097 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2690 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5571 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5859 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0652 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1106 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4442 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5155 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4197 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4759 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8059 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0305 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1386 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4430 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2373 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4029 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0784 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2193 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2242 |




# N1 რეფორმატორი

## მთავრობა მოსახლეობას უფრო აქტიურად უნდა ესაუბროს

დიანა ჩაჩუა

*საქართველო საუკეთესო რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების - მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის - ახალი ერთობლივი კვლევის შესახებ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. საქართველომ მდგომარეობის გაუმჯობესება "ბიზნესის წარმოების" შესახებ კვლევის შედეგებით 10 სფეროდან 6 სფეროში შეძლო. შედეგად, ზოგად რეიტინგში 112-ე ადგილიდან 37-ზე დაწინაურდა. კვლევის ავტორი სიმეონ დიანკოვი უკვე თბილისშია. წელს მას საქართველოსთან მიმართებაში შედარებით შერბილებული პოზიცია აქვს. თუმცა ის, რომ ჩვენს ხელისუფლებას გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ დარჩა, ამას სიმეონ დიანკოვი ამჯერადაც გვახსენებს, და იმედია, დღეს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე მთავრობასაც შეახსენებს. ამ კვლევასთან დაკავშირებით გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს სიმეონ დიანკოვთან.*

- **ერთი რჩევა მაქვს: მთავრობა ბიზნესის წარმომადგენლებს და, ზოგადად, მოსახლეობას ამ რეფორმების შედეგებზე უფრო აქტიურად უნდა ესაუბროს.**
- **ინფლაციასთან დაკავშირებით, საქართველო გამონაკლისი არ არის. ყველა ქვეყანაში, სადაც განვითარების ასეთი სწრაფი ტემპებია, ინფლაციასთან დაკავშირებული პრობლემები ჩვეული მოვლენაა. ეს ჩემს შეშფოთებას არ იწვევს. ბევრი ქვეყანა ვიცი, სადაც მსგავსი პრობლემები დაფიქსირდა, თუმცა ამას ქვეყნის განვითარებისთვის ხელი არ შეუშლია.**


*სიმეონ დიანკოვი.*

B2

# როგორ ასრულებს ბიზნესსექტორი პრეზიდენტის დავალებას?

## დასაქმების სახელმწიფო პროგრამა "დაიქოქა"

მარიამ ჭაჭვაძე

*პრეზიდენტის ახალ ეკონომიკურ პროგრამას, რომელიც 50 ათასი მოქალაქის კერძო სექტორში სტაჟირებას და გადამზადებას გულისხმობს, ბიზნესმენთა ერთი ნაწილი უხალისოდ ეხმიანება. ზოგიერთმა მათგანმა ამ პროგრამაში მონაწილეობაზე საერთოდ უარი განაცხადა.*

**ცნობისათვის:**
**უმუშევრობის პრობლემა რამდენიმე სახელმწიფომ დაახლოებით ამ გზით დაძლია.**

ერთ-ერთი კერძო კომპანია, რომელმაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, სადაზღვევო ბაზრის ლიდერი კომპანია "ალდაგი" გახლავთ. კომპანიაში ამის მიზეზად პროგრამაში აღმოჩენილ ხარვეზებს ასახელებენ. **"მასმედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციით, პროგრამაში ბევრი ლაფსუსი აღმოჩნდა. არის ბევრი უკმაყოფილო, რომელთა მოლოდინი არ გამართლდა. ამის გათვალისწინებით ჩვენ ჯერჯერობით თავს შევიკავებთ. პროექტის მიმდინარეობას დავაკვირდებით და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ,"** - განუცხადა "ალდაგის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გიორგი თხელიძემ საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ბი-სი"-ს

თუმცა თხელიძე იქვე დასძენს, რომ კომპანიაში სტაჟიორების მიღება პრეზიდენტის ზემოთ ხსენებულ ინიციატივამდე ორი წლით ადრე დაიწყო. "ალდაგის" მარკეტინგის მენეჯერმა ვახტანგ გუჯაბიძემ "24 საათთან" საუბრის დროს განაცხადა, რომ სადაზღვევო კომპანია, 2004 წლიდან მოყოლებული, მუდმივად ახდენს სტაჟიორების გადამზადებას და **"მათგან რამდენიმე წარმატებული "ალდაგში" სამუშაოდ რჩება."**

გაგრძელება B4 გვერდზე

# ემირატული სამოთხე "პალმურ" კუნძულებზე

მერაბ ლორთქიფანიძე

*დასასრულს უახლოვდება დუბაის მახლობლად ხელოვნური კუნძულების მშენებლობა, კუნძულებისა, რომლებსაც პროექტის ავტორებმა "სამყაროს მერვე საოცრება" უწოდეს. მშენებლობის მასშტაბი განმაცვიფრებელია. ასეთი რამ ჩვენს პლანეტაზე არავის და არასოდროს შეუქმნია. ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ მომავალში დუბაის და საერთოდ, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს, კიდევ უფრო მეტი ტურისტი ეწვიოს.*





B3

## პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ვაშინგტონს "ნაბუკოს" გაზსადენის მშენებლობისათვის დახმარებას სთხოვს

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი იაროსლავ კაჩინსკი სექტემბრის ბოლოს ვაშინგტონში ვიზიტისას თურქმენული და ყაზახური გაზის აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის გავლით ევროკავშირში ტრანსპორტირების შესაძლებლობას განიხილავს.

გაზის ტრანსპორტირება აღნიშნული მარშრუტით "ნაბუკოს" გაზსადენით განხორციელდება, რომლის მშენებლობისათვის ენერგეტიკული კომპანიები Texaco და Chevron მზად არიან 5 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია გაიღონ.

პოლონეთი გეგმავს, რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შესამცირებლად, დახმარებისათვის აშშ-ს მიმართოს, ხოლო სანაცვლოდ საკუთარ ტერიტორიაზე აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებას სთავაზობს. **ჯიბისი**

## მომავალ კვირას საქართველოს ფინანსთა მინისტრი რამდენიმე რეგიონს ეწვევა

ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონს ეწვევა და იგი შეხვედრებს ადგილობრივი ხელისუფლების და ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართავს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ალექსიშვილი მომავალ კვირას იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონებს ესტუმრება.

ფინანსთა მინისტრი ადგილობრივ მეწარმეებს პირადად გააცნობს ფინანსთა სამინისტროს ფისკალურ უწყებებში მიმდინარე რეფორმებს. ახალი საბაჟო კოდექსის (2007 წლის 1 იანვრამდე) ამოქმედებამდე კი მეწარმეებისგან შენიშვნებს მოისმენს.

როგორც ალექსიშვილი აცხადებს, ქართველი ბიზნესმენების წინადადებებს ხელისუფლება მაქსიმალურად გაითვალისწინებს. მათთვის მისაღები კანონქვემდებარე აქტების ამოქმედება ხელისუფლებას ადმინისტრირებას, მეწარმეებს კი საქმიანობის წარმართვას გაუადვილებს. ანალოგიური ვიზიტით ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი 8 სექტემბერს ქვემო ქართლის რეგიონს სტუმრობდა, სადაც იგი პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილს და ადგილობრივ მეწარმეებს შეხვდა. **ჯიბისი**

## არაბი და იტალიელი ინვესტორები ქვემო ქართლში კერამიკულ ქარხანას ააშენებენ

არაბი ინვესტორი ქვემო ქართლში კერამიკული ქარხნის რეაბილიტაციით არის დაინტერესებული, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა განუცხადა. მელიქიშვილის განმარტებით, არაბები გაკოტრების რეჟიმში მყოფი ერთ-ერთი ქარხნის ყიდვით არიან დაინტერესებული.

მელიქიშვილი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, არაბი ინვესტორი რა ოდენობის ინვესტიციების დაბანდებას აპირებს, თუმცა არაბები ისეთ ტერიტორიას ეძებენ, სადაც წყლის პრობლემა არ არის და რკინიგზაც ახლოს არის.

ქვემო ქართლში მეორე, იტალიელი ინვესტორი კერძო სექტორთან ტერიტორიის შესყიდვაზე აწარმოებს მოლაპარაკებას და იქ კერამიკული ქარხნის აშენებას გეგმავს. **ჯიბისი**

## რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დამატებით სამი საამქრო ამუშავდება

"რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში" განხორციელებული ინვესტიციების წყალობით ქარხანაში სამი საამქრო ამუშავდება, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილმა განუცხადა.

მელიქიშვილის განმარტებით, ამ პროექტის შესაბამისად, ქარხანაში დამატებით დაახლოებით 1000 კაცამდე დასაქმდება. გარდა ამისა, ქვემო ქართლში სამი პატარა ქარხანა გაიხსნება. "მარაგნაწილების დამამზადებელი ქარხანა, რომელიც ქვემო ქართლში უკვე მუშაობას შეუდგა დამატებით საშუალოდ 150-200 კაცამდე დაასაქმებს.

ასეთი ქარხანა ფაქტობრივად საქართველოში არ არსებობდა, ამ მიმართულებით ერთი ქუთაისში მუშაობდა, თუმცა იგი უკვე აღარ მოქმედებს," - განაცხადა მელიქიშვილმა.

პროექტს ახორციელებს ადგილობრივი მეწარმე, რომელსაც პატარა საწარმო გააჩნია და რეინვესტირებით მისი გაფართოება გადაწყვიტა. **ჯიბისი**

## ერევნის კონიაკის ქარხნის პროდუქციის 80% რუსეთში იყიდება

რუსეთი ერევნის კონიაკის ქარხნისათვის გასაღების პრიორიტეტულ ბაზრად რჩება, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ქარხნის მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელმა ზარა ნაზარიანმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ქარხნის პროდუქციის 80%-ის რეალიზაცია რუსეთის ბაზარზე ხდება. კერძოდ, 2005 წელს წარმოებული 3,4 მლნ ლიტრი კონიაკიდან 2,5 მლნ ლიტრი რუსეთის ბაზარზე გაიყიდა. ნაზარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას უარყო რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსეთმა კომპანია Pernod Ricard-ს, რომლის შემადგენლობაში ერევნის კონიაკის ქარხანაც შედის, ლიცენზია ჩამოართვა.

"ეს ინფორმაცია თავად რუსეთის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურმა უარყო," - განაცხადა ზარა ნაზარიანმა.

ერევნის კონიაკის ქარხანა 1887 წელს შეიქმნა. 1998 წლიდან ქარხანა საერთაშორისო კოპორაცია Pernod Ricard-ის ფრანგული ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა, რომელმაც ქარხანა 30 მლნ აშშ დოლარად საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შეიძინა. **ჯიბისი**

## IFC -ი აზერბაიჯანული AGBank-ის აქციონერი გახდა

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) აზერბაიჯანული ბანკის, Azerigazbank-ის (AGBank) აქციათა 17,5%-ის მფლობელი გახდა. როგორც აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო abc.az-ს AGBank-დან აცნობეს, აღნიშნული გარიგების გაფორმებით ბანკში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყება.

"საფინანსო კორპორაცია AGBank -თან 1998 წლიდან თანამშრომლობს, როდესაც ბანკს მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისათვის საკრედიტო ხაზი გავუხსენით. ამ დროიდან მოყოლებული, AGBank-ი კოპორაციისათვის საიმედო პარტნიორია," - განაცხადა IFC-ის აზერბაიჯანის ოფისის ხელმძღვანელმა ალია აზიმოვამ. ამ დროისათვის AGBank-ის საწესდებო კაპიტალი 7,2 მლნ მანათს შეადგენს. **ჯიბისი**

# N1 რეფორმატორი

პირველი გვერდიდან

**- ბატონო სიმეონ, საქართველო მსოფლიოში მართლა ნომერ პირველი რეფორმატორია?**

- წელს საქართველომ მართლაც უდიდესი ნახტომი გააკეთა და რეიტინგში 112-ე ადგილიდან 37-ზე დაწინაურდა. თქვენმა ქვეყანამ "ბიზნესის წარმოების" შესახებ კვლევის მიერ შესწავლილი 10 სფეროდან მდგომარეობა ექვს სფეროში გააუმჯობესა . აღსანიშნავია, რომ ასეთი მიღწევა ჯერ არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია.

საქართველოში რეფორმები ექვს სფეროში გატარდა: ბიზნესის დაწყება, ლიცენზიების გაცემა, მუშახელის დაქირავება, კრედიტების გაცემა, საგარეო ვაჭრობა და კონტრაქტების შესრულება.

მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - შრომის ახალი კოდექსის მიღება იყო. ამასთან, საქართველომ ხელფასის ოდენობის 31-დან 20 პროცენტამდე შეამცირა სოციალური შენატანების განაკვეთი (რომელთაც კომპანიები იხდიდნენ), რითაც დამქირავებელს სამუშაოზე ახალი თანამშრომლების აყვანა გაუმარტივა.

რაც შეეხება ბიზნესის დაწყების სფეროში რეფორმებს, მათი გატარება 2004 წელს დაიწყო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ კუთხით გარკვეული შედეგი უკვე გვაქვს. კერძოდ, საქართველოში 2000 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდა მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რომელიც ბიზნესის დასაწყებად არის აუცილებელი.

რაც შეეხება კრედიტების აღების პროცედურას: აქ ძალიან საიმედო მდგომარეობაა. ესეც რამდენიმე წლის წინ დაწყებული პროცესია, რომელიც წარმატებით გრძელდება.

საბაჟოზე და საზღვრის დაცვის სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა გაამარტივა საზღვრის გადაკვეთის პროცედურები. 2004 წელს ადმინისტრაციულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას 54 დღე სჭირდებოდა, ხოლო დღეისათვის იგივეს მხოლოს 13 დღე სჭირდება. გარდა ამისა, საქართველომ გაამარტივა საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოებისათვის, დანერგა სპეციალიზირებული კომერციული სანქციები და გაატარა აპელირების პროცესის რეფორმა. მარტივი კომერციული დავის გადასაჭრელად საჭირო დრო 375 დღიდან 285 დღემდე შემცირდა.

**- ნიშნავს თუ არა კვლევაში ათვლის წერტილად აღებული, რეფორმების რიცხობრივი რაოდენობა იმას, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ მიდის?**



სიმეონ დიანკოვი.

- რეფორმებს შორის არის ისეთები, რომლებიც მყისიერ ეფექტს იძლევა, მაგალითად, ბიზნესის დაწყება. კომპანიების რეგისტრაცია 2005-დან 2006 წლამდე პერიოდში 20 პროცენტით გაიზარდა. ანუ შედეგი სახეზეა.

რაც შეეხება რეფორმებს შრომის სფეროში, აქ უკვე რამდენიმე წელი იქნება საჭირო, რათა გატარებული ღონისძიებების შედეგები ვიგრძნოთ.

კვლევაში საქართველოს მიერ მიღწეული წარმატება ნიშნავს იმას, რომ სამუშაო ადგილები გაიზრდება და სამომავლოდ ეკონომიკური ზრდაც გაგრძელდება. ასეთი ოპტიმიზმის საშუალებას ის ფაქტი გვაძლევს, რომ ჩვენ სხვადასხვა პერიოდში, საქართველოს გარდა, 175 ქვეყანა გვაქვს შესწავლილი. რიგ ქვეყნებში რეფორმები ადრე გატარდა, ასე რომ, გვქონდა საშუალება, რეფორმების განვითარება და მიღებული შედეგები შეგვესწავლა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ეს პროცესი გაცილებით წარმატებით წარიმართება.

საქართველოს მსგავსი რეფორმები თავის დროზე ბალტიის ქვეყნებში გაატარეს. ესტონეთს ბოლო წლებში ევროპაში, ფაქტობრივად, ყველაზე სწრაფი განვითარების მაჩვენებელი აქვს. მას სლოვაკეთი მოსდევს. მაგრამ ყოველივე ამის მიღწევას წლები სჭირდება. გამონაკლისი არც საქართველო იქნება...

**- აღნიშნული რეიტინგის შედგენისას რა მაჩვენებლებს ითვალისწინებთ?**

- ჩვენ შევისწავლეთ ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მარეგულირებელი აქტები, რა დრო და დანახარჯების გაწევაა საჭირო ბიზნესის დასაწყებად, რომ მთავრობის მიერ დაწესებული წესები შესრულდეს, რამდენად მარტივია ბიზნესის ყოველდღიური წარმოება, ვაჭრობა, დაბეგვრა და ბიზნესის დახურვა, და ა.შ.

ბიზნესის წარმოების შესახებ ანგარიში 5000-ზე მეტმა ადგილობრივმა ექსპერტმა შექმნა. ესენი არიან ბიზნესკონსულტანტები, იურისტები, ბუღალტრები, მთავრობის თანამდებობის პირები და მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები.

კვლევისას რეიტინგის მონაწილე ხელისუფალთაგან არანაირ ინფორმაციას არ ვიღებთ. მხოლოდ კერძო სექტორს ვეყრდნობით. ვეკონტაქტებით იურიდიულ ფირმებს, საკონსულტაციო ფირმებს, კერძო ორგანიზაციებს და ა.შ.

**- რაც შეეხება ცვლად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, რეიტინგის დათვლისას მათი გათვალისწინება საერთოდ არ ხდება. რატომ? არადა, საქართველოს ხელისუფლებამ, მაგალითად, ინფლაციასთან დაკავშირებით, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციისგან საკმაოდ მწვავე შენიშვნები მიიღო...**

- ჩვენ ამ მონაცემებს არ ვიყენებთ არა იმიტომ, რომ მნიშვნელოვნად არ მივიჩნევთ. უბრალოდ, არ ვერევით საკითხებში, რომლებზეც სხვა მსხვილი ორგანიზაციები მუშაობენ, იგივე საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

თუმცა, იმავე ინფლაციასთან დაკავშირებით, საქართველო გამონაკლისი არ არის. ყველა ქვეყანაში, სადაც განვითარების ასეთი სწრაფი ტემპებია, ინფლაციასთან დაკავშირებული პრობლემები ჩვეული მოვლენაა. ეს ჩემს შეშფოთებას არ იწვევს. ბევრი ქვეყანა ვიცი, სადაც მსგავსი პრობლემები დაფიქსირდა, თუმცა ამას ქვეყნის განვითარებისთვის ხელი არ შეუშლია.

**- გასულ წელს თქვენ განსაკუთრებული აქცენტი საქართველოში ინვესტორების დაცვის მდგომარეობაზე გააკეთეთ. მაშინ აღნიშნეთ, რომ თუკი ამ სფეროში რეფორმა არ გატარდებოდა, ეს უარყოფითად იქნებოდა აღქმული. წლევანდელი კვლევის მიხედვითაც, ინვესტორების დაცვის მხრივ არანაირი რეფორმა არ გატარებულა...**

- ინვესტორების დაცვა სწორედ ის სფეროა, სადაც რეფორმების გატარებაა საჭირო. 2004 წელს ამ კუთხით გარკვეული რეფორმები გატარდა, თუმცა მას შემდეგ ეს პროცესი შეჩერდა.

არის კიდევ რამდენიმე სფერო, სადაც რეფორმების გატარება აუცილებელია: ერთ-ერთი ასეთი - საბანკო სფეროში გაკოტრების შესახებ ახალი კოდექსის მიღებაა. მართალია, ეს კოდექსი არსებობს, თუმცა 1993 წელს მიიღეს და ის რუსული მოდელის ანალოგია. კოდექსი მოძველდა და მას, ბუნებრივია, სოციალისტური ელფერი დაჰკრავს. რატომ არის კოდექსი მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკებმა მცირე ბიზნესთან ურთიერთობისგან, შესაძლოა, თავი შეიკავონ.

მოდით, ვიკითხოთ ეროვნულ ბანკში, თუ ვინ ღებულობს ქართულ საბანკო სექტორში კრედიტებს. ესენი, ძირითადად, მსხვილი ფირმები არიან, საშუალო და მცირე საწარმო კი - ნაკლებად. აქ ორი მიზეზია: გაკოტრების გაუმართავი და ცუდი კანონი და კრედიტების გაუმართავი საინფორმაციო სისტემა. ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ძვრები იყო, თუმცა ეროვნული ბანკი ფეხს ითრევს. ისინი ცალკე კრედიტების ბიუროს შექმნაზეც კი მუშაობენ. ეს კარგი არ არის. რატომ? ასეთი კერძო ბიურო უკვე არსებობს, მაგრამ ეროვნული ბანკი ხელს უშლის მის არსებობას. გაცილებით უკეთესია, ეს ბიურო კერძო სექტორში არსებობდეს.

ერთი რჩევა მაქვს: მთავრობა ბიზნესის წარმომადგენლებს და, ზოგადად, მოსახლეობას ამ რეფორმების შედეგებზე უფრო აქტიურად უნდა ესაუბროს. საქართველოს მთავრობა თავისი დროის 95 პროცენტს რეფორმების გატარებაზე, 5 პროცენტს კი მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე ხარჯავს. სასურველი იქნებოდა, რომ პროცენტული შეხამება 50-50-ზე ყოფილიყო.

**- რეიტინგის მიხედვით, რეგიონში სომხეთი მოწინავე ქვეყანაა. რის ხარჯზე მიაღწია ჩვენმა მეზობელმა ამ შედეგს?**

- საქმე ისაა, რომ სომხეთში რეფორმები გაცილებით ადრე - 1998 წლებში დაიწყო. მას შემდეგ რეფორმები გრძელდება, თუმცა შედარებით ნელი ტემპით. სომხეთში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული - სასამართლო რეფორმა იყო, რამაც კორუფციის შემცირება გამოიწვია. საქართველოსთვის სომხეთის შემთხვევაში ყველაზე მისაბაძი სწორედ სასამართლო რეფორმა იქნებოდა.

საქართველოში 2004 წლამდე, პრაქტიკულად, არანაირი წინსვლა არ ყოფილა, ის მხოლოდ შემდეგ დაიწყო. თუ ასე გაგრძელდა, მომავალ წელს საქართველო სომხეთსაც გაუსწრებს.

# ვინ და როგორ გააკონტროლებს სურსათის ბიზნესს?

## კანონმდებლები და აღმასრულებლები ვერ შეთანხმდნენ

თინა შავაძე

ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის მეწარმე ცდილობს მომხმარებელს ხარისხიანი პროდუქტი მიაწოდოს და მისი ნაწარმი ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს. ბუნებრივია, ხარისხიან პროდუქტს ღირებულებაც შესაბამისად მაღალი აქვს. ბაზარზე კი მოთხოვნა ყველა სახის პროდუქციაზე არსებობს და ეს მომხმარებლის მსყიდველობის უნარზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ევროპაში სურსათის (საკვები პროდუქტები) ბიზნესი ყველა ხარისხის პროდუქტის დამზადებით წარმოებს. ბევრ ქვეყანაში სურსათის წარმოების ლიცენზირება ნებაყოფლობითია და ამას ის მეწარმე აკეთებს, ვისაც სურს, დაამტკიცოს, რომ მისი ნაწარმი ხარისხიანია. ეს არის ლიბერალური მიდგომა, რომლის დამკვიდრებასაც საქართველოს მთავრობა აპირებს. ამ მიზნით პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით მთავრობა უკვე შევიდა. აგრარულ საკითხთა კომიტეტში კანონპროექტის განხილვისას დეპუტატებმა მთავრობის მიდგომა არ გაიზიარეს. მათი უმრავლესობის აზრით, სურსათის ბიზნესის სერტიფიცირება ქვეყანაში სავალდებულო უნდა იყოს.

მხარეების ურთიერთსაპირისპირო პოზიციები გარკვეულ მოსაზრებას ეყრდნობა. დეპუტატი ზურაბ ცქიტიშვილი ამბობს, რომ მომხმარებელი მოსალოდნელი რისკებისგან უნდა დავიცვათ. ამიტომაც სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს. ცქიტიშვილი მთავრობის წევრებს შეჰპირდა, რომ მის მიდგომას პარლამენტი გაიზიარებს და დაამტკიცებს. “ქვეყანაში რამდენი მომხმარებელი დაზარალდა კორუმპირებული ბეჭედდასმული



ედუარდ სურმანიძე.

საბუთით?" - კითხულობს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი. და იქვე პასუხობს: - ბევრი. ამ პრობლემის აღმოფხვრის მთავარი საშუალება სერტიფიცირების პროცედურების გამარტივებაა, და ეს მაშინ მოხდება, როცა სერტიფიცირება ნებაყოფლობითი იქნება. ბაზარზე კი მომხმარებელი თავად გააკეთებს არჩევანს - სერტიფიცირებული, სანდო და ძვირადღირებული პროდუქტი იყიდოს, თუ სხვა რამ.

რა თქმა უნდა, სურსათის ხარისხის კონტროლი მხოლოდ სერტიფიცირების გზით შეუძლებელია და ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვას სხვა ბევრი მექანიზმის ამოქმედებაც სჭირდება, უპირველესად, სათანადო კანონმდებლობის მიღება. როგორც ირკვევა, “საქართველოს სანიტარულ კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" საქართველოს კანონით, რომლის საფუძველზეც სურსათის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - “სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს" დაევალა.

პროექტის მიზანია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორება. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით სურსათზე სახელმწიფო კონტროლს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ახორციელებს, ხოლო პროდუქციაზე - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

კანონპროექტის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული კანონპროექტით სურსათთან დაკავშირებული იმ ფუნქციებისა და სფეროების გამიჯვნა მოხდეს, რომლებიც სურსათზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ეხებოდა. წარმოდგენილი მუხლობრივი ცვლილებებით გაიმიჯნა მაკონტროლებელ ორგანოთა კომპეტენციები ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში, ვინაიდან “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" კანონის თანახმად, სურსათის (მათ შორის - სასმელი წყლის) უვნებლობისა და ხარისხის სახელმწიფო კონტროლს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული, “სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური" განახორციელებს. შესაბამისად, სხვა სამსახურების კომპეტენციიდან ამოღებულია სურსათის, მათ შორის - წყლის, სახელმწიფო კონტროლი. მოსალოდნელი ცვლილებებით, სასმელი წყლის კონტროლს - სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო სამეურნეო წყლისას - ჯანმრთელობის სამინისტრო განახორციელებს.

სურსათის ბიზნესის კეთებისას ვინ განახორციელებს კონტროლს და რა საკითხებზე? პროექტით ეს საკითხი ნათლად არის განმარტებული. კერძოდ, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის კომპეტენციაა: სურსათის, მომსახურების, ტექნოლოგიური პროცესის, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და სამუშაო ინსტრუმენტების ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაციის პროექტებზე ჰიგიენური დასკვნის გაცემა; სურსათის სინჯის (ნიმუშის) აღება ლაბორატორიული გამოცდის, კვლევის მიზნით, სურსათის სანიტარულ ნორმებთან შესაბისობის განხილვა და ჰიგიენური დასკვნის გაცემა; სატრანსპორტო საშუალებით სურსათის გადაზიდვისას სანიტარული ნორმების დაცვაზე კონტროლი და სანიტარული პასპორტის გაცემა; სასმელი წყლის ობიექტებზე, მათი მშენებლობის ობიექტებზე ჰიგიენური დასკვნის გაცემა, მათი გამოყენების, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს სანიტარული ნორმების დაცვაზე კონტროლი; სანიტარული ნორმების დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე, თანამდებობის პირის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება; სურსათის სინჯის (ნიმუშის) ჰიგიენური შეფასებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და სურსათის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემა.

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს. მისი ავტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ინიციატორი კი - საქართველოს მთავრობა.

დოკუმენტის თანახმად, კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს, და მისი მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები. მაგრამ აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ედუარდ სურმანიძე მთავრობას იმ საკითხში ედავება, რომ პროექტი საერთაშორისო ორგანიზაციების დირექტივებს ეწინააღმდეგება. და ამიტომაც, მთავრობისგან კანონპროექტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს.

### მცირე ჰესების მშენებლობა სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობს

საქართველოში მცირე ჰესების მშენებლობა საკანონმდებლო დონეზე სტიმულირდება.

ენერგეტიკის მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის მიხედვით, მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყო 10 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების დერეგულაცია. ჰესების მფლობელებს უფლება აქვთ, ელექტროენერგიით ვაჭრობა ლიცენზიების გარეშე და თავისუფალი ტარიფით განახორციელონ.

მცირე ჰესების მიმართ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ინიცირებული პოლიტიკა მცირე ჰესების მშენებლობის წახალისებას ისახავს მიზნად.

მცირე ჰესების მშენებლობის კიდევ ერთი სტიმულია ის, რომ ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებს კანონით დაევალათ, ელექტროენერგიის საკუთარი მოხმარების 32-49%, თბოელექტროსადგურებიდან და ექსპლუატაციაში 2004 წლის შემდეგ გაშვებული ახალი ჰესებიდან შეიძინონ. **ჯიბისი**

### ქართული ოქროს მონეტები სარეალიზაციოდ მსოფლიო ბაზარზე 11 სექტემბრიდან გამოვა

ოქროს საწმისის გამოსახულებით ავსტრიის ზარაფხანაში პირველი ქართული ოქროს მონეტა მოიჭრა. "გამოშვებულია ექვსი სხვადასხვა ზომისა და წონის საინვესტიციო მონეტა. ყველაზე მცირე იწონის 3,1 გრამს, ყველაზე დიდი კი - 311 გრამს," - აცნობეს GBC-ის საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ). სებ-ის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განაცხადებით, საინვესტიციო მონეტა ახალი მიმართულებაა ქართული ფულის ისტორიაში. ის არის ფულის დაბანდების და ქონების დაგროვების უნიკალური საშუალება, მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასის პერმანენტულად ზრდის პირობებში.

ოქროს მონეტების ყიდვა შესაძლებელი იქნება მონეტების პრეზენტაციაზე, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკში 11 სექტემბერს გაიმართება. მონეტების რეალიზება მოხდება მსოფლიო ბაზარზეც. ოქროს მონეტის სარეალიზაციო ფასი დადგინდება ყოველდღიურად ლონდონის ლითონების ბირჟის ფასის მიხედვით. **ჯიბისი**

### კარტოფილის გაძვირებამ სამომხმარებლო ფასები 1,1 პროცენტით გაზარდა

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი 2006 წლის პირველი ნახევრის ბოლოს, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, 1,1 %-ით გამყარდა. "საანგარიშო პერიოდის ბოლო თვეს სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა. 2006 წლის ივნისში, 2005 წლის ივნისთან შედარებით, ფასები 5,6%-ით გაიზარდა. აქედან 2,9 პროცენტული პუნქტი სამომხმარებლო კალათის ორ პროდუქტზე - კარტოფილზე და ელექტროენერგიაზე მოდის," - აცნობეს GBC-ის ფინანსთა სამინისტროდან.

2006 წლის 6 თვეში კარტოფილის გაძვირებამ სამომხმარებლო ფასები 1,1%-ით, ხოლო ელექტროენერგიაზე ფასების მატებამ 1,8%-ით გაზარდა. სამომხმარებლო ფასებმა 2006 წლის ივნისში, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.6%-ით მოიმატა. **ჯიბისი**

### 2006 წლის 6 თვეში იმპორტი 60,9%-ით გაიზარდა

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 2006 წლის პირველ ნახევარში 2049.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. "ბრუნვის მოცულობა 51,3%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე," - აცნობეს GBC-ის საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან.

ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის ბიუჯეტის 6 თვის ანგარიშის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში გასულის წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 26,1%-ით გაიზარდა ექსპორტი, რომლის მოცულობამ 470.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2006 წლის 6 თვის განმავლობაში, გასული წლის ანლოგიურ პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, იმპორტის 60,9%-იანი ზრდა დაფიქსირდა და მისმა მოცულობამ 1579,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **ჯიბისი**

# ემირატული სამოთხე "პალმურ" კუნძულებზე

პირველი გვერდიდან







ლაპარაკია ჩვენს პლანეტაზე ყველაზე დიდი ხელოვნური კუნძულების მშენებლობაზე, რომელთაგან სამს პალმის ფორმა აქვს, ერთი კი ფაქტობრივად, პლანეტის მინიატურულ გეგმას წარმოადგენს. პროექტის ავტორებმა, თავიანთი იდეის განსახორციელებლად დუბაი იმის გამოც აირჩიეს, რომ ქალაქის მახლობელი სანაპირო ზოლი დაბალსიღრმიანი ნაპირით გამოირჩევა. სამუშაოებს ასრულებს ადგლობრივი მთავრობის კუთვნილებაში მყოფი კომპანია "ნახილი", რომელსაც ბევრი უცხოური კომპანია უწევს პარტნიორობას.

ხელოვნური კუნძულების მშენებლობაში მონაწილეობას ღებულობს დაახლოებით 14 ათასი მუშა, რომლებიც ნაპირისგან მოშორებით მდგარ გემში ცხოვრობენ. სამუშაოები არ წყდება დღისით და ღამით. ჯერჯერობით, დასრულების სტადაშია ოთხიდან მხოლოდ ერთი, ყველაზე პატარა (პალმის ფორმის მქონე) კუნძული. კუნძულის საბოლოო ფორმირება და ნაპირის გასამაგრებელი ძირითადი სამუშაოების დასრულება ალბათ წელსვე მოესწრება, დანარჩენი ორი პალმისებრი კუნძულის აგება კი მოგვიანებით იგეგმება.

როგორც ითქვა, ხელოვნური კუნძულების შექმნის საფუძველთა-საფუძველი დუბაიში ტურიზმის და მისი ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარებაა. ქალაქის ხელისუფლებას სურს, რომ დუბაი გლობალური ტურიზმის ცენტრად იქცეს. უნდა ითქვას, რომ მათ ეს შესანიშნავად გამოსდით. ემირატების ეს მარგალიტი ახლაც მილიონობით ტურისტს იზდავს. მას შემდეგ კი, რაც ქალაქს მსოფლიოს უმაღლესი შენობა (ბურჯ დუბაი), უდიდესი სავაჭრო ცენტრი, ზამთრის ხელოვნური კურორტი (უკვე ფუნქციონირებს), უმაღლესი კატეგორიის (რვა-ათვარკსვლავიანი) სასტუმროები და სხვა ღირსშესანიშნაობანი დაამშვენებს, ტურისტული ნაკადი რამდენჯერმე გაიზრდება. ჰოდა, ბუნებრივია, სტუმრებს შესაფერისი დახვერა სჭირდებათ, რისთვის ზრუნვაც დუბაის ხელისუფლებამ დიდი ხნის წინ დაიწყო.

როცა სამივე პალმის და ჩვენი პლანეტის მასშტაბურ კუნძულ-მაკეტის მშენებლობა დასრულდბა, დუბაის სანაპირო ზოლის სიგრძე საერთო ჯამში, 520 კილომეტრს (!) მიაღწევს. კუნძულ-პალმებზე განლაგდება 100 სასტუმრო და 10 000 ექსკლუზიური ვილა. ასევე ნავმისადგომები, წყლის პარკები, სავაჭრო ცენტრები, სპორტული ნაგებობანი და მრავალფეროვანი საკურორტო ინფრასტრუქტურა.

კუნძულების მენებლობა 5 წლის წინ დაიწყო. მას აქეთ, მშენებლებმა სპარსეთის ყურის დუბაის სანაპირო ზოლში მილიონობით ტონა ლოდები, ქვა-ღორღი და ქვიშა ჩაყარეს. პირველ კუნძულს, რომლის შექმნა მალე დამთავრდება, "ჯამეირას პალმა" ეწოდება. ამ პალმის 1350 მომავალი მაცხოვრებელი თავის ქონებას 30 ნოემბერს ჩაიბარებს. სულ "ჯამეირას პალმაზე" 4000 ბინა განთავსდება. მომდევნო 2650 ბინა პატრონებს მერმის გადაეცემა. ეს ბინები პალმის ძირითად "ტოტზე" შენდება.

აღსანიშნავია, რომ "ჯამეირას პალმის" მშენებლობა ჯერ კიდევ შარშან უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სამუშაოები დიდი ხნით შეჩერდა, რადგან ხელოვნური კუნძულის ნიადაგმა დაწევა დაიწყო, რაც მთელ მის განაშენიანებას სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებდა.

საჭირო გახდა დამატებით მილიონობით ტონა ქვიშის დაყრა და მათი სპეციალური ვიბრატორებით (ასეულობით ასეთი ვიბრატორი გამოიყენეს) დატკეპვნა. ანალოგიური სამუშაოები დანარჩენ კუნძულებზეც განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ "ჯამეირაზე" მერმის მისი ყველა მაცხოვრებელი დაიკავებს ბინებს, კუნძულის მშენებლობა, რისი საპროექტო ღირებულებაც დაახლოებით 14 მილიარდ დოლარს შეადგენს, მთლიანად 2010 წელს დასრულდება. იმ დროისთვის კუნძული სრულფასოვანი ქალაქის სახეს მიიღებს და იქ დაახლოებით 60 ათასი ადამიანი იცხოვრებს.

როგორც საქმიანი ცენტრი, ჯამეირა მალე კონკურენციას გაუწევს ისეთ ქალაქებს, როგორებიცაა სინგაპური და ჰონ კონგი, როგორც გასართობი ქალაქი კი, თვით ლას ვეგასსაც კი დაჩრდილავს. ყოველ შემთხვევაში, ასე სურთ დუბაის ხელისუფლებს.

უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით, "ნახილის" თანამშრომლები მშენებარე კუნძულზე მას-მედიის წარმომადგენლებს არ უშვებენ. მათზე კი, ვინც იქ შესვლა და მშენებლობის ხილვა შეძლო, კუნძულზე ნანახმა დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. თუმცა, ეს არცაა გასაკვირი - შენობები ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარეობს და რა თქმა უნდა, მშენებლობის პროცესში, მათი გარეგნობა იდეალურისგან ძალიან შორსაა.

უნდა ითქვას, რომ კუნძულზე ბინებს მეტწილად უცხოელები (მათში ბრიტანელები სჭარბობენ) ყიდულობენ. "ჯამეირაზე" თითქმის ყველა ბინა უკვე გაყიდულია. არადა, მათი ღირებულება 1.5-10 მილიონ დოლარს შორის მერყეობს.

ბევრი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ დუბაიში მალე შემცირდება მოთხოვნილება საცხოვრებლებზე - მშენებლობის ტემპი იმდენად მაღალია, რომ მიწოდება მალე მოთხოვნას გადაასწრებს. ეს დაახლოებით ორი წლის შემდეგ უნდა მოხდეს. თუმცა, ამგვარი პროგნოზები "ნახილის" მარკეტოლოგებს სულაც არ აწუხებს. ბოლოსდაბოლოს, კომპანიას არ გაუჭირდება სხვა კუნძულების შენობების გარეშე გაყიდვა. საჭიროების შემთხვევაში, ცარიელი კუნძულები რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარად ადვილად გაიყიდება. მერე კი მყიდველი თავად მიხედავს მათ განაშენიანებას (პროექტი ხომ მზადაა).

რაც შეეხება დანარჩენი ორი პალმის ფორმის კუნძულის სახელწოდებას. მათგან ერთიც ფინიკის პალმის ფორმისაა, ოღონდ "ჯამეირაზე" ორჯერ დიდია. მისი სახელია "ჯაბელ ალი". პალმა-კუნძულებიდან ყველაზე დიდი არის "დეირა", რომელსაც 41 რტო გააჩნია. ამ კუნძულების შექმნის (განაშენიანების გარეშე) დასრულების თარიღმა რამდენიმე წლით გადაიწია.

მეოთხე კუნძულის (უფრო სწორედ, კუნძულების არქიპელაგის) სახელწოდებაა მსოფლიო. მასში 300 ცალი მცირე კუნძული შედის. უნდა ითქვას, რომ "მსოფლიოში" შემავალ კუნძულებზე თავიდანვე არცთუ დიდი მოთხოვნილება დაფიქსირდა და მისი დიდი ნაწილი ჯერაც გასაყიდია.

თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, დაუსახლებელი დარჩეს ემირატული "აფრიკა", "ავსტრალია", ან თუნდაც "ემირატები" მას შემდეგ, რაც "პალმების" ინფრასტრუქტურა სრული დატვირთვით ამოქმედდება. იმ დროისთვის "ბურჯ დუბაის" მშენებლობაც უნდა დასრულდეს და ვინ იცის, იქნებ, ფულის ყადრის მცოდნე შეიხებმა მანამდე მსოფლიოს მეცხრე და მეათე საოცრებანიც შესთავაზონ...

### ზრდა აშშ-ს ბირჟაზე










ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა რამდენიმედღიანი კლების შემდეგ, გასული კვირის ბოლოს მათი ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასების კლების გაგრძელებამ. გარდა ამისა, კლივლენდის ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტმა სანდრა პიანალტომ განაცხადა, რომ ინფლაციის რისკი საკმაოდ მაღალია იმისათვის, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შემდგომი გაზრდის შესაძლებლობა განიხილოს და რომ საჭიროა გარკვეული პაუზის გაკეთება და სიტუაციის გაანალიზება. ამდენად, ინვესტორთა შეშფოთება არ გამართლდა.

ამასთან, გავრცელდა რამდენიმე დამაიმედებელი კორპორაციული სიახლე. კერძოდ, მსოფლიოს უმსხვილესი სავაჭრო ქსელის Wal-Mart Stories-ის ინფორმაციით, მისი გაყიდვების მოცულობა, რომელიც ზაფხულში ბენზინის გაძვირების გამო შემცირებული იყო, კვლავ 2,6 პროცენტით გაიზარდა. გარდა ამისა, ონლაინ-რეიტლერმა Amazon.com-მა გაავრცელა ინფორმაცია ფილმების და ტელეპროგრამების გადმოსაქაჩი ახალი სერვისის შექმნის შესახებ, რამაც მისი აქციების 1,72 პროცენტით გაძვირება განაპირობა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,54 პროცენტით, 11.392,11 პუნქტამდე გაიზარდა. 0,49 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.165,79 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,38 პროცენტით, 1.298,92 პუნქტამდე მოიმატა.

### ძვირფასი ლითონების გაიაფება გრძელდება

გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირთფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 611,6 დოლარამდე გაიაფდა, რაც უკანასკნელი 10 კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. ვერცხლის ფასმა 12,32 დოლარი/უნციამდე მოიკლო, პლატინა 1256,9 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 355,5 დოლარი/უნციამდე გაიაფდა. ანალიტიკოსთა აზრით, ძვირფასი ლითონების ფასების კლება კვლავინდებურად გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაციამ განაპირობა. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა ნავთობის მნიშვნელოვნად გაიაფებამაც.

### ჰონკონგი ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალი ქვეყანაა

Cato Institute-მ გამოაქვეყნა მსოფლიოს ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალი ქვეყნების რეიტინგი, რომელშიც პირველი ადგილი ჰონკონგმა დაიკავა. მეორე ადგილი სინგაპურმა დაიკავა, მესამე კი ახალმა ზელანდიამ. მათ გარდა ათეულში შევიდნენ: შვეიცარია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, კანადა, ისლანდია და ლუქსემბურგი. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ლიდერი ესტონეთია, რომელიც რეიტინგში მეთორმეტე ადგილზე იმყოფება. შემდეგ მოდიან ლატვია და ლიტვა, რომლებმაც, შესაბამისად, ოცდამეთხუთმეტე და მეორმოცე ადგილები დაიკავეს. საქართველომ და სომხეთმა ორმოცდამეცამეტე პოზიცია გაიყვეს, აზერბაიჯანი ოთხმოცდამესამეა, რუსეთი ასმეორე, უკრაინა კი ასმეთერთმეტე.

### იაპონიაში საპროცენტო განაკვეთი არ გაზარდეს

როგორც მოსალოდნელი იყო, იაპონიის ბანკმა ძირითადი საპროცენტო განაკვეთი არ გაზარდა და იგი კვლავ წლიური 0,25 პროცენტის დონეზე შეინარჩუნა. იაპონიის ბანკი ადრე აცხადებდა, რომ საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილება ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ სიტუაციასა და ფასებზე იქნებოდა დამოკიდებული და ახლა აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე იაპონიის ეკონომიკის ეკონომიკის ზრდის ტემპი ჯერ კიდევ ისეთი მაღალი არ არის, რომ კრედიტების ღირებულება ორ თვეში მეორედ გაიზარდოს.

### საწვავის ფასის კლების ტენდენცია ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება

საწავავის ფასის კლების ტენდენცია ერთი თვის განმავლობაში შენარჩუნდება. "ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ნავთოპროდუქტებზე ფასებმა 5-10 თეთრით დაიკლო, რაც მსოფლიო ბაზარზე საწვავის გაიაფებამ განაპირობა," - განაცხადა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა. მისი ინფორმაციით, ივნის-აგვისტოში საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის გაძვირება ხელოვნური ფაქტორებით იყო განპირობებული, რაც უკავშირდებოდა ლიბანის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებებს, ნიგერიიდან და ვანესუელადან ნავთობის მიწოდების შეფერხებას, ალიასკაზე უმსხვილეს პრიოდო-ბეის ნავთობის საბადოზე მოპოვების შეჩერებას.

ყველაზე მაღალი რისკები უკავშირდებოდა ირანის მიმართ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს. მთვრალაშვილი აღნიშნავს, რომ ბენზინზე ფასების დაწევა პოლიტიკური პროცესების დასტაბილურობამ და აშშ-ში ნავთობის მარაგების ზრდამ განაპირობა. მისი ინფორმაციით, აგვისტო-სექტემბერში საერთაშორისო ბაზარზე ნავთობზე ფასები პერმანენტულად იკლებს. 1 ტონა ბენზინის საერთაშორისო ფასი 30 აგვისტოს შემდეგ 600$-ზე ნაკლებია, მაშინ, როცა 3 აგვისტოს 798$-აღწევდა. მთრალაშვილის განცხადებით, მსოფლიოში ბენზინის გაიაფება საქართველოში მყისიერად აზერბაიჯანულ საწვავზე აისახება, რადგან აზერბაიჯანიდან საწვავი მცირე პარტიებით შემოდის. აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ა -91 რეგულარის ტიპის ბენზინი 1.40-დან 1.30დე დაიწევს. თანადათანობით, 7-10 დღის განმავლობაში გაიაფდება ევროპული ბენზინიც. მთვრალაშვილი აღნიშნავს, რომ ბენზინზე ფასების დაცემამ პანიკაში ჩააგდო უმსხვილესი კომპანიები, რადგან საფონდო ბირჟებზე მათი აქციების ფასი მნიშვნელოვნად დაეცა. **ჯიბისი**

## "ბაზისბანკი" - "სტუდენტური სესხები" გამარტივებული პირობებით

*წლევანდელი ზაფხული ორმაგად ცხელი და მღელვარებით სავსე ყველაზე მეტად აბიტურიენტებისთვის იყო. მაგრამ გამოცდების მიმდინარეობაზე უფრო მნიშვნელოვანი თემა საბანკო სექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული და გრანტის გარეშე დარჩენილი სტუდენტების დაფინანსება აღმოჩნდა. ამიტომაც მათთვის ყოველდღიურად იხვეწებოდა არსებული საბანკო პროდუქტები და ინერგებოდა ახალი მომსახურება. სტუდენტთა განათლებაზე ზრუნვა ქვეყანაში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა ერთი თვეა, რაც დაიწყეს. სტუდენტებს ამჯერად ახალი ხელშემწყობი გამოუჩნდათ - სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი", რომელიც ახალ საბანკო პროდუქტს - "სტუდენტურ სესხებს" მათ გამარტივებული პირობებით სთავაზობს.*

კერძო სექტორი ყველაზე პროგრესული სფეროს - განათლების დაფინანსებას იწყებს, მაშინ, როცა წლების განმავლობაში ქართულ საბანკო სივრცეში სტუდენტური სესხების დანერგვა მხოლოდ განხილვის საგანი იყო. მართალია, "ბაზისბანკს" ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი არ გადაუდგამს, თუმცა სტუდენტებს ბანკი სრულიად ახალ, სხვებისგან განსხვავებულ პროგრამასა და სესხის პირობებს სთავაზობს. ამასთან, ბანკი მზად არის, განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და სტუდენტური პოტენციალის ამაღლებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. სწორედ ამის დასტურია "სტუდენტური სესხების" პროგრამის დახვეწა და მისი განხორციელება.

მართალია, საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ფონზე მსგავსი პროდუქტი ბანკისთვის მაღალ რისკებს შეიცავს, თუმცა "ბაზისბანკის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება და მათ კლიენტებს კრედიტის დაბრუნების პრობლემა აღარ შეექმნებათ.

პროგრამა სამი ტიპის სტუდენტურ სესხს ითვალისწინებს;

პირველი ტიპის სესხი ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის დაფინანსებას ითვალისწინებს. სესხის ვადაა 10 წელი, თანხა სწავლის ღირებულების შესაბამისად, მაქსიმუმ 10 ათას ლარს შეადგენს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი - 15 პროცენტს. სესხის აუცილებელ პირობას განათლების სამინისტროს მიერ სწავლის ღირებულების თანადაფინანსება წარმოადგენს. სტუდენტები თანხის გადახდას სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყებენ. კერძოდ, 5 წელი საშეღავათო პერიოდი, როდესაც სტუდენტი მხოლოდ პროცენტს იხდის, შემდეგი 5 წლის განმავლობაში ხდება ძირითადი თანხის დაბრუნება.

სესხის მეორე ტიპი სამაგისტრო სასწავლო პროგრამის დაფინანსებას გულისხმობს და პირობები თითქმის ბაკალავრიატის პროგრამის იდენტურია. სესხის ვადა 5 წელია, წლიური საპროცენტო განაკვეთი 15 პროცენტს შეადგენს, ხოლო სესხის მოცულობა სწავლის ღირებულებაზეა დამოკიდებული. მისი დაფარვის გრაფიკი 2-წლიან საშეღავათო პერიოდს მოიცავს და ძირითადი თანხის დაბრუნება 3 წლის განმავლობაში მოხდება.

სეხსის მესამე ტიპი მოკლევადიანი სემესტრობრივი, სტუდენტური სესხია, რაც "ბაზისბანკის" მიერ შემუშავებულ ახალ პროდუქტს სხვა ბანკების ინიციატივებისგან განასხვავებს. სესხის ვადა 6 თვეა. კერძოდ, ყოველთვიურად დაიფარება მხოლოდ პროცენტი, ძირითადი თანხის დაბრუნება კი სესხის აღებიდან 6 თვის შემდეგ მოხდება. ამ შემთხვევაში სესხის საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია და 12 პროცენტს შეადგენს. როგორც ირკვევა, გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ სესხის ვადების მიხედვით განსხვავდება.

ბანკი აუცილებელ პირობად თავდები პირების სტაბილურ შემოსავლებს მიიჩნევს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სესხი მათზე გაიცემა. ბანკი სესხს სტუდენტებს აძლევს და, რაც მთავარია, ისინი მის დაფარვას სწავლის დასრულების შემდეგ, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით დაიწყებენ. სესხის მისაღებად საჭიროა, სტუდენტმა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ ბანკში ცნობა წარმოადგინოს. მან ასევე თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა და თავდები პირების შემოსავლების დამადასტურებელი საბუთები და მათი პირადობის მოწმობების ასლები.

"აღნიშნული პროდუქტი აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნებში, სადაც წამყვანი ბანკები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ანალოგიურ მომსახურებას სთავაზობენ. სტუდენტური სესხი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციასა და განვითარებაში," - იმედოვნებენ "ბაზისბანკში".

შეგახსენებთ, რომ "ბაზისბანკი" საქართველოს საფინანსო ბაზარზე 1993 წლიდან გამოჩნდა, თუმცა, პრაქტიკულად, ფუნქციონირება ქვეყანაში სიტუაციის შედარებით დარეგულირების შემდეგ დაიწყო. ეფექტური და აქტიური მუშაობის შედეგად ბანკი მოკლე დროში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და საიმედო საბანკო სტრუქტურად გადაიქცა.

**"24 საათი"**

## ამინდი

| | 11/09 | 12/09 | 13/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 21 | 22 | 23 |
| რიგა | 20 | 21 | 22 |
| ვილნიუსი | 20 | 20 | 22 |
| მოსკოვი | 12 | 17 | 18 |
| მინსკი | 20 | 21 | 23 |
| პარიზი | 27 | 28 | 20 |
| რომი | 27 | 26 | 25 |
| ლონდონი | 26 | 23 | 23 |
| მადრიდი | 27 | 23 | 25 |
| ბონი | 27 | 27 | 21 |
| ვარშავა | 23 | 22 | 22 |
| ათენა | 25 | 25 | 26 |
| ბერნი | 23 | 26 | 23 |
| ამსტერდამი | 24 | 26 | 22 |
| ოსლო | 17 | 20 | 20 |
| ანკარა | 25 | 23 | 25 |
| ვარნა | 23 | 22 | 23 |
| დელი | 46 | 48 | 46 |
| ტოკიო | 27 | 22 | 22 |
| კოპენჰაგენი | 20 | 19 | 20 |
| ბაქო | 25 | 21 | 22 |
| ერევანი | 32 | 29 | 28 |
| ასტანა | 21 | 16 | 11 |
| ჰელსინკი | 16 | 17 | 18 |
| დუბლინი | 18 | 17 | 14 |
| ლისაბონი | 26 | 23 | 27 |
| პრაღა | 22 | 22 | 23 |
| სოფია | 23 | 23 | 25 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 26 |
| ბუხარესტი | 27 | 27 | 26 |

# როგორ ასრულებს ბიზნესსექტორი პრეზიდენტის დავალებას?

პირველი გვერდიდან

დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას არ მიიღებს კომპანია "ყაზბეგი". კომპანიაში ფიქრობენ, რომ მათთვის საჭირო კადრებს ამ პროგრამის დახმარების გარეშეც, საკუთარი რესურსების ხარჯზე იოლად მოახერხებენ. **"ჩვენს კომპანიას კვალიფიციური პერსონალის გარკვეული საინფორმაციო ბანკი გააჩნია. თუკი "ყაზბეგს" ახალი კადრი სჭირდება, ჩვენ უკვე ვიცით, რა რესურსიდან უნდა შევარჩიოთ და ამაზე ხელი იოლად მიგვიწვდება. ნაკლებ სავარაუდოა, რომ შემოთავაზებული გზით ვიპოვოთ ის კადრები, რომელიც ჩვენ გვჭირდება. გარდა ამისა, "ყაზბეგს" დღეს არ სჭირდება დამატებითი მუშახელი, და ის არც მაღალკვალიფიციური კადრების სიმწირეს განიცდის. ასე რომ, არა მგონია, ხელისუფლების ხმამაღალი განცხადება, რომ მათი ეს ნაბიჯი ბიზნესის დახმარება იქნება, ჩვენს კომპანიაზე იყოს ნათქვამი,"** - უთხრა "24 საათს" თეა სხიერელმა, "ყაზბეგის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა.

**"ჯერჯერობით, ეს საკითხი ჩვენს კომპანიაში არ განიხილება, იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ დგას. თუკი "ბრიტანეთის ავიახაზები" ამის აუცილებლობას იგრძნობს, ბუნებრივია, კადრებს თავად მოვძებნით,"** - ამბობს "ბრიტანეთის ავიახაზების" გაყიდვების მენეჯერი ნინო ანდრიაძე.

"ალდაგისგან" განსხვავებით, მისი ერთ-ერთი კონკურენტი კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგი" დასაქმების ხსენებულ პროგრამას ოპერატიულად ეხმიანება და აცხადებს, რომ ამ ეტაპზე სადაზღვევო აგენტის თანამდებობაზე 500 სტაჟიორის დასაქმებას აპირებს. აი, რა განუცხადა "ჯიპიაი ჰოლდინგის" მარკეტინგის და გაყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ ჩიხლაძემ საინფორმაციო სააგენტო "ჯიბისის": **"პროგრამის დასრულების შემდეგ შეირჩევა კადრები. ისინი კომპანიაში მუდმივად იმუშავებენ. კანდიდატების შერჩევა 15 სექტემბრიდან დაიწყება."**

ხსენებულ პროგრამაში მონაწილეობისთვის ემზადება "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი". ხელმძღვანელობის თქმით, სექტემბრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით კომბინატი ამ პროგრამის ფარგლებში 100 მოქალაქეს დაასაქმებს. ამ მიზნით კომბინატში უკვე შეირჩა პროფესიები, შედგა სწავლების ჯგუფები და პროგრამები, რომლის შესაბამისადაც მოხდება დასაქმებულთა სწავლება და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. **"ქარხანაში მოქალაქეებს მოამზადებენ როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. ისინი მიმაგრებულები იქნებიან შესაბამის საამქროებში უნარ-ჩვევების განვითარებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მათგან კი, ვინც წარმატებულად გაივლიან პრაქტიკას, საუკეთესონი შეირჩევიან და ისინი ჩვენთან მუშაობას გააგრძელებენ,"** - განაცხადა "რუსთავის მეტალურგიული კომპბინატის" კადრების განყოფილების უფროსმა მურთაზ კობიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ახალი ეკონომიკური პროგრამა, რომლის ინიციატორი ქვეყნის პრეზიდენტი იყო, ძირითადად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ისახავს მიზნად, შემდეგი გზით: საქართველოს დაახლოებით 50 ათასამდე მოქალაქე სხვადასხვა კერძო კომპანიაში სექტემბრიდან, მომდევნო სამი თვის განმავლობაში სტაჟირებას გაივლის. თითოეული მათგანი ბიუჯეტიდან, სტიპენდიის სახით, თვეში 150 ლარს მიიღებს. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ამ გზით მოხდება სტაჟიორთა კვალიფიკაციის ამაღლება, ხოლო შემდეგ ეტაპზე - მათი დიდი ნაწილის დასაქმება ამავე კომპანიაში.

პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება და, გრაფიკის თანახმად, ის წლის მიწურულს დასრულდება.

ცნობისათვის: უმუშევრობის პრობლემა რამდენიმე სახელმწიფომ დაახლოებით ამ გზით დაძლია. მათ შორის ერთ-ერთი ბოლო - პოლონეთი და ჩილე იყო, სადაც მოსახლეობის მასობრივი გადამზადება მოხდა და, თანაც, დიდი წარმატებით. თუმცა ამ პროცესს წინ უძღოდა რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი სამუშაოები, რაშიც სახელმწიფოსთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ბიზნესსექტორი.

თუ რა შედეგს მოიტანს საქართველოში ახალი ეკონომიკური პროგრამა, და იქნება თუ არა ის ისეთივე წარმატებული, ამას უახლოესი თვეები გვიჩვენებს.


თიბისი ბანკი TBC Bank

სიახლე! - 21 აგვისტოდან თიბისი ბანკი გთავაზობთ სტუდენტურ სესხებს!

სესხის მიღება შეუძლია ყველა აბიტურიენტს, ვინც წარმატებით გაიარა 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები!

- ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი - წლიური 14% -დან ლარში/დოლარში.
- სისწრაფე - სესხის გაცემა მხოლოდ ერთ საათში.
- განსაკუთრებული სიმარტივე I და II რეიტინგის სტუდენტებისათვის
  - სესხი გაიცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენით;
  - არანაირი დამატებითი გარანტიების წარმოდგენა საჭირო არ არის.
- საჩუქრები
  - ჩიპური VISA Electron ბარათი.
  - ინტერნეტ ბანკი.
  - ბანკომატით თანხის შეტანა.

21 აგვისტოდან მიმართეთ სტუდენტური სესხების მომსახურების ცენტრს. სამუშაო საათები: 10სთ-დან 17სთ-მდე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. მის.: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 123, II სართული.

რეგიონებში მიმართეთ თიბისი ბანკის ფილიალებს.

სტუდენტური სესხები თიბისი ბანკისაგან ჩვენ გვჯერა შენი წარმატების!

☎ 27 27 27 www.tbcbank.ge




## მოსკოვში, არბატზე მდებარე შენობა 18,02 მილიონ დოლარად გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხუთშაბათს გამართულ აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი 32 ობიქტიდან 8 გაყიდა.

მოსკოვში მდებარე ქართული კულტურის ცენტრი "მზიური" 18,02 მლნ აშშ დოლარად საქართველოში რეგისტრირებულმა კომპანია "ტრასეკა გრუპ ჰოლდინგმა" იყიდა. თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე, ყოფილი 101-ე სკოლის შენობა 810 ათას აშშ დოლარად შპს "სწავლების ინოვაციური მეთოდების სკოლა - მზემ" შეიძინა.

ბორჯომში, წაქაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები ფიზიკურმა პირმა გიორგი ზარიძემ 800 ათას აშშ დოლარად შეიძინა. თბილისში, გურამიშვილის 84-ში მდებარე ქონება შპს "თორნიკემ" 110 ათას აშშ დოლარად იყიდა.

სს "ვერეს" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 6% ფიზიკურმა პირმა ირაკლი თოფურიამ 4,1 ათას დოლარად იყიდა. თბილისში, სარაჯიშვილის 116-ში მდებარე შენობა-ნაგებობები 51 ათას აშშ დოლარად შპს "ჯგბ-მ" იყიდა. ბორჯომში "ბორჯომ-მედ სერვისის" მფლობელი ფიზიკური პირი ლიანა ისაკაძე გახდა, რომელმაც ობიექტში 855 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა.

ბორჯომში სს "ბორჯომ-კურორტ სერვისის" მფლობელი საქართველოს საინვესტიციო კომპანია გახდა, რომელმაც ობიექტში 155 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. **ჯიბისი**

## რუსთავში ბინები გაძვირდა

რუსთავში ბინის ფასები სოლიდურად გაიზარდა, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა განუცხადა.

მელიქიშვილის განმარტებით, რუსთავში საცხოვრებელ ბინებზე ფასების ზრდა რუსთავში გზების მშენებლობამ გამოიწვია. "თუ ორისამი წლის წინ 2-3-სართულიან ბინას ფასი არ ჰქონდა და 500-600 დოლარად იყიდებოდა,

ჩვენი მონაცემებით, წელს უკვე ანალოგიურ ადგილას 2-3-ოთახიანი ბინის შეძენის მიზნით, ბანკებმა 10-12000 დოლარამდე კრედიტები გასცეს. უბნების მიხედვით ფასები, რასაკვირველია, განსხვავებულია, თუმცა ბინები ყველგან გაძვირდა, სადაც კი გზა გაკეთდა," - განაცხადა მელიქიშვილმა.

რუსთავმა ტრანსფერის სახით ცენტრალური ბიუჯეტიდან გზების რეაბილიტაციის პროექტის დასაფინანსებლად 4,6 მლნ ლარი მიიღო. ამჟამად რუსთავში 12 ქუჩა მოწესრიგდა. **ჯიბისი**

## აზერბაიჯანი სსფ-ს რეკომენდაციის შესრულებაზე უარს ამბობს

აზერბაიჯანის მთავრობა არ აპირებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის გათვალისწინებას, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას ეხება.

"ჩვენ კატეგორიოულად არ ვეთანხმებით სსფ-ს დასკვნას ამ საკითხთან დაკავშირებით და მომავალი წლისათვის საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას არ ვაპირებთ," - განუცხადეს საინფორმაციო სააგენტო Day.az-ს აზერბაიჯანის მთავრობაში.

წყაროს ცნობით, იმ ფონზე, როდესაც მომავალი წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 30%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, საბიუჯეტო ხარჯების ზრდა ლოგიკური პროცესია და ხარჯების ხელოვნურ შემცირებას აზრი ეკარგება.

მისივე თქმით, მომავალ წელს საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი საინვესტიციო პროექტებისათვის იქნება მიმართული და, შესაბამისად, აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო ხარჯების ზრდასა და ფულადი მასის ზრდას შორის კავშირს ვერ ხედავს.

Day.az-ის ცნობით, სსფ-ს აღნიშნული რეკომენდაცია აზერბაიჯანის მთავრობას ფონდის მისიის ხელმძღვანელმა ვიტალი კრამარენკომ ბაქოში ვიზიტისას გააცნო. **ჯიბისი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისათვის საჭირო 2 (ორი) ცალი კომბინირებული საგზაო მანქანის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

| №№ | საქონლის დასახელება | ტექ მონაცემები | განზომილების ერ-ლი | რაო-ბა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კომბინირებული საგზაო მანქანა | • მთელი წლის განმავლობაში ექსპლუატაცი-ისათვის საჭირო ცვლადი საკიდი მოწყობი-ლობა ან ალტერნატიული წინადადება;<br>• საბაზო მანქანა 6X4 ან 6X6;<br><br>*ზამთრის პერიოდისათვის*<br>• ქვიშის მომპნევი მოწყობილობა მოცულობით არანაკლებ 6 მ3;<br>• წინა ჩქაროსნული დანა მუშა სიგანე არანაკლებ 2800 მმ;<br>• სიჩქარე 20-40 კმ/ს ფარგლებში;<br><br>*წლის განმავლობაში:*<br>• მოწყობილობა გზის საფარის ორმოული შეკეთებისათვის:<br>- ბუნკერი ხრეშისათვის მოცულობით არანაკლებ 2.0 მ3<br>- ავზი ნავთობბიტუმის ემულსიისათვის არანაკლებ 1000 კგ;<br>- ავზი წყლისათვის არანაკლებ 800 ლ; | ცალი | 2 |

**2.** საქონლის მიწოდების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, არაუგვიანეს 2006 წლის 30 დეკემბრისა.

**3**. საქონლის მიწოდების პირობა - CIP თბილისი Incoterms 2000 პირობების შესაბამისად.

4. მოსაწოდებელი საქონლის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**5.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 11 სექტემბრიდან მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**6.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 30 სექტემბრის 900 საათიდან 1800 საათამდე და 2006 წლის 2 ოქტომბრის 900 საათიდან 1200 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**7**. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 2 ოქტომბრის 1200 საათზე.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**8.1** ცნობები:

**8.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**8.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

*ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს*:

9. ხელმოწერილი (იურიდიული და ინდივიდუალური მეწარმისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სატენდერო წინადადების ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

**10.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**11.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**12.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**13.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**14.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**15.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

**16**. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% ოდენობით.

**17.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 შალვა მატატაშვილი.

სატენდერო კომისია
07/09/2006

---

საქმე № 2/720

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

**გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ**

**14 ივლისი 2006 წელი ქ. გ ო რ ი**

*გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბონდო ვათიაშვილმა, ერთპიროვნულად მხარეთათვის შეუტყობინებლად განვიხილე შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საკითხი.*

*ვიხელმძღვანელე რა "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-7, მე-8 და 11-ე მუხლებით*

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :**

**1. დაკმაყოფილდეს შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" დირექტორ - გიმერ ბერძნიშვილის მოთხოვნა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.**

**2. გაიხსნას გაკოტრების საქმე შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" მიმართ.**

**3. ვალაუვალ მოვალეს შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორს" აეკრძალოს თავისი ქონების მართვა განკარგვა.**

**4. შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" ქონების მართვა და განკარგვა დაევალოს შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" გაკოტრების დროებით მმართველს.**

**5. შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" გაკოტრების მმართველად დაინიშნოს დავით მირიანის ძე მაკრახიძე, დაბადებული 1965 წელს, უმაღლესი განათლებით, ინჟინერ - ტექნოლოგი, მცხოვრები ქ. გორში თბილისის ჩიხი 4.**

**6. შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" ყველა კრედიტორს ევალება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნებიდან სამი კვირის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოს წარმოუდგინონ თავიანთი მოთხოვნები, შესაბამის ვალუტაში თანხის და ვალის საფუძვლის ჩვენებით, ამასთან აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.**

**7. ყველა იმ პირს, რომელიც ვალაუვალი მოვალის ქონების მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, მოთხოვნის წაყენების ვადაში ამის შესახებ უნდა განაცხადოს გაკოტრების მმართველთან.**

**8. იმ პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალი მოვალის ე.ი. შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" ქონებას მიკუთვნებულ ნივთს ან ვალდებულია ვალაუვალი მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, მან ნივთის დაბრუნება და ვალდებულების შესრულება უნდა განაცხადოს გაკოტრების მმართველთან.**

**9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე, ძალას კარგავს შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებულ მაგრამ დაუსრულებელ იძულებით აღსრულების ღონისძიებები.**

**10. ამ განჩინების გამოქვეყნების შემდეგ შპს "მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის" მიმართ ვალდებულების შესრულება ბათილია, თუ შესრულება არ შევა გაკოტრების მასაში.**

**11. ეს განჩინება გამოქვეყნდეს " გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მ?ხლის მოთხოვნათა დაცვით.**

**12. განჩინება არ საჩივრდება.**

*გორის რაიონული სასამართლოს*
*მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე : ბ.ვათიაშვილი*

---

**დანართი N1**

**"განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"**

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. **"ბორის, კომპოზიციური და ნახევარგამტარი მასალების"** ლაბორატორიაში:
საშტ. ერთ. რაოდ.
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრ. 2
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრ 3
გ) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 0,5
დ) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 0,5
ე) მეცნიერ თანამშრომელი 3

1.2. **"ლითონების წარმოებისა და დამუშავების"** ლაბორატორიაში:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრ. 3
ბ) მთავარი მეცნიერ თანამშრ. 0,5
გ) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 6
დ) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 0,5
ე) მეცნიერ თანამშრომელი 6
ვ) მეცნიერ თანამშრომელი 0,5
ზ) მეცნიერ თანამშრომელი 0,5
თ) მეცნიერ თანამშრომელი 0,5

1.3. **"მანგანუმის შენადნობების, კომპლექსური განმჟანგველებისა და მოდიფიკატორების"** ლაბორატორიაში:
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 4
ბ) მეცნიერ თანამშრომელი 3
გ) მეცნიერ თანამშრომელი 0,5

1.4. **"ლითონმცოდნეობის"** ლაბორატორიაში:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრ. 1
ბ) მთავარი მეცნიერ თანამშრ. 0,5
გ) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 8
დ) მეცნიერ თანამშრომელი 6
ე) მეცნიერ თანამშრომელი ქ. ბათუმის კოროზიის ჯგუფი 1

1.5.**"თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის"** ლაბორა-ტორიაში:
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 3
ბ) მეცნიერ თანამშრომელი 3

1.6. **"არაორგანული მასალების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის"** ლაბორა-ტორიაში:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრ. 2
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 2
გ) მეცნიერ თანამშრომელი 3

1.7. **"სტრუქტურისა და თვისებების კვლევის"** ლაბორატორიაში:
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 1
ბ) მეცნიერ თანამშრომელი 4

1.8. **"ფხვნილთა მეტალურგიის"** ლაბორატორიაში:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრ. 1
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრ. 2
გ) მეცნიერ თანამშრომელი 2

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

2.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

2.2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV)

2.3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან

გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი

2.4. გამოქვეყნებული, მათ შორის, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი

2.5. 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს

2.6. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია)

2.7.სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია)

2.8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია)

3. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

3.1. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),\;

3.2. პატენტები;

3.3. მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

3.4. მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში;

3.5. კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს: ალ. ყაზბეგის გამზირი 15, სსპი - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის კადრების განყოფილება.

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 11 ოქტომბერი, 2006

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 25 ოქტომბერს

8. საბუთები სასურველია იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით, სასურველია ინგლისურ ენაზეც, რამდენადაც საკონკურსო კომისიის რამდენიმე წევრი შესაძლებელია იყოს დასავლეთ ევროპის ან აშშ უნივერსიტეტის თანამშრომელი (სამეცნიერო ნაშრომის, ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული ან დისკით, ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: postmaster@metal.acnet.ge

9. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
www:www.acnet.ge/metal.htm
e-mail: postmaster@metal.acnet.ge
tel.: 37 02 65
პასუხისმგებელი პირი: ია ლობჟანიძე

---

**შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ საბურავების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება**

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 25 აგვისტოს გამოცხადებულ **საბურავების შესყიდვის შესახებ** სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

*ლოტ 2-ში დამატებული იქნას:*
*ა/მ კამაზი 260 X 508 - 18 ცალი;*

*ლოტი 2-ში ა/მ უაზ 469 საბურავის ზომა „840 X 14 შეიცვალოს* 215 X 90 X 15"-*ით*

*ლოტ 3-ში დამატებული იქნას:*
*ექსკავატორი 2621 7.5-20 - 2 ცალი;*

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოცხადებული საბურავების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

---

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**

1. ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
მთავარი მეცნიერ მუშაკი - 1 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 5 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 4 საშტატო ერთეული.

2. პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
მთავარი მეცნიერ მუშაკი - 2 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 2 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 3 საშტატო ერთეული.

3. სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 5 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 5 საშტატო ერთეული.

4. სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილებაში:
უფროსი მეცნიერ მუშაკი - 3 საშტატო ერთეული;
მეცნიერ მუშაკი - 4 საშტატო ერთეული.

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობების შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;

ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი.

6. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

7. საბუთების მიღება იწარმოებს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, პაოლო იაშვილის 22.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენა იწარმოებს 11 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე.

9. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: თბილისი, პაოლო იაშვილის ქ. №22, საკონკურსო კომისია.

ტელეფონები: 99-89-41; 93-24-54.
e-mail: irimedi@yahoo.com

